



ციხესიმაგრე

№ 106 / 10 - 16 სეპტემბერი / 2012

- ინტერვიუ ირაკლი ალასაძიასთან **გვ. 10**
ორი აზრი: თსუ-ს საკადრო პოლიტიკა **გვ. 08**
რეიტინგები და პარტიების ვებსათაღელვა **გვ. 23**
საეციალური არჩევნები **გვ. 20**
მეტი კომიტეტი ხელისუფლებას **გვ. 32**
გეპივები გადამალეთ – რუსები მოღიან! **გვ. 43**
ღალატის ეტიმოლოგია **გვ. 52**

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 2 ლარი



ეთავაზუ თვე
**ცოდნუს ხეობაში
სპეციალისტის ბეჭედისა**

გვ. 14-19



ეცალე დაინახო გეფე

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ნინო ბექიშვილი

შურინალისტები:

ლიკა ზაკაშვილი, ზურაბ გარდაშვილი,
თათა ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა
ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი
ჭეშმაგლი, სოფო ალცაური, ეკა
მალაძეაძე, ლევან ახალაია,
სალომე ცეცხლაძე

პორტრიტები:

ბექა ქურუშვილი, პაატა ქურდაძე,
გიგი გულედანი, კახა თოლორდავა,
ლელა რეხვაშვილი

რედაქტორი:

ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხულიძე
გრაფიკული დაზიანი
თორიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი ნინო ბექიშვილი
კორექტორი თამარ ლონდაძე

გამომცემება:

დირექტორი
ქეოვან ბაბუნაშვილი

გაყიდვებისა და გინდების
განვითარების მინისტრი
რუსული ბარათაშვილი

გაყიდვების მინისტრი:

სოფო პაულაშვილი

მარკეტინგის მინისტრი:

ელენე ხარაზაშვილი

დისტრიბუტორი:

მიხეილ მაჟურინიშვილი

ურნალის გამოწერის მსურველები
დაზიანების მინისტრი: 247 10 05.



„სწორედ სიძლიერისას გამოიცდება ის თვისებები, რომელიც მხოლოდ სიძლიერისას უნდა გამოიცადოს“ – ერლომ ახვლედიანი თავის ესეში „მამულისათვის“ ერის თვისებებზე ნერს და ეს ამონარიდიც აქედანაა.

სამწუხაროდ, ჩვენ, „გამარჯვებულებიც“ და „დამარცხებულებიც“, თითქოს ვერასოდეს ვაბარებთ „სიძლიერის გამოცდას“.

დამარცხებისას პასუხისმგებლობის ტვირთი სხვაზე გადაგვაქვს და არასოდეს ვიდანაშაულებთ თავს. ჩვენი მარცხი ყოველთვის სხვისი ბრალია. გამარჯვებულებს კი საოცარი „აროგანტული პროვინციალიზმი“ (თომას მანი) გვიპყრობს და ვიწყებთ ჩვენივე პროვინციული სიდიადის დაჯერებას, რასაც მოსდევს უფრო დიდი კოშმარი – ძალაუფლებით ტკბობა და შემდეგ უკვე ამ ძალაუფლებაზე ჩაბატონება, ყველაფრის ფასად.

ჩვენი უახლესი ისტორიაც ამ ორ მოცემულობას შორის ტრიალებს. ჯერ ვერ მოგვიხერხებია, რომ დამარცხებას საკუთარი შეცდომების აღიარებამდე მივეყვანეთ და გამარჯვებას – თავმდაბლობამდე. თავმდაბლობას კი უამრავი სიკეთე მოაქვს – პირველ რიგში, ძალაუფლების ხიბლისაგან გიცაგს და ადამიანურ შეგრძნებებს გინარჩუნებას, გამარჯვებულსაც გახსენებას, რისთვის იბრძოდი.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენ არჩევნებიდან არჩევნებამდე ვცხოვრობთ. გამარჯვებიდან – დამარცხებამდე. თუმცა, რეალურად, ყოველთვის ვმარცხდებით, რადგან ბოლო 20 წელია ისევ „პატრიოტებად“ და „მოღალატეებად“, „ქვეყნის აღმშენებლებად“ და „გაყიდულებად“, „წმინდანებად“ და „უშმინდურებად“ ვიყოფით და უმარტივეს კამათშიც კ ვერ ვინარჩუნებთ ადამიანურ სახეს.

წინ კიდევ ერთი არჩევნებია და ყველაზე მეტად მინდა, თითოეულმა ჩვენგანმა სახის შენარჩუნება შევძლოთ – ვაცოდეთ, რისთვის ვიბრძვით, რისთვის ვმარცხდებით ან ვიგებთ. მოსაგები ისევ საკუთარი არჩევანი გვაქვს... და არა რუსეთი, ან ამერიკა.

თომას მანიც ერლომ ახვლედიანმა გამახსენა: „არა, გერმანელად შობილი ყველა, ნებით თუ უნებლიერ, დაკავშირებულია გერმანულ ბედთან და გერმანულ დანაშაულთან, ხოლო დისტანციის შენარჩუნების სურვილში, რათა კრიტიკული განსვეის შესაძლებლობა მოგეცეს, არ შეიძლება ღალატი დავინახოთ. სიმართლესთან, რომლის თქმასაც ადამიანი თავის ხალხზე აპირებს, მისვლა მხოლოდ თვითშემეცნების გზით შეიძლება“ (თომას მანი, „გერმანია და გერმანელები“).

შორენა შავერდაშვილი

ტელევიზიონული ეროვნული მილია

აჭარის ტელევიზიონის საკითხი
2005 წლის შემდეგ გაურკვეველია.
მთავრობის ერთ-ერთი საქვეუწყებო
დაწესებულებაა და ბიუჯეტიდან
ფინანსდება, ტელევიზიონის
ურნალისტები კი, ფაქტობრივად,
საჯარო მოხელეები არიან.

იურისტებისთვის გაუგებარია,
რა ვალდებულებები უნდა
გავრცელდეს აჭარის ტელევიზიაზე
მაშინ, როდესაც ის კანონს მიღმა
ფუნქციონირებს.



სანამ ტელევიზიონის სტატუსი არ
განისაზღვრება, მისი რეგულირება
არც კომუნიკაციების ეროვნულ
კომისიას ევალება.

ევალება თუ არა წინასაარჩევნოდ
უფასო და ფასიანი პოლიტიკური
რეკლამების განთავსება, საეთერო
დროის გამოყოფისას თანაბრობის
პრინციპის დაცვა, რამდენად
მიუკრძოებლად მუშაობენ
ტელევიზიის ურნალისტები?
ეს კონკრეტული წინასაარჩევნოდ
განსაკუთრებულ მნიშვნელობას
იძენს.

ეკა მაღალდაძე
83.37



საცემაჲის ცოდნუს ხეობაში ბჩეოლება

ბოლო ერთი კვირის მანძილზე, „ლიბერალი“ ორჯერ იყო ჩასული
ლაფანურში და დუისში ლოპოტის ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციასა და
ამის შემდეგ პანკისის ხეობაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.
სპეცოპერაცია კვლავ გრძელდება, ყოველ შემთხვევაში, ლოპოტის ხეობიდან
ჯარები არ გამოუყვანიათ. პანკისის ხეობაში კი დანარჩენი გარდაცვლილების
ცხედრებსაც ერიან.

რჩება პასუხაუცემელი კითხვები – ვინ არიან „შეიარაღებული რაზმის“
დანარჩენი წევრები? სად ჰყავთ გარდაცვლილები? ვინ გადაუჩა
სპეცოპერაციას? როგორ მოახერხა მობილიზება და აღჭურვა 17-კაციანმა
ჯგუფმა პანკისის ხეობაში? როგორ გადაადგილდნენ ასე შეუმჩნევლად
ხეობიდან დალესტნის საზღვრისკენ? საით მიდიოდნენ? რა მიზნები ჰქონდათ?
რატომ ჩატარდა „განადგურების“ და არა „აყვანის“ ოპერაცია?
„ლიბერალი“ აგრძელებს ამ კითხვებზე პასუხების მოძიებას.

▶ ბეჭა ქურხული
83.14

საცემალები უჩივნები

პატიმრები, სამხედროები, ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები,
სამუშაოლო დაწესებულებებში მყოფი პაციენტები – ეს იმ კატეგორიის
ამომრჩეველთა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც, კენჭისყრის დღეს
არჩევანს, საცხოვრებელი ადგილის ნაცვლად, სპეციალურ უბნებზე
გააკეთებენ. ექსპერტების თქმით, სპეცუბნებზე შედეგებით მანიპულირება
მმართველი პარტიისათვის პრობლემას არ წარმოადგენს.

▶ ზურაბ ვარდიაშვილი
83.20

ჩიტანბაზი და პოლიტიკური პარტიების ვებსაიტები

რას ნიშნავს კითხვაზე პასუხის გაუცემლობა, ან პასუხი „არ ვიცი“? ვის ეყუთენის სინამდვილეში ეს ხმები? ეინ არიან ეს ამომრჩევლები?

პოლიტიკური პარტიების ერთ-ერთი ბოლო რეიტინგი NDI-მ არჩევნებამდე 23 დღით ადრე, 7 სექტემბერს გამოაქვეყნა.

წინა კვლევის მსგავსად, 7 სექტემბერს გამოქვეყნებულ კვლევაში, პასუხი „არ ვიცის“ რაოდენობა მაღალი იყო.

 სალომე ცეცხლაძე
83.23

ფოტოების მიზანი

პარტიები კანკალები



 მარიამ ამურველაშვილის ფოტორეპორტაჟი
83.44-51

ფოტო:



ფოტო გამოქვეყნა

04 მოკლედ

06 რიცხვები, ციტატები
ორი აზრი

08 ირჩევენ თუ არა უნივერსიტეტში აკადემიურ პერსონალს და ადმინისტრაციას პოლიტიკური ნიშნით?

ინტერვიუ

10 „არცა ვუშვებ, რომ ამ ჯგუფის გადაადგილება არ იყო შეთანხმებული ადგილობრივ სამართალდამცავ სტრუქტურებთან“
არჩევნები 2012

26 მმართველი პარტიის ხელი საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირებაში

29 პარტიების ფინანსები წინასარჩევნოდ

ურნალისტური გამოძიება

32 მეტი კომუნიკაციი ხელისუფლებას საზოგადოებას

40 გენდერული თანასწორობა – ქართული საზოგადოების შეხედულებები
კომენტარი

43 ბებიები გადამალეთ – რუსები მოდიან!

კომენტარი

52 დალატის ეტიმოლოგია
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები

54 იდეალური ქალაქი

56 მიშიზმები

გამოცემა:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ქლენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემები:

„ცხვლი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ სააკტორო უფლებები დაცულია.

შურინდში გამოქვეყნებულ მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ჩატვა:

სტუმბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

საქართველოს ნინასაარჩევნობის ხარჯები და სხვა სენატორები ცნობილი



6 სექტემბერს საქართველოს წინასაარჩევნობის ვიზიტით ამერიკული სენატორები, რესპუბლიკური პარტიის წევრები ჯონ მაკეინი, ლინდსი გრემი და სენატორი ჯოზეფ ლიბერმანი ეწვივნენ.

სენატორებმა ხაზი გაუსვეს სამართლიანი არჩევნების მნიშვნელობას საქართველოს მომავალი განვითარებისთვის.

„მე მარტებს ის საკითხი, რომ არჩევნების შემდეგ, შეიძლება, მის შედეგებზე დავა დაიწყოს. ჩვენ გვინდა ვიზილოთ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები და ეს დამკირვებლებმა უნდა განსაჯონ, ხოლო დამარცხებულებმა შედეგები აღიარონ“, – განაცხადა მაკეინმა.

მისასალმებელი სიტყვისას მაკეინმა ხაზი გაუსვა, რომ ისინი ყურადღებით მოეკიდებიან და არჩევნების შეფასებისას დაეყრდნობიან საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმაციას არამხოლოდ არჩევნების მიმდინარეობაზე, არამედ წინასაარჩევნობის პერიოდზეც.

„ჩვენ არ ვანიჭებთ უპირატესობას რომელიმე კანდიდატს, მაგრამ ვამაყობთ იმ პროგრესით, რომელიც არის საქართველოში“, – თქვა მაკეინმა.

NDI: "წარმომადებრები მოძრაობას" მხას გამოხიტებთ 37% აჭახს, "უახთავ ისრაელს" ას - 12%

NDI-მ წინასაარჩევნობის კამპანიის დაწყების შემდეგ პარტიათა რეიტინგი პირველად გამოაქვეყნა.

კითხვაზე: ვის მისცემდით ხმას, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, NDI-ს მიერ გამოკითხულთა

37% ნაციონალურ მოძრაობას ასახელებს, „ქართული ოცნების“ რეიტინგი 12%-ია,

კითხვას უარყოფითად და „არ ვიცი“ კატეგორიით კი, სულ ჯამში, 43% პასუხობს.

2038 გამოკითხულიდან 91 % -ს ყველაზე მეტად პატრიარქი მოსწონს, პატრიარქს კი რიგში ვანო მერაბიშვილი (62%) და მიხეილ სააკაშვილი (61%) მოჰყვებიან.

გამოკითხულთა 42 % პირველ რიგში დადგებითად საქართველოს ჯარის საქმიანობას აფასებს, შემდეგ ადგილზე კი პოლიცია და შინაგან საქმეთა სამინისტროა. ვანო მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრად დანიშვნას ნაციონალური მოძრაობის მომსრულებელია 87% ეთამბება, „ქართული ოცნების“ ამომრჩეველთა 45% კი, არ ეთანხმება.

ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა 69 %-ს მიაჩინა, რომ ქვეყანაში დემოკრატია, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთაგან კი ამ მოსაზრებას მხოლოდ 10% იზიარებს. აღნიშვნული შეკითხვის დროსაც მაღალია „არ ვიცი“ პასუხებისა და კითხვაზე პასუხის ურყოფის სიჩრდი.

კითხვაზე, ვის ისურვებდით საქართველოს შემდეგ პრეზიდენტად, ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი (28%) „არ ვიცი“ კატეგორიას აქვს, 21% კითხვას უპასუხოდ ტოვებს, გამოკითხულთა 27% -ს პრეზიდენტად ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის წახა სურს, იგანიშვილის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის პრეზიდენტად ხილვის მსურველი 21%-ია.

DAILY TELEGRAPH-ის სონათ, იქნეა სიჩიაში 150 მფიციაჲი ბარაზნე

ბრიტანული გამოცემა Daily Telegraph-ი დასავლური დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით წერს, რომ ირანის პრეზიდენტმა, მაჰმედ აბადინიშვილი პირადად მონაცემის მონაცემის მიერ გამოკითხული კანდიდატის რეიტინგზე და ასავლეთის ქვეყნები მიერ გამოკითხულთა

სირიაში ვერტმფრენებით ჩაფრინდნენ და ასობით ტონა იარაღი ჩაიტანეს. თეირანში სირიის მმართველი ქალისადმი ასეთი სახის დახმარების გადაწყვეტილება ივლისში, სირიის თავდაცვის მინისტრის მკვლელობის შემდეგ მიიღეს. მოგვიანებით, სირიელმა აჯანყებულებმა 48 ირანელი შეიპრეს, რომლებიც Daily Telegraph-ის მიხედვით, თეირანის მიერ წარგზანილი ისლამური რევოლუციის გუშაგები იყვნენ. ოფიციალურმა თეირანმაც დაადასტურა, რომ სირიაში მისი მოქალაქეები დაატყვევეს, თუმცა, მისი ინფორმაციით, ერაყის მოქალაქეები სირიაში სალოცავად იყვნენ ჩასულები. სირიაში წელიწადნახვარზე მეტია სამიქალაქეული დაპირისპირება გრძელდება პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის რეჟიმსა და ოპოზიციას შორის. ირანი კონფლიქტის დასაწყისიდანვე ღიად უჭერს მხარს ასადის რეჟიმს. დასავლეთი კი სირიის ოპოზიციას გულშემატკიცვრობს, თუმცა საომარ დახმარებას აჯანყე-



ბულებისადმი დასავლეთის ქვეყნები მხოლოდ იმ შეკითხვევაში აპირებენ, თუ სირიის მთავრობა საკუთარი მოსახლეობისადმი ქიმიურ იარაღს გამოიყენებს.

შეახთავის შასტაბი

"ჰასანის კაცი" ტეჟორისტულ დაბავებაზე სონათ, იქნეა სიჩიაში 150 მფიციაჲი ბარაზნე

პაკისტანისა და ავღანეთის ტერიტორიაზე მოქმედი დაჯგუფება, ჰასანის ქსელი, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ 2-წლიანი განსჯის შემდეგ, ტერორისტულ დაჯგუფებად ცნო და შავ სიაში შეიტანა.



ეს გადაწყვეტილება თეთრმა სახლმა დაჯგუფების მიერ რამდნომე თავდასხმის შემდეგ მიიღო, მათ შორის იყო თავდასხმა ქაბულში შეერთებული შტატების საელჩოზე.

ჰაკანთა ქსელი თვითმევლელ ტერორისტებსაც აერთიანებს. ბოლო წლებში ჰაკანის დაჯგუფებამ ავღანეთში ნატო-სა და აშშ-ს სამხედრო მისიის ყველაზე მეტი ჯარისკაცი დახოცა. ისინი ავღანეთის მთავრობის წინააღმდეგაც იბრძვიან. დაჯგუფების სათავეში თალიბთა სამხედრო ლიდერი, ჯალალედინ ჰაკანი დგას. ზოგი ვერსიით, ჰაკანთა დაჯგუფებას პაკისტანის მთავრობა ეხმარება. The New York Times-ის ინფორმაციით, შეერთებული შტატების მაღალჩინოსანთა ნაწილი ფიქრობს, რომ „ჰაკანის ქსელის“ ტერორისტულ დაჯგუფებად აღიარება საფრთხეს უქმნის დაჯგუფების მიერ ტყვედ აყვანილ მოქალაქეებს და საბოლოო ჯაში უარყოფითდ იმოქმედებს ჰაკისტანისა და ამერიკის ურთიერთობაზე. მათი ოპონენტები კი პირიქით, იმედოვნებენ, რომ ამის შემდეგ ისლამაბადი ისლამისტებისადმი ბრძოლას გაამკაცრებს.

ჰაკანის დაჯგუფების ტერორისტულად აღიარების პარალელურად, შეერთებული შტატების მთავრობამ ტერორისტების სიიდან ოფიციალურად გამორიცხა ნეპალის კომუნისტურ-მაოისტური



პარტია, რომელიც ამ სიაში 2003 წელს შეიტანეს. აშშ-ს მთავრობის აზრით, ეს პარტია შეერთებული შტატების უსაფრთხოებისთვის საფრთხეს უკვე აღარ წარმოადგენს.

ნეპალის კომუნისტურ-მაოისტური პარტიის მომხრეებმა 1996-2006 წლებში სამოქალაქო დაპირისპირების შემდეგ, მონარქიული ქვეყნის რესპუბლიკად გარდაქმნა მოახერხეს. ამ პერიოდში იატაკევეშეტში მებრძოლო მაოისტები ბრძოლის ძალადობრივ მეთოდებს იყენებდნენ და მეომრებსა და სამოქალაქო ობიექტებს ესხმოდნენ თავს. 2008 წელს მაოისტებმა არჩევნებშიც გაიმარჯვეს და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი მაოისტი ბაბურამ ბჟატარი გახდა.

სამხერთ ხავასის ქვეყნებს ნატოს ბენეჟილი მიზანი ხელვა ჩითეა ცვილი

საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ნატოს გენერალური მდივანი, ანდერს ფოგ რასმუსენი იმყოფებოდა. ნატო-ს გენერალური მდივნის განცხადებით, მისა სამხრეთ კავკასიის რეგიონში მოგზაურობა ევროატლანტიკური უსაფრთხოებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ნატო საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორში რეფორმებით

ეხმარება და მოუწოდებს, რომ განაგრძონ რეფორმების გზა.

„სამხრეთ კავკასიას დიდი ეკონომიკური პოტენციალი აქვს, თუმცა გადაუჭრელი კონფლიქტების გამო ის დაბლოკილია. ახლანდელი დაძაბულობა უნდა შემცირდეს და კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას, რათა რეგიონული თანმიმდევრობა არსებობდეს. თბილისში ყოფნის დროს, მინდა საქართველოს ხელისუფლებას და ხალხს მხარდაჭერისთვის მადლობა გადავუხადო, ეს ქვეყანა ნატოსთვის განსაკუთრებული პარტნიორი და ერთგულების მაგალითია“ – ნათქვამია გენერალური მდივნის ვიდეომიმართვაში.

რასმუსენმა ავღანეთის სამშეიდობო მისამი საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილიც ახსნა და აღნიშნა, რომ შემოდგომაზე ნატო-ს არაწევრ ქვეყნებს შორის საქართველო ყველაზე დიდი კონტრიბუტორი გახდება. □



რიცხვები, ციტატები

1 სექტემბრიდან

საყოველთაო დაზღვევის პროგრამა ამოქმედდა.
პენსიონერებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს და 18 წლამდე, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს სადაზღვევო პილისები პენსიებთან ერთად „ლიბერთი ბანკში“ დაურიგდებათ.

8000-მდე პედაგოგი

სერტიფიკატი გადაეცა. მიმღინარე წლიდან სერტიფიცირების მსურველები გამოცდის ჩაბარებას წელიწადში რამდენჯერმე შეძლებენ.

12% NDI-ს კვლევის

მიხედვით, კალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია.

77% საპარლამენტო

არჩევნებზე წასვლას აპირებს. NDI-ს მონაცემებით, სამართლიანი არჩევნების ჩატარების უმთავრეს დაბრკოლებად ამომრჩეველთა მოსყიდვა, სიებთან დაკავშირებული პრობლემები და საარჩევნო ყუთებში ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრა დასახელდა.

301 ინციდენტი

დაფიქსირდა ნინასაარჩევნო პერიოდში. მათ შორის, 198 ზენოლის ფაქტი. ამომრჩევლის მოსყიდვის 46 ფაქტი. ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების - 41, და სხვა ტიპის 16 შემთხვევა.

„ჩვენ არ ვანიჭებთ უპირატესობას რომელიმე

კანდიდატს, მაგრამ ვამაყობთ იმ პროგრესით,

რომელიც საქართველოშია“ –

ამერიკის რესპუბლიკური პარტიის წევრი,

სენატორი ჯონ მაკეინი საქართველოში

ნინასაარჩევნო ვიზიტისას.



„კარგა ხანია, უნივერსიტეტი აღარ არის

სასწავლო დაწესებულება, ეს პარტიის

იდეოლოგიური დანამატია“ –

ლელა გაფრინდაშვილი, ფილოსოფოსი.



„საქართველო ნატოსთვის განსაკუთრებული

პარტნიორი და ერთგულების მაგალითია.

საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს

ავლანეთის სამშვიდობო მისიაში. შემოდგომაზე

საქართველო გახდება ყველაზე დიდი



კონტრიბუტორი ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის

და ეს უდიდესი მიღწევაა“ –

ნატოს გენერალური მდივანი, ანდერს ფოგ

რასმუსენი საქართველოში ვიზიტისას.

„ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ

მოძრაობას“ ვურჩევ, რომ ამომრჩეველთან მეტი

კონტაქტი დაამყარონ, რათა საზოგადოებამ

კარგად იცოდეს მათი მიზნები და შესაბამისად,

სწორი არჩევანი გააკეთოს“ –



ლუის ნავარო, NDI-ს თბილისის ოფისის

ხელმძღვანელი ნინასაარჩევნო პერიოდში

პარტიების რეიტინგების კვლევის

პრეზენტაციისას.



www.ucnobifm.ge

დიახ

ნოდარ ხადური

პროფესორი, კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს ხელმძღვანელი.

„მე სრული პროფესორის თანამდებობა 6 წლის განმავლობაში მექირა, ორჯერ გავედი კონკურსში. ერთხელ გავედი 2006 წელს სამი წლით და ვიყავი სრული პროფესორი. შემდეგ უკვე 2009 წელს მივიღე მონაწილეობა და მეორედაც გავედი. მიუხედავად იმისა, რომ მაშინაც ოპოზიციურ პარტიაში ვიყავი. 6 წლის განმავლობაში არასოდეს მიგრძნია არავისგან, რომ უნივერსიტეტში პარტიულობას აქცევდნენ ყურადღებას. მე ძალიან ნეიტრალური ვიყავი და უნივერსიტეტში პოლიტიკაზე არასოდეს მისაუბრია.

ახლა, როდესაც გამოცხადდა კონკურსი, მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ უნივერსიტეტი არ მიაქცევდა ყურადღებას იმ ფაქტს, რომ მე პარტია „ქართული ოცნების“ წევრი ვარ. ვინაიდან, ჩემს საბუთებში ძალიან რთული იყო რაიმე ხინჯის პოვნა.

მაგალითად, მე საქართველოში მეორე თუ არა მესამე მაინც ვარ ეკონომისტებს შორის, ვისაც ციტირების ინდექსი აქვს და ჩემი ნაშრომით ამერიკაში ჰოპკინსის უნივერსიტეტში ასწავლიან. ასზე მეტი ნაშრომი მაქვს გამოქვეყნებული შეერთებულ შტატებში, შეედეთში, ბულგარეთში, რუსეთში, აზერბაიჯანში, უნგრეთში და, თავისთავად, საქართველოში. ძალიან ბევრი საქმე გაკეთდა კათედრაზე, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი.

ამიტომ ვერ ვხედავ ლოგიკურ მიზეზს, თუ რატომ არ უნდა გავსულიყოვანი. ერთადერთი, რაც თავში მომდის, არის ის, რომ ვარ ოპოზიციურ პარტიაში. როდესაც პროფესიული თვალსაზრისის ნაცვლად გადაწყვეტილების მიღების დროს კომისია ხელმძღვანელობს ასეთი მოტივებით – ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელი. არაპროფესიული ნიშნით უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის ან ადმინისტრაციის შერჩევა არ უნდა ხდებოდეს. პროფესიული თვალსაზრისით, ძალიან თავმდაბალი ვიქენი, მაგრამ ვიტყვი, რომ ნოდარ ხადური საქართველოში ძალიან ცუდი ეკონომისტი არ არის და რაღაც გამიერებია ეკონომიკაში, მაკროეკონომიკაში და, მათ შორის, უნივერსიტეტში. ამიტომ, ლოგიკურ საფუძველს იმისა, რომ მე უნივერსიტეტის სრული პროფესორი აღარ ვარ, ვერ ვხედავ. ახსნა-განმარტებაც არ მიმიღია, თუმცა ის ადგილი ვაკნეტურია, სადაც მე უნდა ვყოფილიყოვანი და ხელახალი კონკურსია გამოცხადებული. მე კვლავ ვაპირებ საბუთების შეტანას.

მართალია, უნივერსიტეტის ავტონომიურობა შეზღუდულია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ეს შეზღუდული ავტონომიურობაც ქალადზე რჩება. მნიშვნელოვანია, შეიცვალოს გარემო, რადგან უნივერსიტეტში აკადემიური თავისუფლება უნდა იყოს აბსოლუტური. პროფესორი უნდა იყოს თავისუფალი ადამიანი. ■



ფოტო: ლევან ბერიძე/სამხედრო აკადემია

იჩჩვენ თუ აჩა ცნოვების ეს აღმინისტანის ც

■ ვერ ვხედავ ლოგიკურ მიზეზს, თუ რატომ არ უნდა გავსულიყოვანი. ერთადერთი, რაც თავში მომდის, არის ის, რომ ვარ ოპოზიციურ პარტიაში. როდესაც პარტიაში ასეთი მოტივებით – ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელი. არაპროფესიული ნიშნით უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის ან ადმინისტრაციის შერჩევა არ უნდა ხდებოდეს. პროფესიული თვალსაზრისით, ძალიან თავმდაბალი ვიქენი, მაგრამ ვიტყვი, რომ ნოდარ ხადური საქართველოში ძალიან ცუდი ეკონომისტი არ არის და რაღაც გამიერებია ეკონომიკაში, მაკროეკონომიკაში და, მათ შორის, უნივერსიტეტში. ამიტომ, ლოგიკურ საფუძველს იმისა, რომ მე უნივერსიტეტის სრული პროფესიონალი აღარ ვარ, ვერ ვხედავ. ახსნა-განმარტებაც არ მიმიღია, თუმცა ის ადგილი ვაკნეტურია, სადაც მე უნდა ვყოფილიყოვანი და ხელახალი კონკურსია გამოცხადებული. მე კვლავ ვაპირებ საბუთების შეტანას.



ცხში ანალიტიკური პროცესის ნიშნით?

■ საქართველოს თითოეული მოქალაქის, მათ შორის, უნივერსიტეტის თანამშრომლის სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებას განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თსუ აპოლიტიკური სასწავლო დაწესებულებაა, სადაც პოლიტიკური აქტივობებისა და პროპაგანდის ადგილი არ არის. შესაბამისად, პოლიტიკურ ორგანიზაციებს არ ეძღვავათ თსუ-ში მსგავსი ხასათის ლინისძებების ჩატარების უფლება.

პრი

ალექსანდრე კვიტაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევისას არ ინტერესდება მოქალაქების პოლიტიკური არჩევანით ან საქმიანობით. საქართველოს თითოეული მოქალაქის, მათ შორის, უნივერსიტეტის თანამშრომლის სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებას განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თსუ აპოლიტიკური სასწავლო დაწესებულებაა, სადაც პოლიტიკური აქტივობებისა და პროპაგანდის ადგილი არ არის. შესაბამისად, პოლიტიკურ ორგანიზაციებს არ ეძღვავათ თსუ-ში მსგავსი ხასათის ლინისძებების ჩატარების უფლება.

რაც შეეხება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის წესს – აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ტარდება შესაბამისი კონკურსები (წესი განსაზღვრა თსუ-ს აკადემიურმა საბჭომ), ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძვლზე ხდება.

ბოლო პერიოდში გავრცელებული განცხადებები, თითოებს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ჩატარებული კონკურსების დროს კომისიამ კონკურსანტთა პოლიტიკური შეხედულებებით იხელმძღვანელა, საფუძვლადაც მოკლებული. კულტურული კონკურსების დროს კომისიამ კონკურსანტთა პოლიტიკური შეხედულებებით იხელმძღვანელა, საფუძვლადაც მოკლებული. კულტურული კონკურსების დროს კომისიამ კონკურსების დროს კონკურსების და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და ადმინისტრაცია არასოდეს დაინტერესებულა მათი პოლიტიკური შეხედულებებით.

ამ ეტაპზე აკადემიური პერსონალის შესაჩერები კონკურსი რამდენიმე ფაკულტეტზეა დასრულებული. მომავალ კვირას ცნობილი გახდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის შესაჩერები კონკურსების შედეგები. შედეგით უკმაყოფილო წებისმიერ კონკურსანტს საშუალება ექნება გაასაჩინოს გადაწყვეტილება. ამისათან, კონკურსების შემდეგ ზოგიერთ მიმართულებაზე დარჩა ათობით ვაკანტური ადგილი. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაბილეობა ხელახლა მიიღონ. აქვე კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ აკადემიური პერსონალის შერჩევას ახორციელებენ სპეციალური საკონკურსო კომისიები, რომლებიც დაკომპლექტებულია შესაბამისი დარგის სპეციალისტებითა და ექსპერტებით. აღნიშნული კომისიები გადაწყვეტილებას იღებენ კენჭისყრის წესით და მათ საქმიანობაში უნივერსიტეტის ადმინისტრაცია არ ერევა. **■**



ფოტო: ლევან სიმახუაშვილი

"აჩენი ვეშვებ, ჩომ ამ აგაფის გაღიანებილება ამ იყო შეთანხმების აღიღობების სამართლისადაც სტაციარაბინა"

ინტერვიუ პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერთან
ირაკლი ალასანიასთან

კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ალასანია გვესაუბრება ლოპოტის ხეობის სპეციალურაციაზე, მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე, დასავლელი პარტიიორების განწყობებსა და ბიძინა ივანიშვილის საკადრო პოლიტიკაზე.

■ რა კითხვები გაქვთ ლოპოტის ხეობაში ჩატარებულ სპეციალისტისათვის და ავტომატიზაციის მიმღებით?

ოპერაცია აბსოლუტურად არაკომპეტენტურად იყო დაგეგმილი. პირველ რიგში, ურთიერთგამომრიცხავ და ყალბ ინფორმაციას აწვდიდნენ საზოგადოებას თვითონ შსს-ს წარმომადგენლები და მათთან ერთად, პრეზიდენტი და უშიშროების საბჭოს მდივანი, დახვრეტილი რაზმის წარმომავლობასთან დაკავშირებით. ასევე, ეჭვს იწვევს ისიც, რომ რეალურად საზოგადოებას უმაღლეს, თუ რა მოთხოვნებს აყენებდნენ ამ ჯგუფის წევრები და ვინ აწარმოებდა მათთან კონკრეტულ მოლაპარაკებებს. რატომ არ იყო დაგეგმილი გაუვრცელყოფის, აყვანის ოპერაცია? როგორც ჩანს, ეს იყო განადგურების ოპერაცია. რამდენად აუცილებელი იყო მათი განადგურება? ჯგუფის წევრების აყვანის შემთხვევაში, მათ შეეძლოთ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის საჭირო ინფორმაცია მოეწოდებინათ.

ეჭვს ამძაფრებს ისიც, რომ ოპერაციას შემდეგ ერთი ადამიანიც კი ვერ გადარჩა, პრაქტიკულად ყველა გაანადგურეს, ვისაც შეეძლო სიმართლე ეთვეა ამ ჯგუფის რეალურ მიზნებსა და ამოცანებზე.

ასევე, რატომ არის დიდი ზეწოლა ყველა თვითმხილველზე, მათ შორის, დაღუპული მეომრების ოჯახის წევრებზე? მათ აკრძალული აქვთ მედიასთან ურთიერთობა, ისევე როგორც, იმ ქართველებს, რომლებიც სამართალდამცავების ინფორმაციით, ტყვეობაში ჰყავდათ „დივერსანტებს“.

■ თუმცა, ოფიციალური წყაროების ცნობით, ჯერ არ აუყანიათ ჯგუფის 6 წევრი, რომლებიც, სავარაუდო, ისევ ლოპოტის ხეობაში იმაღლებიან.

ჩემი აზრით, აქ საუბარია ფანტომურ ექსკავიან ჯგუფზე, რომლის შესახებაც არაფერია ცნობილი. ვიცნობთ რა იმ რელიეფს, რეგიონს, საზღვრის პერიმეტრს, ძნელი დასაჯერებელია, რომ ამხელა ჯგუფის მიერ საზღვრის გადაკვეთა ან გადმოკვეთა ქართული

თუ რუსული მხარისთვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო. მით უმეტეს, რომ გაუაუმჯობესეთ საზღვრის მონიტორინგის სისტემა.

ჩემი პროფესიული გამოცდილებით, არცყო დაუშვებ იმ ვერსიას, რომ ამ ჯგუფის გადაადგილება არ იყო შეთანხმებული ადგილობრივ სამართალდამცავ სტრუქტურებთან. წარმოუდგენლით, ასეთი ჯგუფის გადაადგილება გამორჩეს ოპერატორულ სამსახურებს.

ჩემნეთიდან თუ ჩრდილოკავკასიიდან გადმოსული, თავშესაფრის მთხოვნელი დევნილების, თუ შეიარაღებული ჯგუფის წევრების რიცხვი საქართველოში საკმაოდ დიდია და არასდროს ყოფილა შემთხვევა, რომ ასეთი მასშტაბის ჯგუფი შემოსულიყო ხეობაში ან გასულიყო ხეობიდან შეუმჩნევლად ან ადგილობრივი სამართალდამცავი სტრუქტურების მონაბილეობისა თუ თანხმობის გარეშე. თუკი იყო ასეთი შეთანხმება, და ჯგუფი გადიოდა ხეობიდან, რატომ მაღლებრ და არ ამბობებ ამ ჯგუფის დანიშნულებას, მათ ამოცანას?

■ ისევ თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლებოდა 17-კაციან ჯგუფს მოხერხებინა მობილიზება, შეიარაღება და გადაადგილება შეუმჩნევლად ამ პატარა ხეობაში?

მგონია, რომ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. მე არ ვარ სამართალდამცავ სტრუქტურებში და არ ვფლობ ოპერატორულ ინფორმაციას, რომ მისი ანალიზი შევძლო, მაგრამ შეუიარაღებელი, არაინფორმირებული ადამიანისთვისაც კი ცხადია, რომ წარმოუდგენლია ასეთი ჯგუფის შექმნა, შეიარაღება, წევრების კვება და გადაადგილება შეუმჩნეველი იყოს ადგილობრივი სამართალდამცავებისთვის. ეს მიღრმავებს ეჭვს, რომ გარკვეული კონტაქტი ამ ჯგუფსა და ქართველ სამართალდამცავებს შორის იყო, მაგრამ რას გულისხმობდა ეს შეთანხმება? – ამ და სხვა კითხვებზე პასუხები უნდა მივიღოთ.

■ რა ტიპის ინფორმაცია უნდა იყოს ლია და რა უნდა იყოს დახურული ასეთი სპეციალისტის დროს?

სამართალდამცავი და სპეციალური სახელმწიფო სტრუქტურები არიან საზოგადოების წინაშე. ეს უშიშროების საბჭოს მდგრადი უნდა ესმოდეთ. თუმცა, მე არ მივიღოს მათი ცინიკური დამოკიდებულება საკუთარი ხალხისა და მათ შორის, დაღუპულებისა და მათი ოჯახების მიმართ.

რა თქმა უნდა, საიდუმლოა სპეცდანიშნულების რაზმის მოქმედების მეთოდები, მათი შეიარაღება, შემადგენლობა, დისლოკაციის ადგილი და ა. შ. ეს ინფორმაცია, ბუნებრივია, დაცული უნდა იყოს საჯაროობისგან, მაგრამ ყველა დანარჩენი შეკითხვა, რომელიც დაესაით, ლევიტიმურია და მათ პასუხი უნდა გაეცეს.

■ თქვენ რა დამატებითი ინფორმაცია გაქვთ და რა დასკვნებს აკეთებთ?

არ მინდა ვარაუდებები დაყრდნობით გავაკეთო განცხადებები, მით უმეტეს, რომ ისედაც პოლიტიკურად პოლარიზებული ვითარებაა, წინასარჩევონ კამპანია მიმდინარეობს და ეს საკითხი არ მინდა დებატების საგანი გავხადო. თუმცა, მე ცალსახად შემიძლია ვთქავა, რომ საქართველოს ხელისუფლება, კონტრეტულად სამართალდამცავი სტრუქტურები და უსაფრთხოების მესვეურები აშკარად არასწორ ინფორმაციას ანგარიან მოსახლეობას.

ამას გარდა, მინდა აღვნიშნო, რომ დღესაც ნათლად გამოჩნდა, რამდენად მყიფეა საქართველოს უსაფრთხოება. ის სტაბილურობა, რაზეც პრეზიდენტი სააკავშირო ლაპარაკობს, საზღვრის დაცვიდან დაწყებული, შიდა უსაფრთხოებით დამთავრებული, პრაქტიკულად არ მუშაობს. ამის მიზეზია ის, რომ ჩენენდა სამწუხაროდ, კონტრდაზევრებისა თუ კონტრტერორიზმის მთელი ძალები და რესურსები გადართულია პოლიტიკური მიზნების სკენი. პირადი მემადგენლობა დატვირთულია პოლიტიკური იდეოლოგიით, პოლიტიკური ამოცანებით.

■ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ჩვენს

ሆነትიይንትოልፋዊነት ፈርማዎች
የሚፈጸምበት አገልግሎት ተስተካክል

ურთიერთობებზე ქისტებთან და
ჩრდილოკავკასიულებთან?
მე ლიად გამოვთევი ჩემი მწუხარება
ქართველი სპეციაზშელების ოჯახების
მიმართ. ასევე, ჩემთვის საქართველოს
ყველა მოქალაქე დანაკლისია, ადამია-
ნური ტრაგედია. მაგრამ ასევე შეირად
გვავიწყდება, რომ ამას შეიძლება შორს
მიმავალი პრობლემები მოჰყვეს. მაინც
მგონია, რომ ჩვენი ურთიერთობები
ქისტებთან, ჩემნიგბითან, განსაკუთრე-
ბით პანკისში 2002-2003 წლების მერე
იმდენად მრავალჭირნაზულია, რომ ამ
ტრაგედიასაც გადავიტანთ. ქისტებისა
და ჩვენი საზოგადოების მოთმინებისა
და სიბრძნის იმედი მაქს.

¶ როგორი წინასაარჩევნო განცყობაა ზუგდიდში?

ზუგდიდშიც არათანაბარ მდგომარეობაშია „ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“. ყველა ბილბორდი დაკავებული აქვთ. ორი კვირაა უშედეგოდ ვთხოვთ ადგილობრივ მმართველობას, რომ ადგილი გამოვიყონ. ალარაფერს ვამბობ ნაციონალურ არხებზე, სადაც, პრაქტიკულად, დროს არ გვითმობენ, რომ ჩვენი სათქმელი ზუგდიდის ამომრჩევლამდე მივიტანოთ. მიუხედავად ამ არათანაბარი პირობებისა, ოპონენტის მიმართ ჩემი თხოვნაა, რომ ადგილობრივი თუ ცენტრალური არხის ეთერში დატხსდეთ, ვიკამათოთ და ზუგდიდელებს მივცეთ საშუალება, ინფორმირებული არჩევანი გააკეთონ. დღემდე პასუხი არ გაუციათ.

ამ ყველაფრის მიუხედავად, საზოგა-
დოების უმრავლესობა მაინც პოლობს
საშუალებას, მიიღოს ინფორმაცია
ჩვენი უმუალო შეხედრუბით, გავრცე-
ლებული მასალებით. მე იმედიანად ვარ
განწყობილი, რომ კონკურენტული არ-
ჩევნები შედგება და შევძლებთ, ხალხის
არჩევანი დავიკვათ.

ბოლო 11 დღეა, რაც ჩვენს შეხვე-
დრებზე ზონდერჯგუფების მოგზავნა
შეწყდა, რომლის მიზანიც იყო ჩვენი
წყობიდან გამოყენა, გვასოვს ქე-
ბის სროლა, ნასვამი ადამიანების მიერ
მხარდამჭერების გამოწვევა. ეს შეწყდა
იმიტომ, რომ სადაც კურირებლო მისიერმა

აქტუერად მუშაობა დაიწყეს. თუმცა, ეს საკმარისი არ არის. ჩვენ გვექნდა შეცვედრები სენატორებთანაც, საელჩოსა და ეროვნულშირის ნარმობადგენლუპთან, ავუხსენით, რომ ძლიერი მონიტორინგი უნდა იყოს სოფლებშიც და არა მხოლოდ რაიონულ ცენტრებში.

რამდენიმე დღეა, ჩემმა ოპონენტმა
ახალაიამაც დააწყო წინასაარჩევნო
კამპანია. მე პატივს ვცემ ჩვენი მამების
თაობას. მინდა, რომ შუგდიდელებს
ლირსუელი ოპონირების მაგალითი
მივცეთ, ამიტომ შევთავაზე დებატები,
რომელსაც, სამწუხარიდ, არ თან-
ხმდება და ნაც-მოძრაობის მხრიდან
ენთუზიაზმი არ ჩანს. ეჭვი მჩნდება,
რომ ძველი, ნაცადი ხერხებით სურს
გავიდეს ფონს, ამომრჩეველთა დაშინე-
ბისა და არჩევნების გაყალბების გზით.
მაგრამ ეს ნარსულს ჩაპაროა.

**¶ თქვენი აზრით, დასავლეთში ხომ არ
მიაჩინათ, რომ სააკაშვილის ხელისუფლე-
ბა მათთვის საუკონის პარტნიორია?**

Ես լուցօնիմուրո Ռյազանտեզա ուց 2008
Եղևս դա մծրոնոնքը լո հեմո ոն-
տընսուրո կազմուրենու սա օպազալնչը
Ռյամունու աշտա ռու սա օպազ-
տես գրմենք ճա ճա սա վալու տո, մամոն
մատցու սպատակու ալուրնագու ար
հանդա. Ծայս ամեռություրա մը բազու-
լու ճա մարու գու պատա ա. մամոն կու զ
յուրեն ճա ճա մարու պատա ճա ճա մա

შესვედრებმა სენატორებთან, პირადად
მაკეუთნათან, ლიბერმანთან და გრე-
მთან. დაურნებული, რომ დასავლელი
პარტიის მიერ აღმოჩენილი იყო
„ქართულ ლინიადის“ მიერ დასავლელი

¶ ქვეყნის დასავლელი პარტნიორებისა-
თვის ეჭვარეშეა „კოალიციის“ დასა-
ვლეური ორიენტაცია? ხომ არ აქვთ მათ
კითხვები უშუალოდ იგანიშვილთან
დაკავშირებით?

„ოცნებასთან“ დაკავშირებით კი-
თხვები არ არსებობს, დღევანდელი შე-
ხვედრაც ამის დასტურია. სენატორებმა
დღესაც მიიღოს ამიმწურავი პასუხი და
დასტური იმისა, რომ ჩვენ განვაგრძო-
ბთ მონაწილეობას ნატოს სამხედრო
ანტიტერორისტულ ოპერაციებში
იმიტომ, რომ საქართველოს სჭირდება,
იყოს მონაწილე ასეთი უსაფრთხოების
ის მიერაციებისა. გეზი ევროპული
ოჯახისაკენ უცვლელია იმის მოუხე-
დავად, თუ რა ნარატივს ავრცელებენ
ნაციონალური მოძრაობის ლობისტე-
ბი, რომელთაც, სხვათა შორის, ჩვენი
გადამზღვეულები აჯინანსებენ.

ჩევნენ ამერიკულ პარტიის წევნიორებს უნდათ, რომ ყველა ცვლილება მოხდეს მშვიდობიანად და ბოლო 20 წლის განმავლობაში, შეიქმნას პირველი პრეცედენტი იმისა, რომ არჩევნების გზით შეიცვალოს ხელისუფლება. აქვე დავძენ, რომ სენატორებს, მაკეინსა და ლიბერმანს, არაერთხელ უთქვამთ პირადად ჩემთვისაც, რომ სააკადემიულის მცდელობა, დარჩეს ხელისუფლებაში, პუტინის მსგავსად, მათთვის მოუღებელია. უნდა მოხდეს ხელისუფლების გადაცემა არჩევნების გზით, სააკადემიულმა უნდა მისცეს შანსი დემოკრატიას და არ აოუთვის წინ ხაოხის არჩევანს.

ଅମ୍ବରିକ୍ୟେଲ୍‌ଡୋସ ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ ପ୍ରାଦଲସାବାଦା.
ଇଲିନୋ ପାତ୍ରିଗ୍ୟେ ସକ୍ରମୀକରଣ ବାଲକୀଳା ଆରହିଗ୍ରହଣ
ଏବଂ ଅପ୍ରକାଶିତ୍ୟେତ୍ତିକୁଳ ସାହରତାଶମରିଳାଙ୍ଗ
ମରଗାନ୍ତିଥାପିକ୍‌ରୋଡ୍‌ରେ ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ
ରୋ ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ
ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ
ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ
ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ ପାନ୍‌ଥିଓଫ୍ରୋ

მოხდეს კანონის ფარგლებში და, რა თქმა უნდა, გვაქვს სრული თანხმობა ჩვენს ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთან.

ჩვენ ვთვლით, რომ კონკურენტული არჩევნების ჩატარება ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა და „ოცნების“ მიზანი სწორედ ასეთ არჩევნებში გასვლა. ჩვენ ნაკლებად გვხიბლავს გაყალბებულ არჩევნებთან ბრძოლა. მთავარია, ასეთ არჩევნებში გავიმარჯვოთ.

■ „კოალიციის“ საარჩევნო სიებზე და მაჟორიტარებზე რომ ვისაუბროთ, რამდენად თანმიმდევრულია ბიძინა ივანიშვილის საკადრო პოლიტიკა? სიის ბირველი ნომერი კახი კალაძეა, მაჟორიტარებშიც სპორტსმენები და მსახიობები არიან, აღარაფერს ვამბობ ისეთ კონტროვერსიულ ადამიანებზე, როგორებიც არიან შალვა ხაჭაპურიძე და მურმან დუმბაძე.

მომწონს, რომ უურნალისტები უკვე მკაცრად აფასებთ ჩვენს საკადრო პოლიტიკას, ჩვენთვის ეს სასიმოვნოა. ვერ დაგეთანხმებით, რომ არათან-მიმდევრულები ვართ პოლიტიკური ხედვის კომუნიკაციაში. ჩვენ ვრჩებით ერთგული ჩვენი გაცხადებული მიზნებისა.

არ შემიძლია, არ გავიზიარო თქვენი კრიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ საარჩევნო სიების შედგენაში სრულყოფილებას ვერ მივაღწიეთ. მაგრამ ჩვენი საზოგადოებაც არასრულყოფილია. ამდენი დიმიტრი გელოვანი ვერ ვიპოვეთ. შეცდომები იყო და ალბათ, მომავალშიც იქნება. მაგრამ მთავარია, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, კომპეტენტური ადამიანები შემოვიკრიბოთ.

■ ჩემი კითხვის პათოსიც ესაა – თქვენი საარჩევნო სია არ მეტყველებს იმაზე, რომ არჩევანი კომპეტენციის სასარგე-

ბლოდ გაკეთდა. კახი კალაძეც, პირველ ნომრად, ამის მაგალითია.

აბსოლუტურად ლოგიკურია, რომ სიის სათავეში არის ახალი პარტიის – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ – წარმომადგენელი, იმიტომ, რომ კოალიცია შექმნა და დაქსაქსული ოპოზიციური ძალები ბიძინა ივანიშვილმა გააერთიანა. ლოგიკურია, რომ მისი პარტიის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ სიის სათავეში.

რაც შეეხება კახი კალაძეს, ის მართლაც მისაბაძი ადამიანია სხვა-დასხვა თაიბისათვის, ჩვენი მოქალაქეებისთვის. მან დაასრულა თავისი სპორტული კარიერა, შემდეგ შეიძინა ძალიან კარგი ბიზნეს გამოცდილება და აბსოლუტურად ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ კახი კალაძე იმსახურებდა სიის სათავეში ყოფნას.

ესეც თქვენ კორექტული პასუხი. **■**

ესაუბრა შორენა შავერდაშვილი.

Radio Commersant

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის კორსონალური რადიო

Commersant.ge

რეკორდაცი

სპეციალური ცოდნული ხელშეკრულება

სპეციალურაცია კვლავ გრძელდება. ლოპოტის ხეობიდან ჯარები არ გამოუყვანიათ. პანკისში კი გარდაცვლილების ცხედრებს ისევ ელიან.

ბეჭა ქურხული

„კიდევ ბევრ ცუდ ამბავს გავიგებთ“, „გაყალბდება არჩევნები“ „შეიძლება, სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყოს“ – ეს ის საკითხებია, რომლებიც ბოლო კვირის განმავლობაში პანკისის ხეობაში უკვე მეორედ ჩასულებს დაგვხვდა.

ადგილობრივი მოსახლეობა ახლაც დაზაფრული, გაპრაზებული და გაოგნებულია. გაპრაზებას და გულისტკივილს განსაკუთრებით გაურკვევლობა, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია და ამასთან დაკავშირებით ატეხილი მითქმა-მოთქმა ამძაფრებს. უამრავი პასუხაუცემელი კითხვაა: რატომ? რა მოხდა? ვინ გაიყვანა ეს ბიჭები ხეობიდან? ქისტებს განსაკუთრებით მიცვალებულების გადაცემასთან დაკავშირებით ატეხილი, სრულიად გაუგებარი „დამალობანა“ აღიზიანებთ.

29 აგვისტოს პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის პრესპიკერი ხოთა უტიაშვილი „ლიბერალის“ კითხვაზე, „არის თუ არა სოფელ ლა-

ფანყურში ჩატარებული სპეციალურაცია ანტიტერორისტული ხასიათის“, – დადებითად პასუხობდა. „ვის წინააღმდეგ მიმდინარეობს სპეციალურაცია?“ – „ჩრდილოეთ კავკასიელების“, – თქვა შოთა უტიაშვილმა. ხოლო კითხვაზე, „უკავშირდება თუ არა სპეციოპერაცია დალესტანში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს“ – პრესსპიკერის პასუხი უარყოფითი იყო.

30 აგვისტოს შსს ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს: „ლოპოტის ხეობაში მიმდინარე სპეციალურაციის ძირითადი ფაზა დასრულებულია. შეიარაღებულ დივერსანტთა ჯგუფის 11 წევრის გვამი ნაპოვნია. შათო წანილი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან ჩრდილოეთ კავკასიიდან. გარდაცვლილთა დაკრძალვა მოხდება მათი რელიგიური მრნამსის შესაბამისად. შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ შეიარაღებული ჯგუფის რამდენიმე წევრი შეიძლება ხეობაში იმაღლებოდეს.“



1 სექტემბერს შსს-მ გაავრცელა კიდევ ორი, თითქმის იდენტური განცხადება. შსს-ს სპეციალურის ხელმძღვანელი, სალომე მახარაძე და მინისტრის მოადგილე, შოთა ხიზანიშვილი ირწმუნებოდნენ, რომ სპეციალურაციის დროს დაღუპული პირებიდან არცერთი არ იყო საქართველოს მოქალაქე, სალომე მახარაძე ამბობდა: „გავრცელებული ინფორმაცია იმის



ფოტო: ქადაგი გულაძე / მეცნიერებელი

შესახებ, რომ ლოპოტის ხეობაში, სპეციალურაციისას ლიკვიდირებულები პანკისის მაცხოვრებლები იყვნენ და ამჟამად სოფელ დუისში უნდა გადაასვენონ, სრული აბსურდია. ლოპოტის ხეობაში ჩატარებული ოპერაციის დროს, გარდაცვლილი პირები საკართველოს მოქალაქეები არ არიან. ჩატარებულ იპერაციასთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება. მიმდი-

ნარეობს ცხედრების ექსპერტიზა და იდენტიფიკაციის პროცესი. თუმცა, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ იპერაციის დროს დაღუპული შეიარაღებული ჯგუფის წევრები საქართველოს მოქალაქეები არ არიან“.

3 სექტემბერს კი შსს-მ აღიარა, რომ „იდენტიფიცირებული 7 ცხედრიდან, ორი არის საქართველოს მოქალაქე“.

საინტერესო ის გახლავთ, რომ 1

სექტემბრისთვის, როცა სალიმე მახარაძე შეიარაღებული დაჯგუფების დაღუპულ წევრთა შორის საქართველოს მოქალაქეების არსებობას კატეგორიულად უარყოფდა, მათი დუისში დასაფლავების შესაძლებლობას გამორიცხავდა და აბსურდულს უწოდებდა, როდესაც ბატონი შოთა ხიზანიშვილი ზუსტად იმავეს გვიმტკიცებდა „დანამდვილებით“ და არანაკლებ კატე-

გორიულად, დუისში უკვე საფლავები იყო გათხრილი და მეზობლები და ნათესავები დაღუპულთა ოჯახებს უსამძიმებელნენ. თუმცა, დუისელებს, ლიად გლოვა, ისევე როგორც, უურნალისტებთან და არა მარტო უურნალისტებთან, არამედ ერთმანეთთან ურთიერთობაც კი აუკრძალეს, იმ მოტივით, რომ „ზედმეტი პანიკა“ საჭირო არ იყო და თუ ამ მოთხოვნას არ დაემორჩილებოდნენ, მიცვალებულებს საერთოდ არ გადასცემდნენ.

ლოპოტის ხეობაში სპეცოპერაცია გრძელდება. ხეობის მიმართულებით აქტიურად გადაადგილდებიან ძალოვანი სტრუქტურები. ადგილობრივებისათვის ხეობა ისევ ჩაკეტილია.

■ „რაც დრო გადის, უფრო ვერა ვხვდებით, რა მოხდა. რა უნდოდათ? ან ეს ბიჭები ვინ შეკრიბა აქ? ვინ წაიყვანა? სად მიჰყავდათ? ეგრე ხომ არ ხდება, რომ ეს ახალგაზრდები თავისით შეიკრიბნენ და წავიდნენ? ან იარაღი ვინ მისცათ? ან გზა და გეზი ვინ ასწავლათ? ვინ ხელმძღვანელობდათ? ვისთან და სად გაუშვა ეს ხალხი?“

ლაფანყურელები ფიქრობენ, რომ სამართალდამცავები კვლავ იმ გადარჩენილ 6 „დივერსანტს“ ექცევენ, რომელიც სპეცოპერაციას ცოცხალი გადაურჩა.

საინტერესოა გათავისუფლებული ხუთი მძღვლის ბედიც. ამდენი ხნის შემდეგაც კი ეს ხუთი ადამიანი კატეგორიულად ერიდება არა მარტო უურნალისტებთან, არამედ საერთოდ, „გარესამყაროსთან ზედმეტ ლაპარაკს“. ლაფანყურელების თქმით, მათ ხელნერილები ჩამოართვეს, რომ არა-ფერს იტყოდნენ და საერთოდ, „ჭკუით იქნებოდნენ“. ადგილობრივები იმასაც ამბობენ, რომ იმის შესამონმებლად, თუ რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებენ პირობებს ყოფილი მძღვლები, მათ პირადად ამონმებს და სახლში აკითხავს თვით ლაფანყურის

გამგებელი, მორის პარკინაშვილი.

ერთ-ერთი ლაფანყურელი სპეცოპერაციის დასაწყისზეც გვიყვება. მისი ინფორმაციით, მძღვლების გათავისუფლების შემდეგ, „ნაკეთობაზე“, მარმარილოს კარივრთან, როდესაც ქართველი მესაზღავრე სამ შეიარაღებულ პირთან ერთად ცდილობდა დაკავშირებოდა „მაღალჩინოსანს“, სწორედ ამ დროს ისროლა სნაიპერმა და ატყდა ორმხრივი სროლა, რის შემდეგაც დაიწყო სპეცოპერაცია. თუმცა, დამატებითი დეტალები ადგილობრივებისთვისაც უცნობია.

ხეობა ჩაიკეტა მეცხვარეებისთვისაც. მეცხვარეებს ხევის და მუხათციხის სასაზღვრო პოსტებთან ახლოს

არა, მაგრამ ქისტები უკვე თვალებითა გვჭამენ. ეგე, ბიჭიც თანა მყავს და რამე რომ იყოს, ცხვრისა გულისთვის შვილს ხომ არ მოგაკვლევინებ... არც მემრის მე მაქეთა, პანისისაკენ პირს აღარ ვიზამ...“

სპეცოპერაციის უშუალო მომსწრები გახდნენ ყარაჯალელი აზერბაიჯანელებიც, რომლებსაც იქვე, ხევის საგუშავოსთან ჰქონდათ ცხვირს ბინა. „მსხვილკალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღის გარდა, შეიარაღებულ დაჯგუფებას ვერტმფრენებიდანაც გაუხსნეს ცეცხლი და ისეთი სროლა ატყდა, 41 ნელი გეგონებოდა“.

„მეცხვარული საგიდან“ ყველაზე საინტერესო ინფორმაცია ყვარლის რაიონის სოფელ ენისელის მცხოვრებმა მეცხვარემ მოგვაწოდა, რომლის ბინაც დალესტნის საზღვრიდან 1 კილომეტრშია. ის ყველაზე ბოლოს, 4 სექტემბერს გამოვიდა ლოპოტის ხეობიდან.

„31 აგვისტოდან პირველი სექტემბრის დამეს, როცა სულ მარტო ვიყავი დარჩენილი ბინებზე, დანარჩენი მეცხვარეები უკვე წამოსულები იყვნენ, ძალებმა ყეფა დაიწყეს და რაღაცას მიეტანენ. ძალით ადამიანს სხვანაირად უყეფს, საქონელს სხვანაირად და ნადირს სხვანაირად. აშკარად ადამიანის ხმაზე ყეფავდნენ. მიეტანებოდნენ, გამოვარდებოდნენ. ვერ იგერიებდნენ ძალები. თან უუწეო ლამე იდგა, ვერაფერს გაარჩევდი. მარტო ვიყავ შიშველი ხელებით და თან ხომ ვიცოდი, რა ამბავიცა ტრიალებდა. უცებ შევვარდი ბინაში, ფარანი ავიღე, ბინის კარს ჯოხი მივაბჯინე და ხევში დავიმალე. ლოპოტის პოსტის უფროსს რამაზ ფარადაშვილს დავურეკე, თან ტელეფონს ხელს ვაფარებდი, რომ შუქი არ გამოსულიყო. მეთქი ეგრე, ეგრე, ნამდვილად რაღაცაშია საქმე. ვიღაცები არიან, მოძრაობენ. შენ როგორა ხარო, იმ საათში ეგა მეითხა. ნუ გეშინია, მე დამალული ვარ-მეთქ, ვუთხარი. მთელი ლამე ეგრე გავათხე. დილით რომ აველ, კარი შეღებული იყო და დაბლა ასანთის ლერების ნა-

მდებარე ცხვრის საძოვრების დატოვება მოუხდათ. ძალოვანების მოთხოვნით, ქვევით, ალაზნის პირას ჩამორჩეული ცხვარი. ეს მაშინ, როცა ჩვეულებრივ, მთის ბინებზე ოქტომბრის შუა რიცხვებამდე რჩებიან.

ბარში ჩამოსული მწყემსები ამბობენ, რომ ხეობაში ცხედრის სუნია და ფიქრობენ, რომ ერთ-ერთი გარდაცვლილის ხეობიდან გამოტანა, შესაძლოა, ვერ ხერხდება.

ალაზნის ჭალა სავსე იყო ლოპოტის ხეობიდან და პანკისიდან გამორჩეული ცხვრის ფარებით. პანკისის ხეობიდან მოერეკებოდნენ ცხვარს ყვარლის რაიონის სოფელი ჭიკანის მცხოვრებლები. ვკითხეთ, რატომ გამოვიდნენ პანკისიდან და ჰქონდათ თუ არა ადგილობრივები იმასაც მძღვები, მათ პირადად ამონმებს და სახლში აკითხავს თვით ლაფანყურის

მწვავები ეყარა. ხელი არაფრისთვის ეხლოთ. მარტო სამი პური ეელოთ, ერთი კარგი ნაჭერი ყველი. იქვე არ ეჭამათ. თან წეედოთ. რავი, მე იმასა ვფიქრობ, იმათაგან ხომ არ იყვნენ ვინც გადაურჩათ და გამეექცათ. თან მეც წამოვედი“.

პანკისის ხეობაში ცხედრებს ისევ ელოდებიან. „ის ბიჭებიც მოგვცენ, რატომ არ გვაძლევენ? მერე რა, რომ ჩეჩენები არიან. მაინც ჩვენები არიან და ჩვენ დავმარხავთ“, – გვეუბნება ჩვენი მასპინძელი.

„რაც დრო გადის, უფრო ვერა ვხვდებით, რა მოხდა. რა უნდოდათ? ან ეს ბიჭები ვინ შეკრიბა აქ? ვინ წაიყვანა? სად მიჰყავდათ? ეგრე ხომ არ ხდება, რომ ეს ახალგაზრდები თავისით შეიკრიბნენ და წავიდნენ? ან იარაღი ვინ მისცათ? ან გზა და გეზი ვინ ასწავლათ? ვინ ხელმძღვანელობდათ? ეგ აქაური იქნება, სხვა ხომ არ მოვიდოდა? ვისთან პქონდა საქმე? ვისთან და სად გაუშვა ეს ხალხი? აი, მაგას ვარკვევთ და აუცილებლად გავარკვევთ“, – ამბობენ ადგილობრივი ქისტები.

ადგილობრივებმა ისიც გვითხრეს, რომ ხეობაში ვრცელდება ხმები, თუკი „ნაციონალური მოძრაობა“ არ დარჩება ხელისუფლებაში, და მით უმეტეს, თუ „ქართული ოცნება“ მოვა, მაშინ ე. წ. „ვაჰაბიტებს“ შეავინოვებენ და განდევნიანო. პანკისში „ვაჰაბიტებს“ ყველა იმ ადამიანს უწოდებენ, ვინც ისლამური რელიგიის წესებს ზედმინევნით ასრულებს და მუსლიმანური რელიგიის ყველა მითხოვნას იცავს. ამას უმეტეს შემთხვევაში „ვაჰაბიზმთან“, როგორც იდეოლოგიასთან, ან რაიმე რელიგიურ ექსტრემიზმთან, ძალიან ცოტა აქვს საერთო.

პანკისელები ყველაზე მძიმედ მაინც ჭირისუფლების დაშანტაჟებას, მიცვალებულებთან დაკავშირებულ უამრავ ტყუილს და ურთიერთსანინააღმდეგო ინფორმაციის გავრცელებას განიცდიან. „სამი დღე ველოდით მანქანას. გაჩერდებოდა ვინმე, გამოვიქცეოდით ქალები. ისევ არ ჰყა-



ფოტო არაული გაფორმები / იმპერატორი

მთავარი თემა

ვდათ გარდაცვლილები მოყვანილი. ჩემი მამიდაშვილი იყო ის, ბაჲაუდ ალდამიერი. ჭირისუფლებს მოსვლას უშლიდნენ. ჭიშკარი დაკეტეთ, სამძიმარზე ნუ მოდიან, თორემ ცხედრებს სულ არ დაგანახვებთ. ეგრე ფეხზე ჩამოწყვდით ლოდინით. ბოლოს მაინც შუალამისას ჩამოყვანეს ეს ორნი – ჩემი მამიდაშვლი ბაჲაუდინ ალდამოვი და ასლან მარგოშვილი. გზაზეც არ ამოატარეს, აი, ეგრე ალაზნის რიყეზე მოუარეს. ბაჲაუდინი დედასაც არ აჩვენეს, არ დაატირებინეს. მამამისმა ამოიცნო და ეგრევე დილის ხუთ საათზე დაკრძალეს. საინტერესო ის არის, რომ ბაჲაუდინ ალდამოვი პრობაციონერი იყო. ჩხუბზე იყო დაჭერილი. ყოველ ორშაბათს უნდა მისულყო და ხელი მოეწერა. აღმოჩნდა,

რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე პრობაცია მოუხსნეს. ახალი პირადობის მოწმობაც მისცეს. ეგ რანაირად უნდა მომხდარიყო, როცა წლები პქონდა კიდევ დარჩენილა? – ამბობს ჭირისუფლის სათესავი.

დუისში მიცვალებულების დაკრძალვის შემდეგაც კი მამაკაცები „უცხოებთან“ ლაპარაკს ერიდებიან.

ბაჲაუდინ ალდამოვის დედასთან საუბრისას, გვთხოვეს, რომ მანქანის ფანჯრები ბოლომდე აგვენია. მით უმეტეს, როდესაც გარდაცვლილის სახლთან გავჩერდით, უკან ფარებანთებული მანქანა ამოგვიდგა. კარგახანს იდგა. სხვთა შორის, პოლიციის მანქანამ ლაფანურშიც მოგვიკითხა, მაგრამ ის პოლიციის პიკაპი იყო და ოფიციალურად გვეკითხეს, სადაურები

ვიყავით და „რა გვიჭირდა“.

ბაჲაუდინ ალდამოვის დედამ გაიხსენა, რომ მისი შვილი თურქეთში აპირებდა სამუშაოდ წასვლას. მას არ უნახავს ის ახალგაზრდები, რომლებთან ერთადაც მისი შვილი, მოგვიანებით, ლოპოტის ხეობაში აღმოჩნდა. ალდამოვის დედის განცხადებით, ბაჲაუდინს 25 აგვისტოს დამედი დაუძახეს, მანქანაში ჩაისვეს და წაიღინენ. „ძალიან ვნანობ, რომ არ გამოვიხდე და არ დავინახე, ვინ იყვნენ, მაგრამ რას ვიფიქრებდი. როდესაც გავიგე, რომ ლოპოტის ხეობაში ვიღდაც დაღესტნებული დასდევდნენ და სპეცოპერაცია ტარდებოდა, დალუპულები ძალიან შემეცოდნენ, მაგრამ აზრდაც არ მომსვლია, რომ ეს რამენაირად შეიძლებოდა ჩემს შვილს შეხებოდა.

ესავლები ღა ჩასეინ მეინა ცაფანურის საცავარის შასახებ

გახდება თუ არა ეს მოვლენა საქართველო-რუსეთს შორის არსებული კონფლიქტის გამომავლების საფუძვლელი? ვინ არიან შეიარაღებული დაჯგუფებები? რა მიზნით უნდა გამოეყენებონა რუსეთს მისდმი მტრულად განწყობილი ისლამური დაჯგუფებები საქართველოს ნინაალდედე? – საერთაშორისო მედია ამ კითხვებს ლოპოტის სპეცოპერაციის პარალელურად სვამდა.

რუსული გები

დასავლური მედიისაგან განსხვავებით, 31 აგვისტოს გამოქვეყნებულ სტატიაში, ბერკად კრიტიკული აღმოჩნდა რუსული *Voice of Russia*, რომელიც უქვოდა, თუ რატომ უნდა ეწოდებინა საქართველოს პრეზიდენტს სპეცოპერაციისათვის, „რუსეთისაგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება“. „თავიდანვე ცხადი იყო, რომ ანტირუსული განწყობის მქონე მუსლიმი მებრძოლები საქართველოს ნინაალდება [რუსეთის] იარაღი ვერ იქნებოდნენ: ყველასათვის ცნობილია, რომ დალესტნელი შეარაღებულებისათვის ყველაზე დიდი მტერი რუსეთი, რუსი მაღალჩინობები, პოლიცია და არმიაა“. გამოცემა ასევე, წერდა, რომ ჩრდილოკავკასიონებმა საქართველოს საზღვარი, სინამდვილეში, მშენებლები თავშესაფრის მოსახებნად გადაკვეთეს, რადგან „შმობლურ დალესტანში, რუსული წერის ქვეშ არიან“.

რუსული „ნეზავისმაია გაზეტა“ კი, თბილისიდან ფარულ წყაროზე დაყრდნობით იუნიებოდა, რომ ეს სპეცოპერაცია ქართულმა მხარემ მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდის მიზნით მოაზარდა. რუსული მედია მსჯელობდა, თუ რატომ შეიძლებოდა დასტირვებოდა ქართულ მხარეს ათასობით ჯარისკაციას და ძლიერი სამხედრო ტექნიკის გამოყენება ოცამდე დოვერსანტის წინაალდედე. ავტორი, იური როსკი, „ნეზავისმაია გაზეტაში“ წერდა: „თუკი მებრძოლები საქართველოში დივერსიული საქმიანობისათვის გამოიუშვეს, ეს საქმიანობა რაღა მძევლების უზრო აყვანით დაწყებულის უზრო აყვანით დაწყებულის“

ასევე ჩრდილოდა კითხვები, თუ რატომ უნდებდა ქართული მხარე „წარმატებულს“ იმ ოპერაციას, როდესაც ქართული არმიის ასეულებს 6 მებრძოლის გასაწირალებლად ორი დღე დასჭირდათ, ისიც სამი ადამიანის სიცოცხლის ფასად.

დასავლური გები

მოვლენებს, ერთ-ერთი პირველი, ბრიტანული „ბი-ბი-სი“ გამოეხმაურა. 29 აგვისტოს, როდესაც ქართული მედია ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით დივერსანტების ვინაობის შესახებ ჯერ კიდევ გაურკვეველ განცხადებებს ავრცელებდა, „ბი-ბი-სი“-მ რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბულობის გაღრმავების შესახებ ვარაუდი გამოიტანია: „კორესპონდენტი: ვინაობის შესახებ იქნა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიც, „რომლის შემდეგაც ორ ქვეყანას ჯერ კიდევ გაწყვეტილი აქვს დაპლომატიური კავშირი“.

იმავე დღეს, მოგვიანებით, მთავრობის რიტორიკაში პირველად გამოჩნდა ფრაზა, „ჩრდილოელი მეზობელი“, ამის შემდეგ საერთაშორისო მედიაში კიდევ უფრო გახ-შირდა მინიშნებები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს მხრიდან მოსალოდნელ აგრესიაზე. ამერიკული „ჩიკაგო ტრიბუნი“ სააგენტო „როიტორზე“ დაყრდნობით, ყურადღებას პრეზიდენტ სააკაშვილის ფრაზაზე ამა-ხვილებდა, რომ „ჩრდილოელი მეზობლის

მერე ტელევიზორში რომ აჩვენეს, სახე დაფარული ჰქონდა, მაგრამ გულ-მკერდით ვიცანი. ტელევიზორს ვეცი, ჩემი შვილია-მეთქი! თურმე მამამისმა უკვე იცოდა და მე მიმაღლავდა. ხომ გეუბნებით, თურქეთში აპირებდა სამუშაოდ წასვლას. სხვა არაფერი არ ვიცი. ვინ წაიყვანა? სად წაიყვანა და რატომ? ან იარაღი ვინ მისცა? აი, ეს მინტერესებს".

საინტერსოა ის ფაქტიც, რომ ასლან მარგოშვილი ფინეთიდან ჩამოვიდა (21 მარტს). ბაჟაუდინ ბალაკაშვილი კი – ავსტრიიდან. ლონდონიდან იყო ჩამოსული ახმედ ზაკაევის მცველი, დუკვახა დოშუევი.

რატომ შეიკრიბა ეს ხალხი პანკისში? ვინ შეკრიბა და რა მიზნით? როგორ მოხერხდა პანკისის ხეობაში,

უფრო სწორად კი დუისში, 17-კაციანი შეიარაღებული რაზმის შეკრება, დაფინანსება, ორგანიზება და აღჭურვა, თანაც თუ ხელისუფლებისაგან გავრცელებულ ოფიციალურ კადრებს დავეყრდნობით, უახლესი იარაღით, მათ შემორის მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით? და შემდეგ, როგორ მოახერხა ამხელა და ასე შეიარაღებულმა რაზმა პანკისის ხეობიდან ლოპოტის ხეობამდე შეუმჩნევლად გადასვლა? იქნებ „დაფორთლილი ტყით“? და ეს მაშინ, როდესაც დუისში შესასვლელშივე პოლიციის უზარმაზარი და გამჭვირვალე შენობა დგას და პატრულის მანქანები წუთში ერთხელ მთელ ხეობას სერავენ, დანარჩენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩატარდა და „ჩეულებრივი მანქანებით“ მოძრავ

ინფორმატორებს რომ თავი დავანებოთ? თუ ჭირისუფლის ჭიშკრის გაღება-დაკეტვა და გარდაცვლილის დაკრძალვაც კი ასე მკაცრად კონტროლდება ჩვენი ხელისუფლებისაგან, ამხელა „სამხედრო დივერსიული ოპერაცია,“ რომლის წევრების ნანილიც ავსტრიიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ფინეთიდან შემოუერთდა რაზმს, როგორ გამოეპარათ?

„არ ვიცით, ვერაფერი ვერ გავიგეთ, რა მოხდა, მაგრამ აუცილებლად გავარკვევთ და პასუხს მოვთხოვთ აქაურსაც და სხვასაც!“ – ამბობენ დუისელები.

ამასობაში კი წარმატებით დაწყებული სპეციალისტია კვლავ გრძელდება და დაფანურის სხვა იქით შესვლა ისევ აკრძალულია. ☐

მორიგი მცდელობა, საქართველოში დაბაბულობისა და დესტაბილიზაციის ტლლა ააგოროს, დასაწყისშივე ჩაიხსობა“. სტატია ამერიკულმა გამოცემამაც 2008 წლის აგვისტოს ომის გახსენებით დაასრულა.

„ქართული მხარის თქმით, შეარაღებული რეიდი „მტრის“ ინტერესებს ემსახურებოდა“ – ასეთი სათაურით გამოაქვეყნა სტატია სააგნერი „რომიტერმა“. სათაური მხედვლ სააკაშვილის სატელევიზიო გამოსახლისას ნათებაშ ამავე შინაარსის ფრაზას იმეორებდა. ამ დროს პრეზიდენტს უკვე გამართული ჰქონდა შესვედრა შინაგან საქმია და თავდაციის მინისტრებთან და ლაფანურის მოსახლეობასთან, სადაც მან „ურთულეს სპეციალისტის დროს ქართველი სამხედროების გმირობაზეც“ ისაუბრა.

„რუსულმა უშიშროების სამსახურებმა საქართველოს საზოგროებრივი უკანონობით გადაკვეთის ფაქტებს უარყვეს“, – წერდა „რომიტერი“ და დასხენდა: „პროდასავლური ორიენტაციის სააკაშვილს, რომელიც 2004 წლიდან ხელისუფლებაშია, ახლად შექმნილ პოზიციურ ძალასთან ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის წინ მზარდი დაპირისპირება აქცევს“. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მედიამ წინასაარჩევ-

ნო პროცესსა და პიძინა ივანიშვილის კოალიციის მზარდ რეიტინგზე მიანიშნა.

უცხოურ გამოცემებში 30 აგვისტოს გამოვეყნებულ მასალებში უფრო და უფრო მეტი კითხვა ჩნდებოდა: რატომ დაუპირისპირდა საქართველო დალესტნებულებს: ხალხს, რომელიც თბილისის „მთავარი მტრის“, რუსეთის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა? თან მაშინ, როდესაც აქამდე ქართული მხარე ჩრდილოკავკასიელი ბოევიკებისათვის, ფაქტობრივად, ერთადერთი საიმედო თავშესაფარი იყო. „რუსეთთან დაპირისპირებული ჩრდილოკავკასიელები საქართველოს საზღვარს ადრეც ხშირად კვეთდნენ, ხოლო რუსეთ-ჩეჩენის 1999 წლის ომის დროს პანკისის ხეობა, საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩენი მებრძოლებისათვესაფარი გახდა“ – ვკითხულობთ „რომიტერის“ სტატიაში.

მართალია, უცხოური პრესა აღნიშნავდა, რომ საქართველოს მთავრობას დივერსიაში რუსეთი პირდაპირ არ დაუდანაშაულებია, თუმცა ასევე ციტირებდა მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც სპეციალისტის მეორე დღეს უკვე დაიწყო საუბარი „მტრის მხრიდან საქართველოს საბრძოლო მზა-

დყოფნის გამოცდაზე. კერძოდ, სწორედ ამ გარემოებაზე ამახვილებდა ყურადღებას ამერიკული „ნიუ-იორკ ტაიმსი“ და წერდა: „სააკაშვილს რუსეთი პირდაპირ არ დაუდანაშაულებია. არც სხვა ოფიციალური პირები იუწყებიან, იყვნენ, თუ არა [საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილი] მებრძოლები სხვა ქვეყნიდან, გარდა ჩრდილოეთ კავკასიისა, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ უკვე დიდი ხანია იბრძვის.“

ამის პარალელურად, დალესტნელი ისლამისტები უარყოფნენ საქართველოში ტერორისტულად აქტების დაგევმვასა და ქართული მხარის იუციდოლურ განცხადებას ჩრდილოკავკასიონების მიერ 5 ქართველის დატყვევების შესახებ. სპეციალისტისათვის კავშირს, ასევე, უარყოფდა ოფიციალური რუსეთიც. მოხევ-დავად ამისა, ამერიკულ და ევროპულ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში არ ფიგურირებდა არცერთი ოფიციალური რუსული წყარო, სამაგიეროდ, ქართველი ოფიციალური პირების განცხადებებზე დაყრდნობით, აქტიურად გრძელდებოდა საუბარი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ.

მოამზადა გიორგი გოგუამ.



ილუსტრაცია მარია კარაძე / ვოლოდიმერ

ცაგენერაცია

სპეციალური არჩევნები

პატიმრები, სამხედროები, ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები, სამკურნალო დაწესებულებებში მყოფი პაციენტები – ეს იმ კატეგორიის ამომრჩეველთა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც კენჭისყრის დღეს არჩევანს, საცხოვრებელი ადგილის ნაცვლად, სპეციალურ უბნებზე გააკეთებენ. ექსპერტების თქმით, სპეცუბნებზე შედეგებით მანიპულირება მმართველი პარტიისათვის პრობლემას არ წარმოადგენს.

ზურაბ ვარდიაშვილი

სპეციალურ სიებში ჩაწერილი ამომრჩევლებისთვის უბანი იმ შემთხვევაში გაიხსნება, თუ მათი რაოდენობა 50-ს აჭარბებს. თუ ნაკლებია, კენჭისყრა გადასატანი ყუთის მეშვეობით ჩატარდება.

არჩევნების საკითხების მკვლევრის, ნინა ხატისკაცის თქმით, თუ აქამდე

ჩატარებულ არჩევნებში მიღებულ შედეგებს გადავხედავთ, ადვილად დავადგენთ, რომ სპეციალური უბნები მმართველი პარტიის მხარდამჭერი ხმების მობილიზებისთვის გამოიყენება.

ნაციონალური მოძრაობის სპიკერს, დეპუტატ ჩიორა თაქთაქშვილს აინტერესებს, თუ როგორ შეიძლება ამ მოსა-

ზრების დადასტურება, რადგან სპეცუბნების მონაცემები სხვა უბნებს ერევადა ერთად ითვლება. „სწორედ იმიტომ, რომ ხმების იდენტიფიცირების შესაძლებლობა არ არსებობდეს“.

ნინა ხატისკაცის თქმით კი, ტენდენციის დადგენა სწორედ იმ ე. ნ. დედაუბნებზე დაკვირვებით შეიძლება, სადაც

სპეცუბნის შედეგები თავს იყრის „და ასეთ უბნებზე ხელოსუფლება ყოველ-თვის ლიტერობს“.

არჩევნები გისოსებს მიღეა

2011 წლის ბოლომდე, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არჩევ-ნებში მონაცილეობის უფლება თავი-სუფლებაა დაკვეთილ მოქალაქეთაგან მხოლოდ წინასარ პატიმრობაში მყოფ პირებს ჰქონდათ, თუმცა, პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე საარჩევნო კოდექსში რამდენიმე ცვლილება შევი-და. ერთ-ერთის მიხედვით, კენჭისყრაში მონაცილეობას მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პატიმრებიც მიიღებენ.

„ნაკლებად მძიმედ“ ის დანაშაული ითვლება, რომლისთვისაც სასჯელად კანონი ხუთ წლამდე თავისუფლების აღვეთას ითვალისწინებს. ამ დროის-თვის ქართულ ციხეებში სასჯელს ხმის უფლების მქონე 1295 პატიმარი იხდის.

ପାତ୍ରିମିଳିର୍ବୀଦିସିତଗ୍ରୀରେ ଶାରକର୍ମ୍ଭାବରେ ଥିଲା
ଉଚ୍ଚଲ୍ଲେଖିଲା ମିନିକ୍ଷେପିଲା ରୁକ୍ଷମର୍ମିନ୍ଦାତ୍ରିର ବ୍ୟେ-
ନ୍ଦ୍ରତ୍ରିଲା କରିଲାମାତ୍ରା ଗାସତ୍ରା କ୍ଷେଣ୍ଟରିଲା କରି-
ଲାମାତ୍ରା ଏଵରିଲାସାଧକାରୀ ଧରିଲୁଗାଇଲେ
ଶାକର୍ମିନ୍ଦାଉଚ୍ଚଲ୍ଲେଖିଲା ଏବରିଲା
କ୍ଷେଣ୍ଟରିଲା କରିଲାମାତ୍ରା କରିଲାମାତ୍ରା କରିଲାମାତ୍ରା

„დიახ, ეს იყო ვენეციის კომისიის რეკომენდაცია, მაგრამ გასათვალისწინებელია ქვეყნის კონტექსტი, რამდენად თავისუფლები იქნებან საქართველოს ციხეებში მყოფი პატიმრები საკუთარი ნების გამოხატვის დროს?“

ამ კითხვის ავტორი, იურისტი ირმა პავლიაშვილი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ (საა) წარმოადგენს. საა, „სამართლიანი არჩევნები“ და „საერთომორისო გამჭვირვალობა“ საგაზაფხულო სესიაზე მიმდინარე განხილვებში აქტიურად მონაწილეობდნენ და დეპუტატებისთვის რეკომენდაციებსაც წერდნენ. პავლიაშვილი სინაულს გამოთქვაშს, რომ „ხელსუფლება რეკომენდაციებს ხშირად საერთოდ არ ითვალისწინებდა და უარსაც არ ასაბუთებდა“.

ნინა ხატისკაცი საარჩევნო კოდექსი
ცვლილების შეტანის დროს „საერ-

თაშორისის გამჭვირვალობა – საქართველოში “მუშაობდა და განხილვებისი ამ ორგანიზაციიდან იყო ჩართული ის მსჯავრდებულთათვის არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით რა მდგრიმე პრობლემას გამოყოფს, უპირველეს საკითხად კი მათ არაინფორმირებულობას მიიჩნევს.

ხატისკაცის აზრით, ციხეში მედილი ხელმიუწვდომელია და შესაბამისად, პატიმრებს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების, მათი პროგრამებისა თუ ხედვების შესახებ ინფორმაცია არ გააჩინიათ.

„ნაციონალური მოძრაობის“ სპეციერი დეპუტატი ჩიორა თაქთაქიშვილი ამავდროულად პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა და საარჩევნო კოდექსის პროექტის განხილვებიც აქტუალ მონაცილეობდა. მისი თქმით, პატიმრებს პრესის გაცნობა არათუ ეზღუდებათ, არამედ „სასჯელალსრულების სამინისტრო განსაკუთრებით ზრუნავს, რომ პატიმრებს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ“.

ამ ინფორმაციას არასამთავრობოები
ადგოკატები და უფლებადამცველები
კატეგორიულად უარყოფენ. პრესაზე
ხელმიუნვდომლობს ფაქტს სახალხო
დამცველიც ადასტურებს, ეს საკითხი
მის ბოლო ანგარიშში ვრცლადა მიმო-
ხილული.

କିମ୍ବରା ତାପତାଙ୍ଗୀଶ୍ଵରିଲ୍ ଗାରଫା ମିଳିଲା,
ରନ୍ଧର ସାହାତ୍ମିକର୍ମେଦଶି ପର୍ଯ୍ୟେକିଲା ତାପାତାଙ୍ଗୀ
ସୁରଜାଦ ଗାଵରପ୍ରେଲ୍ଲେବାଥ୍ୟ ସାହୁପରିବଳେ
କୁରମ୍ଭେନ୍ତାର୍କ ତ୍ରୈଲ୍ଲେମ୍ବିଦୀଲ୍ ତ୍ରୀରାଣ୍ବଲୋକ
ରୂପାଥ୍ୟରୁ ଆକ୍ରେତ୍ୟବେ ଏବଂ ଫୌକ୍ରାନ୍ତିକରିବେ,
ରନ୍ଧର
„ମେଲାକାରର୍ଦ୍ଦେବ୍ୟୁଲ ଏବଂ ତାପିଶୁରାଳ ଅନ୍ତର୍ମାନିଙ୍କିଲା ମେଲାନ୍ତିକାରିବେ,
ଏବଂ ମନ୍ଦିରରେ ପରିବର୍ତ୍ତନ କରିବେ“

უკანასკნელთ ზოგი უფლებაც ეზღუდუდებათ”, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მიჩინევს, რომ პატიმრებს ტელევიზიაზე ხელმისაწვდომი შეზღუდული უნდა ჰქონდეთ

ჩიორა თაქაქიშვილის განცხადება
ეწინააღმდეგება კანონს პატიმრობის
შესახებ. საქართველოს პატიმრობის
კოდექსის მე-20 მუხლის „მასობრივი ინ-
ფორმაციის საშუალებები“ ჰქვია, მუ-
ხლის პირველ და მეორე ქვეპუნქტში
გვითხულობთ:

„దరాల్డ్‌బుల్స్/మిజావర్డ్‌బుల్స్ ఆజ్యస్ ప్రేసిస్ గాంచినింపించి డా మాసోధర్కిని ని-భూతమాచితిసి లేఖా సామ్యాల్పంగా గామణ్యే-న్నేంపి శ్రేసాఫల్యంలో. తాత్రిమర్కంపిసి/ తాత్త్విశ్యాఫల్యంపి అధిక్వాతిసి డాన్సేస్‌బుల్లే-బాషి, రంగంరు న్యేసి, కఫ్ఫెబా రూఫిం - డా త్రైల్యేత్రాన్స్‌లొచ్చాతి, ఆశ్వేశ శ్రేసాఫల్యం-లొచ్చా న్యేథ్రాన్స్‌తింట సార్గంగిల్లంబా.

...ბრალდებულს/მსჯავრდებულს,
გარდა სამარტოო საკანში მოთავსებუ-
ლი ბრალდებულისა/მსჯავრდებულისა,
ეძლევა რადიოტრანსლაციის მოსმენისა
და ტელეტრანსლაციის ნახვის უფლე-
ბა“.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, მე-
დის გაცნობის გარდა, პატიმრებს წი-
ნასაარჩევნოდ პარტიების სააგიტაციო
მასალების ნახვის უფლებაც აქვთ.
ცესკოს თავმჯდომარის, ზურაბ ხარა-
ტიშვილის თქმით, ეს თემა მასისა და
ივნისის თვეში კომისიისა და პოლიტი-
კური პარტიების რეგულარულ შეხვე-
დრებზე, ინტენსურად განიხილებოდა,
შეხვედრებში სასჯელალსრულების დე-
პარტიამენტის წარმომადგენლებიც მო-
ნაწილეობდნენ. შეთანხმების თანახმა-
დაც, სასჯელალსრულების სამინისტრო,
ცესკოს რეკომენდაციების მიხედვით,
ციხეებში სპეციალურ ადგილებს გა-
მოყოფს, სადაც პატიმრები პოლიტი-
კური პარტიების საქმიანობის შესახებ
ინფორმაციას მიღებენ. 13 ივლისს
ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ
სპეციალური განკარგულება №75/2012
გამოსცა, რომლის თანახმადაც თავი-
სუფლების აღკვეთის დაწესებულებაში
მოთავსებული, ხმის უფლების მქონე
პატიმრების ინფორმირების პირობები
თა წილი დათვინია.

სარატიშვილის თქმით, ამ შეხვედრუ-
ბის დროს, მხარეები შეთანხმდნენ, მი-
მართონ სახალხო დამცველს, რათა
პოლიტიკური სუბიექტების, არასამთა-
ვრობო ორგანიზაციების, ცესკოს წარ-
მომადგენლებისგან დაკომპლექტებული
სპეციალური ნდობის ჯაფუფი დაფუძნ-
დეს, რომელიც სასჯელადსრულების
დაწესებულებებში წინასაარჩევნო პე-
რიოდის მონიტორინგს განახორციე-
ლებს.

გარდა პატიმრებისა, სპეციალურ

რეიტინგები

ჩემისახით ეს პოლიტიკური პარტიის 36გათალაცვა

საპარლამენტო არჩევნების წინ პოლიტიკური პარტიების რეიტინგების გამოქვეყნება დიდ ხმაურს იწვევს. შედეგების შესაბამისად, კვლევების მიმართ უნდობლობას ხან ოპოზიცია, ხანაც კი მმართველი ძალა გამოხატავს. დისკუსიას, ძირითადად, ორი საერთაშორისო ორგანიზაციის – აშშ-ს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ ჩატარებული კვლევები იწვევს.

სალომე ცეცხლაძე

პოლიტიკური პარტიების ერთ-ერთი ბოლო რეიტინგი NDI-მ არჩევნებამდე 23 დღით ადრე, 7 სექტემბერს გამოქვეყნა. შედეგების მიხედვით, მმართველი პარტია მთავარ კონკურენტს სამჯერ უსწორებს: „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ გამოკითხულთა 37% უჭრს მხარს; კოალიცია „ქართულ ოცნებას“ კი – 12%; ხოლო „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ – 3%.

NDI-ს სოციოლოგიური კვლევები შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (შიდა) დაფინანსებით ტარდება და მას კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC) ატარებს.

NDI-მ პოლიტიკური პარტიების შესახებ კვლევების გასაჯაროება ივლისიდან დაიწყო. ეს გადაწყვეტილება მეტი გამჭვირვალობისა და მისი კვლევების ირგვლივ ატესლი ხმაურის შემდეგ მიიღო. ივლისამდე NDI პარტიების რეიტინგებს არ ასაჯაროებდა და მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს აწვდიდა. თუმცადა, ეს მონაცემები მედიაში მაინც ხვდებოდა.

ივლისის თვეში NDI-ს და IRI-ს მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, მმართველი პარტიის მთავარ მოწინააღმდეგებს – „ქართულ ოცნებას“ – უფრო მეტი წონა ჰქონდა, რადგან მმართველი პარტია „ქარ-


თულ ოცნებას“ არა სამჯერ, არამედ ორჯერ უსწორებდა.

IRI საკუთარი კვლევის პოლიტიკურ რეიტინგებს მედიას დღესაც არ აწვდის. თუმცალა, ორგანიზაციის ერთ-ერთი ბოლო (24 ივნისიდან 4 ივლისამდე ჩატარებული) კვლევის შედეგები უკრიალისტებისათვის ცნობილი მაინც გახდა. კერძოდ, მმართველი პარტია 43 %-ით ლიდერობს, მას 24 %-ით „ქართული ოცნება“ მოჰყვება, ხოლო 7 %-ით – „ქრისტიან-დემოკრატები“. ცდომილება 2.5 %-ია. კვლევა USAID-ის დაფინანსებით, IPM-მა ჩაატარო.

ამ კვლევამდე ცოტა ხნით ადრე, 16 ივლისს კვლევა NDI-მაც გამოქვეყნა. თითქ-

ვის მისამართ ხეას, ხეას რომ ჩარდაბოლეს საკარლამენტო არჩევნები?
ჩათგან, ვიცხ მიიღობს არჩევნებში მონაცილეობას

■ პირველი არჩევანი
■ მეორე არჩევანი



მის იმავე პერიოდში ხატარებული კვლევის შედეგებით (4-22 ივნისი), „ნაციონალური მოძრაობა“ აქცი თითქმის ორჯერ უსწრებდა მის მთავარ კონკურენტს „ქრომულ ოცნებას“, 36% – „ნაციონალური მოძრაობა“ და 18% – „ქართული ოცნება“. ცდომილება ორ პროცენტს შეადგინდა.

არანაკლებ მნიშვნელოვნისა იმ გამოყითხულთა რაოდენობა, რომელიც პასუხობენ „არ ვიცი“, ან საერთოდ უარს აცხადებენ პასუხზე. წინა კვლევის მსგავსად, 7 სეტემბერს გამოქვეყნებულ კვლევაში, პასუხი „არ ვიცის“ რაოდენობა მაღლაო იყო. NDI-ის ბილორ კვლევის მიხედვით, პასუხები ასე გადანაწილდა: 22%-მა არ იცის, ვის მისცემდა ხმას, პასუხზე უარი თქვა 16%-მა. გამოდის, რომ ჟამში გამოყითხულთა 38%-მა არ უპასუხა შეკითხვას, თუ რომელ პარტიას უჭირს მხარს.

IRI-ს ივლისის კვლევაში კი 19%-მა უარი თქვა ან განაცხადა, რომ არ იცის რომელ პარტიას მისკურის ხმას.

რას ნიშნავს კითხვაზე პასუხის გაუცე-
მლობა, ან პასუხი „არ ვიცი“? ვის ეკუთვ-
ნის სინამდვილეში ეს ხერი? ვინ არანა
ეს ამომრჩევლები? შმართველი პარტია
ამტკიცებს, რომ ესენი არან დაბნეული, ინ-
დიციურენტული ადამიანები. ოპოზიციას კი
გამოკითხულთა ეს ნაწილი მმართველი პარ-
ტიისგან დაშნებული ამომრჩეველი ჰყონია
და თვლის, რომ მათი უმარვლესობა სწო-
რია ოპოზიციულ პარტიებში მისამისი ჩასა.

„არ ვიცი“, ან „მიტირს პასუხები გაცემას“, უარი პასუხზე არის საუკეთესო თავშესაფარი იმ რესპონდენტებისთვის, რომლებ-საც ეშინიათ მმართველი პარტიის, რომლის ხელშიც არის ძალაუფლება. გამოკითხულთა აბ ნანილის ძირითადი ბირთვი ოპოზიციის მხარდამჭერია“, — ამბობს სოციოლოგი იაგო კაჭავაშვილი.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც კაჭაჭაჭოშ-
ვილი ორგანიზაციების კვლევით საქმია-
ნობას ეჭევეშ აყვნებს, პასუხი „არ ვიცის“
მაღალი პროცენტული მონაცემია. მისი თქ-
მით, აწ მეთოდოლოგიის პრობლემა.

„თოთქმის 40 პროცენტიანი ჰასუხის არ-ქონის ფონზე რთულია ილაპარაკე კვლევის შედეგების შესახებ. ეს არ არის მიზანმიმართული გაყალბება, მაგრამ ეს არის რეალობის არაადეკვატური ასახვა. როცა ხვდები, რომ ოპონიციურად განწყობილ ამომრჩე-

ველს უჭირს აზრის გამოხატვა, რაღაც უნდა შეცვალო მეთოდოლოგიაში”, – ამბობს იაგო კაჭკაჭიშვილი.

NDI-ისა და IRI-ის კვლევის შედეგები არა-ერთხელ გააპროტესტეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა. შედეგების მიხედვით, მმართველი პარტია „ქართულ იუნიტას“, ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების მსგავსად, ყოველთვის უსწრებდა. მაგალითად, ხმაური მოპყვა NDI-ს მიერ 22 ოქტომბერი – 5 მარტის პერიოდში ჩატარებულ კვლევას. მედიით გაფრცელებული კვლევის მონაცემებით, ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი 47% იყო, „ქართული ოკუნიბის“ – 10%.

მედიაში შედეგების გახმაურების შემდეგ, „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოში აშშ-ს მაშინდელ ელჩს, ჯონ ბასს წერილიც გაუგზავნა, სადაც პატივისცემა გამოხატა NDI-სა და IRI-ს მიმართ. თუმცა, წერილში კვლევების მიმართ უნდობლობა გამოთქვა, იმიტომ, რომ კვლევის პოლიტიკური რეიტინგების ნაწილი დახურული იყო და მედიის მანაპულაციის საგანი ხდებოდა, ასევე, იმის გამოც, რომ კვლევის მეთოდოლოგია მათივების გაურკვეველი იყო. „მოგმართავთ წინადადებით, საპარლამენტო არჩევნება-მდე დარჩენილ პერიოდში NDI-მ და IRI-მ შეწყვიტონ სოციოლოგიური კვლევებით პოლიტიკური რეიტინგების გაზომვა“, – ენერა წერილში.

აშშ-ს საელჩომ უპასუხა, რომ „კვლევები პროფესიულადაა ჩატარებული და ლეგიტიმურ მეთოდოლოგიას ეფუძნება“.

ამის შემდეგ NDI-მ მიღოღ გადაწყვეტილება კვლევების პოლიტიკური რეიტინგების ნაწილიკ გაესაჯაროებინა.

რაც შეეხება მეოთიღოლოგიასთან დაკავშირებულ კითხვებს, NDI-ს საქართველოს ნარმობადგენლობის ხელმძღვანელმა ლუის ნავარომ „ლიბერალთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ კვლევა შემთხვევით შერჩევის პრინციპით ხორციელდება. შემთხვევით შეირჩევა კონკრეტული უბანი, ქუჩა, სახლი ან კორპუსი და გამოსაკითხი ადამიანიც. თუ რესპონდენტის ჩანერა ვერ მოხერხდა, მას აჯახის წევრით არ ანაცვლებენ და იმავე პრენდის სხვ. კატეგორიას აღმართდენ.

„ჩვენი პროინტეტია, რომ კვლევა იყოს წარმომადგენლობითი. ჩვენ არ გვყავდეს ერთნაირი დემოგრაფიული მონაცემების მქონე ადამიანები“, — ამბობს ნავარი.

მისი ოქმით, შეკითხვის დასმის შემთხვევაში, ის მზადაა მეთოდოლოგიის შესახებ ნებისმიერ კითხვას გასცეს პასუხი.

„ასევე მოცუნიდებთ სხვა ორგანიზაციებსაც, გაასაჯაროონ თავიანთი მეთოდოლოგია, დამტკიცანასტანულები“, - განმარტავს ლუის ნავარო. ოპზიტის მწევე რეაქციას იგი ასე ხსნის: „პარტიებისთვის არაა მომზებიანი დაეთანხმონ იმ ნაწილს, რაც მათ არ ანიჭობთ“.

ତ୍ସ୍ଵ-ସ କରନ୍ତୁଗ୍ରେସନ୍ସ, ଫ୍ଲୋଇକଲମ୍ବ ମାରିନ୍ବ
ରିକ୍ରୁଟ୍ଯୁଳିନ୍ ଜୁଫିନ୍ସ ମିଶାଗୁଣୀ କ୍ରିଲ୍ୟେବ୍ରୋଡିଲ୍ ଅରସିଲ
ହାଗେବା ଓ ପିରିନ୍ଦ୍ରାବଦ୍ଧି, ତ୍ୟ ମେବଲମ୍ବ କରନ୍ତୁର୍-
ଟ୍ୟୁଲ ପାର୍ଟ୍ରିଚିନ୍ଜ୍ ବ୍ରିମିଲ ମିନ୍ଟ୍ରେମି ଅଧାମିନଙ୍ଗବ୍ରିମିଲ
ରାମନ୍ଦ୍ରିନ୍ବନ୍ଦ୍ରା ଘ୍ୟେପ୍ରାଣିକର୍ମକାରୀ. ମିଲି ତ୍ୟମିଠ, କ୍ରି-
ଲ୍ୟେବ୍ରୋଲ ଶ୍ରେଷ୍ଠ୍ୟେବ୍ରୋ ର୍ଥେ ଉନ୍ଦି ଯୁଗୀ ମର୍ବନ୍ଦ୍ର-
ଦ୍ୟୁମ୍ନି, ରିମ ଗାନ୍ଧିନ୍ଗାବ୍ରଦ୍ଧିଲ୍ ସାମ୍ବୂଲାଙ୍ଗେବାସ ଗା-
ନ୍ଦ୍ରିଯାଦେଶ. ମାଗାଲିତାଦ, ତ୍ୟ ଶ୍ରେଣୀଶ୍ଵରିଲ୍ଲେବାସ
ମହାରି ମର୍ବନ୍ଦ୍ରାବନ୍ଦ୍ରିନ୍ବନ୍ଦ୍ରା ୨୦ ପରିଚ୍ଛେନ୍ଦ୍ରି ଅଲ୍ଲେବ୍ରେ,
ଉନ୍ଦା ଶ୍ରେଷ୍ଠ୍ୟେବ୍ରଦ୍ଧିଲ୍ ନାବର, ରା ଆସାନ୍ଦ୍ରାବନ୍ଦ୍ରିତି ଜଗ୍ମା-
ଭୋଲ ଅଧାମିନଙ୍ଗବ୍ରୋ ଅଲ୍ଲେବ୍ରେଜ ବ୍ରିମିଲ, ରା ବ୍ରାତ୍ରିବ୍ରା-
ତ୍ରିନ୍ଦ୍ରିନ୍ଦ୍ରା ବ୍ରାତ୍ରିବ୍ରାତ୍ରିନ୍ଦ୍ରିନ୍ଦ୍ରା ଅନ ମଦଗମାର୍ଗବ୍ରନ୍ଦ୍ରାବନ୍ଦ୍ରିଲ୍ ଦା ଏ. ଶ.

ნავაროს თქმით, ისინი საჭიროების შე-
მთხვევაში ამ მეთოდსაც იყენებენ.

„ມາກაລືອຕາດ, ດາສະບ່າງເບີສ ຕຸໄປສ ມີເຖິງແ
ງວິຕ ນັກຮົມງາວແດງໃນງາຕ ອົບຕອນຮົມຊາງ, ຖູ ຮາສ
ຜູຍຈົກຄົວສ ມິນສາຂບ່າງເບີ „ມາເສັທຽນສຕາບ“
ແລ້ວກູ່ວິຫຼົກຈົບໆ ມອງລົງທຶນທີ່ງ. ສົງເນັດວິໄສ
ມີໂຄສໍນງານລົງວານ ພູມ ກວະບົງວິນົງທີ່ນີ້, ຖູ ຮາສ
ຜູຍຈົກຄົວທີ່ນີ້ ກຳມອງກີບຕົບໜູ້ແບ່ງ „ມາເສັທຽນສ-
ຕາບ“ ແລ້ວກູ່ວິຫຼົກຈົບໆ ດັງແດກ້ລາຍ້າມີ, ສໍາງວາ
ກູ້ລາຍ້າສ ດາ ສອງລູກແບ່ມື. ຖູ ຮົມເມີລົມເມີ
ສາກີບຕົກຕານ ແລ້ວກູ່ວິຫຼົກຈົບໆ ກສູ້ງຮັກ ໄດ້ຕຸລູງ-
ຮັກ ອົບຕອນຮົມຊາງສ ມີລູດບາ, ມອງກົມາຮຕະກ
ກົມາ “

ას ინფორმაციას მიღებთ .
მარინე ჩიტაშვილი საუბრობს ამ ორგანიზაციების მიერ ხელისუფლების ირბი მხარდაჭერაზე. მისი თქმით, ამერიკის მთავრობა ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ საქართველოში დემოკრატიის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. NDI და IRI კი, ამერიკის მთავრობის გავლენას განიკვთოს.

„სხვა ქეყუნებში NDI უფრო სხვა ტიპის საქმიანობას ეწვეა. აქეს სხვადასხვა პროგრამები, ტრენინგები. მე არ მინახავს NDI-ს ან IRI-ს სახელით ხელმოწერილი არცერთი ოფიციალურად გაფორმებული სტატია სერიიზულ უურნამდები დაბეჭდილი, რომელიც პოლიტიკურ კულტურას, ელექტრონატს, ან ამომრჩეველთა ქცევას ეხება. მაშინ რა არის

ამ კვლევების გამოქვეყნების იდეა, რომელიც უძრალოდ ხმაურს იწვევს?“ – კითხულობს მარნე ჩიტაშვილი.

NDI-ის ოფიციალურ ვებგვერდზე მითითებულია, რომ ის მსოფლიოს 5 კონტინენტზე მოღაწეობს და დაარსებიდან 110 ქვეყანასთან თანამშრომლობდა. კითხვაზე, თუ სადა ატარებს კიდევ მსგავს კვლევებს, NDI-ში გვპასუხობენ: უკრაინა, ერაყი, ტუნისი, კამბოჯა, ნიკარაგუა.

ინაკლი კაკაბაძემ, რომელიც წლებია ამერიკაში ცხოვრობს და იქ კვლევით საქმიანობას ეწევა, „ლიბერალის“ ვებგვერდზე ბლოგი დაწერა სათაურით: „ორი სიტყვა NDI-სა და IRI-ს გამოყითხვების შესახებ“. მისი აზრით, ლობისტური კომპანიების საშუალებით პრეზიდენტი სააკაშველი აშშ-ს როგორც რესპუბლიკურ, ისე დემოკრატიულ პარტიებზე გავლენის მოხდენას ცდილობს და ამ პროცესთან კაშშირში შეიძლება იყოს NDI და IRI.

კაკაბაძის თქმით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიები „OrionStrategies LLC“ და „Lover park group“ ახლო ურთიერთობაშია რესპუბლიკული სენატორის, მაკეენის ყოფილ ასისტენტთან და მის მეგობარ შვინებანთან. შეინიშნა, კაკაბაძის თქმით, სააკაშველს ლობირებს. რესპუბლიკული ჯონ მაკეენი კი, საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში IRI-ს ყველაზე გავლენიანი წევრია. იგი ამ ორგანიზაციის თავმჯდომარეულ იყო. „ლიბერალმა“ IRI-ისან კომენტარის მოპოვება სცადა, მაგრამ მათ ჩვენთან შესახვედრად ვერ მოიცალეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ მოპოვებული ოფიციალური მონაცემებით, ზემოთ აღნიშნულ ლობისტურ კომპანიების საქართველოს ბიუჯეტიდან ლობისტური საქმიანობისთვის მართლაც გადაერიცხათ თანხები. OrionStrategies LLC-ის 2004 წლის აპრილში – 590 ათასი დოლარი, 2008 წლის ნოემბერში – 200 ათასი, ხოლო – 2009 წლის დეკემბერში 10 ათასი დოლარი.

Glover park group-ის მომსახურება კი, ქვეყნის ბიუჯეტს 2008-2009 წლებში 560 ათასი დოლარი დაუჯდა.

NDI კი, ინაკლი კაკაბაძეს აშშ-ის დემოკრატიულ პარტიასთან დაკაშშირებულ ორგანიზაციად მიაჩნია. კაკაბაძის ბლოგის

მიხედვით, დენიელ კუნინი, რომელიც NDI-ს თანამდებობის ოფიციალური პირველი დირექტორი იყო, დღეს სააკაშველის ლობისტია. ამასთან, ის ვერმონტის შტატის დემოკრატიული პარტიის გუბერნატორის, მედლინ კუნინის ვაჟიშვილია. მედლინ კუნინი დემოკრატიული პარტიიდან აშშ-ის პრეზიდენტის ბილ კლინტონის ელჩი იყო შევიცარიაში და კლინტონების იჯახის ახლობელია. დენილ კუნინისაც დიდი გავლენა აქვს, როგორც NDI-ში, ასევე დემოკრატიულ პარტიაში.

„საერთაშორისო

გამჭვირვალობა – საქართველოს“

მიერ მოპოვებული ოფიციალური

მონაცემებით, ზემოთ აღნიშნულ

ლობისტურ კომპანიებს

საქართველოს ბიუჯეტიდან

ლობისტური საქმიანობისთვის

მართლაც გადაერიცხათ თანხები.

OrionStrategies LLC-ის 2004 წლის

აპრილში – 590 ათასი დოლარი,

2008 წლის ნოემბერში – 200

ათასი, ხოლო – 2009 წლის

დეკემბერში 10 ათასი დოლარი.

ერთ-ერთი ლობისტი კომპანია Podesta Group, Inc. ბილ კლინტონის ყოფილი კანცელარიის უფროსის, ჯონ პოდესტას ახლო ნათესავს, ტონი პოდესტას ეკუთვნის. ინაკლი კაკაბაძის თქმით, ის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ჯგუფია ვაშინგტონის დემოკრატებს შორის, დემოკრატების ბევრ პრიორიტეტს განსაზღვრავს, ამიტომ NDI-ც ვერ იქნება მისი გავლენის სფეროს გარეთ. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მთავრობამ კუნინს ლობისტური საქმიანობისთვის 2009 წელს 231 ათასი დოლარი გადაურიცხა, ხოლო Podesta Group, Inc.-ს

2010 წლის 12 იანვარს 600 ათასი დოლარი ჩატარდა.

ლევის ნავაროს თქმით, ბატონ კუნინს 2003 წლის შემდეგ არ უმუშავია NDI-ში, ხოლო 2008 წლის შემდეგ – USAID-ში. მისი თქმა, რომ კუნინს გავლენა აქვს NDI-ზე იგივეა, რაც იმის თქმა, რომ კალიფრია „ქართული ოცნების“ წევრებს ირაკლი ალასანიას, ნინო ბურჯანაძეს და თელი ჯავარიძეს საქართველოს ხელისუფლება აკვინტროლებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ოდესალაც ხელისუფლების გვერდით იდგნენ.

„და ბოლოს, მინდა აღნიშნო, რომ ბატონი ივანიშვილის ლობისტებს და იურისტებსაც აქვთ მჭიდრო კავშირი კლინტონის ყოფილ აღმინისტრაციასთან. ასეობია, მაგალითად, გრეგ ქრეიგი (Greg Craig) თეთრი სახლის ყოფილი მრჩეველი და ყოფილი კონგრესმენი ტომ დონი (Tom Downey)“, – აღნიშნავს „ლიბერალთან“ საუბრისას ლეის ნავარ.

კვლევებს ენდობა ნაციონალური მოძრაობის ნარმიმადგენლი დაევით დარჩიაშვილი.

„NDI და IRI არავის ლობისტი კომპანიები არ არის. ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ საკუთარ აუტორიტეტს“, – ამბობს დარჩიაშვილი.

IRI-სა და NDI-ს კვლევების შედეგები 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინაც ხმაურიანი თემა იყო. მარტის ბოლოს, მედიით გავრცელდა IRI-ის შედეგები, რომლის მიხედვითაც, 42% – გიგი უგულავას, 11% – ირაკლი ალასანიას, 9% – გოგი თოფაძეს და 3% – გიგი ჭანტურიას უქერდა მხარს.

მაისში არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე კი NDI-ის შედეგებიც გახდა ცნობილი, სადაც ისევ მმართველი პარტია ლიდერობდა. კვლევის მიხედვით, თბილისის რესპონდენტთა 57%-მა მერად გიგი უგულავა დაასახელა; შემდეგი იყო „ალასანის საქართველოსთვის“ ლიდერი ირაკლი ალასანია, 7%-ით.

კვლევის და არჩევნების შედეგები, ფაქტობრივად, დაემთხვა. მართალია, ალასანიამ ნაწინასწარმეტყველებზე გაცილებით მეტი, დაახლოებით 19% მიიღო, მაგრამ გიგი უგულავაში კვლევები ნაწინასწარმეტყველები შედეგისგან 2 %-ით ნაკლები, 55% პროცენტით გაიმარჯვა. **■**

მიათვალი პასუხისმობის სამსახურის აღმინისტრუმენტის ფორმირითაში

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევა უკვე დასრულებულია. თუმცა, კომისიის წევრების შერჩევის პროცესი ხარვეზებით მიმდინარეობდა და ამის თაობაზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 60-მდე საჩივარია შესული. საჩივრების დიდი ნაწილი ცესკომ „უსაფუძვლობის“ გამო არ დააკმაყოფილა.

ლიკა ზაკაშვილი



საარჩევნო საუბრო კომისიის ცენტრი

„საუბრო კომისიის წევრის სტატუსი მნიშვნელოვანია, რადგან კენჭისყრა უბანზე ხორციელდება, შემაჯამებელი ოქმი საუბრო საარჩევნო კომისიებში იდება. შესაბამისად, მათ დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ“, – ამბობს საქართველოს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი, ირმა პავლიაშვილი.

კომისიის წევრებად ხშირად სკოლის პედაგოგები, დირექტორები და ახლა უკვე, სკოლის მანდატურები ინიშნებიან. „საარჩევნო კოდექსის“ 24-ე მუხლის მიხედვით, სკოლის ადმინისტრაციისა და სკოლის ცხოვრებაში ჩართულ სხვა პირებს საარჩევნო ადმინისტრაციის წევრობა არ ეკრძალებათ. კანონი შეზღუდვას საქართველოს პარლამენტის წევრებს, სამინისტროს დეპარტამენტებისა და სამმართველოების ხელმძღვანელებს, ადგილობრივი თვითმმართველობის წევრებს და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებს უწესებს.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის დირექტორს საარჩევნო უბნის წევრობა კანონით არ ეკრძალება, მისი ამ პოზიციაზე ყოფნა, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა თქმით, პრობლემურია. მათი აზრით, ვინაიდან სკოლის დირექტორის დამსაქმებელი სახელმწიფოა, დირექტორებს ერთგვარი „რიდი“ აქვთ მმართველი პოლიტიკური ელიტის.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრის, ნინო გოგუაძის თქმით, ნინა-საარჩევნოდ და არჩევნების დღეს სკოლა პოლიტიკური პროცესების ეპიცენტრი ხდება. მისი აზრით, ნინასაარჩევნო პერიოდში პედაგოგების ელექტორატი არჩევნების ადმინისტრირებაში არ უნდა ჩაერთოთ.

ნინო გოგუაძის აზრს იზიარებს

■ მიუხედავად იმისა,
რომ სკოლის დირექტორს
საარჩევნო უბნის წევრობა
კანონით არ ეკრძალება,
მისი ამ პოზიციაზე ყოფნა,
ოპოზიციური პარტიების
წარმომადგენელთა თქმით,
პრობლემურია. მათი
აზრით, ვინაიდან სკოლის დირექტორის დამსაქმებელი სახელმწიფოა, დირექტორებს ერთგვარი „რიდი“ აქვთ მმართველი პოლიტიკური ელიტის.

ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე: „სკოლის პედაგოგები, დირექტორები, ადმინისტრაციის თანამშრომლები, არ უნდა გვევლინებოდნენ საარჩევნო უბანზე“, – ამბობს ლევან ვეფხვაძე.

საარჩევნო უბნები, როგორც წესი, სკოლის შენობებში იხსენება, სადაც უბნის ხელმძღვანელი, ხშირად, იმავე სკოლის დირექტორია. სამგორის მე-40 საარჩევნო ოლქის კომისიის წევრის, მამუკა დოლიძის თქმით, ასეთი მაგალითები ბევრია და მათი გადამოწმება მარტივად, უბანზე მისვლით არის შესაძლებელი.

მამუკა დოლიძემ სამგორში ერთ-ერთი საარჩევნო უბნის დათვალიერების დროს აღმოაჩინა, რომ სკოლის დირექტორს, რომელიც იმავდროულად საუბრო საარჩევნო კომისიის უფროსია, საარჩევნო დოკუმენტაცია, რომელიც კანონის მიხედვით, ცალკე თაბაში უნდა ინახებოდეს, თავის კაბინეტში ჰქონდა შეტანილი.

„დირექტორები საარჩევნო უბნებზე თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში“, – ამბობს მამუკა დოლიძე.

არის თუ არა გამჭვირვალე საუბრო კომისიის ცენტრი შეიჩევა?

მამუკა დოლიძის თქმით, საოლქო კომისიებში საუბრო კომისიის წევრთა შერჩევის პროცედურა გამჭვირვალე არ არის.

მისივე თქმით, სამგორის მე-40 საოლქო კომისიამ, საუბრო კომისიის წევრთა არჩევის დროს, კონკურსში მონაწილე პირების განცხადებები საფუძვლიანად არ შეისწავლა და კომისიის რამდენიმე წევრისთვის, კერძოდ მისთვის და ნინო უძილაურისთვის (ეს ორი საოლქო კომისიაში კოალიცია „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს) ბუნდოვანი დარჩა, თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე გადაარჩია საუბრო კომისიამ შემოსული 1144 განცხადებიდან 708 განცხადება. სამგორის მე-40 ოლქში 118 უბანი შედის, საოლქო კომისიას ჯამში 708 პირი უნდა აერჩია.

საარჩევნო კომისიები

► 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის მოყვითალო საქართველოს მასშტაბით, ჯამში, 84 საოლქო და 3648 საუბრო საარჩევნო კომისია მოქმედებს. საოლქო საარჩევნო კომისია ცამეტი წევრისგან შედგება.

► საოლქო საარჩევნო კომისიის 5 წევრს 5 წლის ვადით ცესკო ირჩევს. არჩევნების დანაშვნის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიის 7 წევრს კი პოლიტიკური პარტიები ნიშნავენ.

► საუბრო საარჩევნო კომისიაში შემავალი 13 წევრიდან ექვსსა კონკურსის წესით შესაბამისი უბნის საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს. შვიდ წევრს კი ის პოლიტიკური პარტიები წარადგენენ, რომლებიც, კანონის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას იღებენ.

დოლიძე ამბობს, რომ იმ პირთა განცხადებები, რომლებიც საოლქო კომისიამ სამკორის სხვადასხვა უბანზე წევრებად დაამტკიცა, ერთი და იგივე ხელით იყო შევსებული. მისივე განმარტებით, მათ მხოლოდ ორი განმცხადებლის სახელისა და გვარის ამონერა მოახერხეს.

„კონკურსში მონაწილე პირების განცხადებების შესწავლისას აღმოვაჩინეთ, რომ მადონა ბიჭიკაშვილის და ხათუნა რევაზიშვილის ხელმოწერები განცხადებების ჩათვლით ერთი და იგივე ხელითაა შევსებული. აქედან გამომდინარე, გვაქვს ეჭვი, რომ განცხადებები გაყალბებული იყო. ჩვენ გვინდოდა, რომ ეს განცხადებები

საუბნო კომისიის წევრთა შერჩევის პროცედურებს ასაჩივრებენ და ოლქის ხელმძღვანელის ბრძანების გაუქმებას ითხოვენ.

ნინო უძილაური კომისიის წევრების არათანაბარ სამუშაო პირობებზეც საუბრობს. მიუხედავად იმისა, რომ კანონი საოლქო კომისიის ცამეტივე წევრს ერთნაირ უფლებებს ანიჭებს, ოპოზიციური პარტიებიდან არჩეულ წევრებს, საოლქო კომისიის მუდმივმოქმედი წევრებისგან განსხვავებით, საარჩევნო დოკუმენტაციის გაცნობა, სპეციალური მიმართვის გარეშე, ეკრალებათ.

„საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება მხოლოდ წერილობითი მიმართვის

ახლოებით 20:00 საათზე, საგანგებო სხდომა მოიწვიეს ოზურგეთის მე-60 საოლქო-საარჩევნო კომისიაში. 28 აგვისტოს კი თავმჯდომარის ხელახლა არჩევა მოხდა. რა თქმა უნდა, ნინო თავაძე თავმჯდომარედ აღარ აურჩევიათ“ – ვკითხულობთ გამოცემაში.

საუბნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევის პროცესს, „ქართული ოცნების“ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების განმარტებით, სოფელ ნაბშირლელის მე-18 საარჩევნო უბანზე თერჯოლის საკრებულოს წევრი, მართველი პარტიის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი როლანდ მესხი ესწრებოდა. აღნიშნული მოვლენის ამსახველი ვიდეო მასალა საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-ზე გაავრცელა.

კომისიის წევრის, მარინა გაბეხაძის თქმით, თერჯოლის საკრებულოს წევრი როლანდ მესხი კომისიის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა. „მდივანი რომ ავირჩიეთ, შემოვიდა როლანდ მესხი და მდივანი მაია ფანჩულიძე რამდენიმე წუთით გარეთ გაიყვანა. ოთახში დაბრუნებულმა ფანჩულიძემ კი უარი განაცხადა მდივნობაზე“, – განმარტავს მარინა გაბეხაძე. ამ ფაქტს ადასტურებს კომისიის წევრი, კახაბერ კუტივაძეც.

მარინა გაბეხაძემ და კახაბერ კუტივაძემ დარღვევების შესახებ 49-ე უბნის თავმჯდომარეს, მარინა კოლუაშვილს აცნობეს. კოლუაშვილმა კი განაცხადა: რადგან ოქმი უკვე შედგენილია, შესაბამისად, დარღვევაც არ არისო, – იუნება საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს „ადმინისტრაციის დაკომპლექტების მონიტორინგის“ პროექტს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ ახორციელებს. საიას წევრები დააკვირდებიან საუბნო კომისიის წევრების მუშაობას, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ობიექტურობას და იმას, თუ რამდენად ასრულებენ კომისიის წევრები კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს. **■**

■ ცესკოს ვებგვერდზე სამოცამდე საჩივარია განთავსებული.

მათგან უმეტესობა სწორედ ოლქის წევრებს ეკუთვნის, ისინი სხვადასხვა ოლქზე საუბნო კომისიის წევრთა შერჩევის პროცედურებს ასაჩივრებენ და ოლქის ხელმძღვანელის ბრძანების გაუქმებას ითხოვენ.

მტკიცებულების სახით წარგვედგინა ცესკომი, თუმცა საოლქო კომისიის თავმჯდომარემ არათუ ასლების გადაღების, არამედ სახელებისა და გვარების ამონერის საშუალებაც არ მოგვცა“, – ამბობს მამუკა დოლიძე.

საოლქო კომისიის ეს გადაწყვეტილება კომისიის ორმა წევრმა – ნინო უბილაურმა და მამუკა დოლიძემ გაასაჩივრეს. თუმცა, უსაფუძვლობის გამო, ცესკომ საჩივარი არ დააკმაყოფილა.


აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან, სტატიაზე მუშაობის პერიოდში, კომენტარი ვერ მივიღეთ.

ცესკოს ვებგვერდზე სამოცამდე საჩივარია განთავსებული. მათგან უმეტესობა სწორედ ოლქის წევრებს ეკუთვნის, ისინი სხვადასხვა ოლქზე

შემდეგ შემიძლია. წერილობით გამოთხოვა კი ფასიანია. დღევანდელმა გამოთხოვილმა დოკუმენტაციამ 35 ლარი შეადგინა“, – ამბობს ნინო უძილური.

ბოლო ერთი კვირის მანძილზე მედიაში საარჩევნო უბნებზე წევრთა შერჩევაში ადგილობრივი და მმართველი ხელისუფლების ჩარევის ამსახველი არაერთი ვიდეო მასალა გავრცელდა.

„გურია ნიუსმა“ 31 აგვისტოს გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „პატარა საარჩევნო უბანი დიდი სახელისუფლებო ინტერესით“. სტატიის მიხედვით, 2012 წლის 27 აგვისტოს დაბანატანებში, მე-60 უბანზე, კომისიის თავმჯდომარედ „ქართული ოცნების“ წევრი, ნინო თავაძე აირჩიეს. „იმავე სალამოს, 27 აგვისტოს, და-



ფინანსები

პარტიულის ფინანსები ნინასახრივოები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების
მიხედვით, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების
ძირითად წყაროს შემოწირულობები წარმოადგენს.

თათია ხალიანი



არჩევნები 2012

„პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს შემონიღულობების შესახებ ინფორმაციის გასაჯუროებას ავალდებულებს.

სახელმწიფო აუდიტის ვებგვერდზე,
შესაბამის განყოფილებაში, 2012 წლის
1 იანვრიდან – 19 ივნისამდე და 19 ივ-
ნისიდან – 8 აგვისტომდე პერიოდებში
პარტიების ანგარიშზე დარიცხული შე-
მოწირულობების სიაა განთავსებული.

2012 წლის იანვრიდან 19 ივნისამდე „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2 245 452.10 ლარი მიიღო. 19 ივნისიდან 8 აგვისტომდე მიღებულმა შემოწირულობებმა კი, 14 414 134 ლარი შეადგინა.

პარტიის ანგარიშზე ჩარიცხული
თანხები 1000-დან – 60 000 ათასამდე
მერყეობს.

2012 წლის იანვრიდან – 19 ივნისამდე 60 000 ათასი ლარის ოდენობის შემოწირულობა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 96 პირიდან 18-მა შესწორა.

19 ივნისიდან – 9 აგვისტომდე პერიოდში კი 60 000 ლარი პარტიის ანგარიშზე 657 პირიდან 78-მა პირმა ჩარიცხა. მათ შორისაა „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი ვლადიმერ გურგენიძე. ასევე: ჯამბულატ ჯაყელი, ამირან ქორთათშვილი, მიხეილ ესიაშვილი, ზურაბ გოზალიშვილი, გიორგი დევაძე, ნიკოლოზ ღონიაშვილი, კახაბერ დამენია, იზაბელა გუტიძე, შოთა აბულაძე, მურად წერიალაშვილი და სხვ.

შემომზირველთა სიაში, „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ აქციონერები და ტოპ-მენეჯერები არიან.

ლევან ფხავაძე – „ვისოლ პეტრო-ლიუმ ჯორჯიას“ აქციონერი – 60 000 ლარი. სამსონ (სოსო) ფხავაძე – „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ აქციონერი – 60 000 ლარი. ვასილ ხორავა – „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი – 20 000 ლარი. ნუგზაარ აბრამიშვილი – „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის მოადგილე – 60 000 ლარი. ვახტანგ ედილაშვილი – „ვისოლ

სამტრედიას“ დირექტორი – 60 000 ლარი.

საერთო ჯამში, 2012 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, კომპანიამ მმართველ პარტიას 260 000 ლარი ჩაუკითხა.

როგორც ზემოთ აღვნიშვნეთ, 2012 წლის შემონირულობებში მსხვილი კომპანიების დირექტორთა და მენილე-თა სახელები გვჩვდება.

2012 წლის შემონირულობებში კომპანიებისა და იურიდიული პირების ჩამონათვალს ვერ ნახავთ. იურიდიულ პირებს პარტიისთვის შემონირულობის გაღება კანონით ეკრძალებათ. შემომწირველი შეიძლება იყო ფიზიკური პირი, რომელსაც პარტიის სასარგებლოდ წელიწადში მხოლოდ 60 000 ლარის ოდენობის თანხის ჩარიცხვა შეუძლია.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“
შემომწირველთა სიაში, ტელეკომპანია
მე-9 არხმა, სოციალურად დაუცველთა
ბაზაში რეგისტრირებული 27 პირი აღ-
მოაჩინა, რომლებსაც პარტიის სასარ-
გებლოდ ჯამში 651 440 ლარის ოდე-
ნობის თანხა ჰქონიათ ეათარიახოლო.

ამ ფაქტის შესწავლა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, 21 აგვისტოს დაიწყო და ერთი კვირის თავზე 21 შემომწირველიდან უკანონოდ ხუთი სცნო. სახელმწიფო აუდიტმა მათ ქონებას, სამართლდარღვევისათვის გათვალისწინებული სანქციის (1 575 000 ლარის) ფარგლებში ყადაღა დაადო. აუდიტის სამსახურის ცნობით, ამ საკითხის მოკვლევა ისევ გრძელდება.

შემოწირული თანხების მიხედვით,
ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 2012
წლის იანვრიდან 8 აგვისტოს ჩათვლით
36 868 655 ლარი აქცის მიღებული.

როგორ ხარჯავს პარტია შემონირულობებით მიღებულ თანხებს და რაში – ეს ინფორმაცია „პოლიტიკური პარტიების შესახებ“ კანონის მიხედვით, ყველა საარჩევნო სუბიექტმა საარჩევნო კამპანიის დაწყებიდან ორი კვირის თავზე აუდიტის სამსახურს უნდა წარუდგინოს. აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე აღნიშნული ინფორმაცია საჯარო დღემდე არ არის.

„ქართული მცნება“ –
შემომწირველები

და ფინანსები

ნაციონალური მოძრაობისგან
განსხვავებით, 2012 წლის 20 ივნი-
სიდან 9 აგვისტოს ჩათვლით „ქარ-
თულმა ოცნებაზ“ შემონირულობების
სახით, სულ 1 654 088 ლარი მიიღო.
აქედან 127 143 ლარი უკანონოდ ჩაუ-
თვალეს და მათი შემომზირველები
დააჯარიმეს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ცნობით, „ქართულ ოცნებას“ უკანონო შემონიღულობა შვიდმა იურიდიულმა და 97 ფიზიკურმა პირმა გადაურიცხა.

„შემომზირველი იურიდიული პი-
რებია: შპს „ქართუ მშენებელი“, ს/ს
„ქართუ ბანკი“, შპს „ელიტა ბურჯი“,
შპს „მენეჯმენტ სკრიპისი“.

შპს „მენეჯმენტ სერვისი“ ორჯერ
დაჯარიმდა. კომპანიას „ქართული
ოცნებისთვის“ 60-მდე ოფისის გარე-
მონტება აუდიტის სამსახურმა უკა-
ნონო შემოწირულობად ჩაუთვალა და
ოფისების დაქირავება-გარემონტება-
ში დახარჯული თანხის ათმაგი ოდე-
ნობით (5 მილიონ ლარამდე თანხით)
დააჯარიმა. შემდეგ ეს თანხა სასა-
მართლოს გადაწყვეტილებით განა-
ხევრდა, თუმცა კომპანიამ ვერც 2,3
მილიონი ლარის გადახდა შეძლო, რის
შემდეგაც აღსრულების ეროვნულმა
ბიურომ კომპანიის ქონებას ყადაღა
დაადო. აღსანიშნავია, რომ „მენეჯ-
მენტ სერვისის“ მართვაში იყო ბათუ-
მის დელფინარიუმი და ქობულეთის
გასართობი ცენტრი „ციცინათელა“.

„ქართულ ოცნებაში“ შემვალი
პარტიებისათვის სატრანსპორტო სა-
შუალებების მიქირავებისა და ოფი-
სების გარემონტების გამო, სასა-
მართლომ კომპანია „ელიტა ბურჯი“
უკანონო შემომწირველად ცნო და 10
მილიონზე მეტი ლარით დააჯარიმა.
კომპანიის ქონება 26 ივლისს, აუქ-
ციონის ნესით, 8.76 მილიონ ლარად
კომპანია „გამას“ ხელმძღვანელმა
გიორგი ყავლაშვილმა იყიდა. „ნეტ-
გაზეთის“ ცნობით, გიორგი ყავლაშ-
ვილი აუდიტის სამსახურის ყოფილი
ხელმძღვანელის, ამჟამად მაჟორიტა-

რი დეპუტატობის კანდიდატის, ლევან ბეჭეშვილის მეჯვარეა.

კანონის გერედის ავლით ფინანსური ტრანზაქციის ფაქტზე სს „ქართუ ბანკი“ უკანონო შემოწირულობის ათმაგი ოდენობით – 822 040 ლარით დაჯარიმდა. ბანკმა დაკისრებული ჯარიმა არ გადაიხადა. ამის შემდეგ ბანკში ეროვნული ბანკის ადმინისტრაცია შევიდა, ბანკის ხელმძღვანელად კი ვლადიმერ უგულავა დაინიშნა. ბანკში დროებითი მმართველის შესვლიდან 13 დღის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილმა „ქართუ ბანკისთვის“ დაკისრებული ჯარიმა, კახეთში მომხდარი სტრიქის შედეგად დაზარალებული ადამიანებისთვის დახმარების მოტივით, ბიუჯეტში გადარიცხა.

ბანკში დაბრუნებულ მმართველებს კი დახვდათ ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ვლადიმერ უგულავამ ოთხ დეველოპერულ კომპანიასა და მათ შორის, „ცენტრ პონტის“ სამართალმეცვიდრე „დექსუს“ 50 მილიონი ლარის სასესხო ხელშეკრულება გაუფორმა. თუ „ქართუ ბანკი“ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას არ შეასრულებს, ლიკვიდობის კოეფიციენტი დაირღვევა და „ქართუ ბანკში“ ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაცია ისევ შევა. ნოდარ ჯავახიშვილის განცხადებით, ვლადიმერ უგულავას ამ ტიპის ხელშეკრულების გაფორმების უფლება არ ჰქონდა, ამიტომ „ქართუ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭომ მის ნინაალმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

დაჯარიმდა შვიდივე იურიდიული პირი. სახელმწიფო აუდიტის გადაწყვეტილები შვიდივე შემთხვევაში გასაჩივრდა, თუმცა სასამართლოს ჯარიმის შესახებ მიღებული არცერთი გადაწყვეტილება არ გაუუქმება.

ფიზიკური პირებიდან ყველაზე დიდი ჯარიმის გადახდა ბიძინა ივანიშვილს დაეკისრა. ბიძინა ივანიშვილი სულ ორჯერ დაჯარიმდა. პირველად 2012 წლის მარტში 2 მილიონ 725 ათას 970 ლარით, მეორედ ივნისში „გლობალ ტე“-ის ანტენების დაყენებისა და „ქართული ოცნებისთვის“

მანქანების მიქირავების გამო – 148, 650, 131 ლარით.

ბოლო ჯარიმა კახი კალაძის სახელზეა. კახი კალაძე 10 აგვისტოს „ქართული ოცნებისთვის“ უკანონო შემოწირულობის ბრალდებით 17 მილიონამდე ლარით დაჯარიმდა. გარდა ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაყადალდა კახი კალაძის უძრავ-მოძრავი ქონებაც – კომპანიები „მაქს ბეტი“, „კალა კაპიტალი“, საცხოვრებელი სახლები და ავტომობილები. ასევე, სასამართლომ კალაძის საბანკო ანგარიშები დააყადალა.

თანხების სიმწირის გამო წინასაარ-

■ 2012 წლის

შემოწირულობებში

კომპანიებისა და

იურიდიული პირების

ჩამონათვალს ვერ

ნახავთ. იურიდიულ

პირებს პარტიისთვის

შემოწირულობის გაღება

კანონით ეკრძალებათ.

ჩევნო კამპანიის დაფინანსების პრობლემებზე კოალიციის ლიდერმა 30 აგვისტოს გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინიციორებით გამოტანილი ყველა ჯარიმის, ყადაღისა თუ სანქციის აღსრულების დაუყოვნებლივ შეჩერება ითხოვა.

„კონტროლის პალატამ საკანონმდებლო და ადმინისტრაციული მანიპულაციებით 190 მილიონი ლარი წაართვა და გაკოტრებამდე მიიყვანა ბანკი „ქართუ“, აუქციონზე გაყიდა კოალიციის კონტრაქტორი კომპანიები, პირადად მე 130 მილიონ ლარზე მეტით

დამაჯარიმა; კოალიციაში შემავალი პოლიტიკური პარტიები მიღიონობით ლარით დაჯარიმა, ანგარიშებზე ინკასო დაუწესა და ფაქტობრივად მოუსპო პოლიტიკურობის საშუალება; საარჩევნო ბლოკს „ბიძინა ივანიშვილი – ქართულ ოცნებას“ შემოსავლებსა და ხარჯებში უკანონდებული კაუთვალა ათობით მიღიონი ლარი და ამით ნიადაგი მოამზადა არჩევნების შემდეგ ბლოკის დისკვალიფიკაციისა და პარლამენტში არშეშვებისათვის“ – ვკითხულობთ კოალიციის ლიდერის მიმართვის ტექსტში.

უპრეცედენტოდ მაღალ ფულად ჯარიმებსა თუ კანონის შერჩევით აღსრულების შესახებ 24 აგვისტოს გამართულ პრესკონფერენციაზე „ლიადემორუატიის კომიტეტის“ ორგანიზაციის მიერ მოწვეულმა ამერიკელმა ექსპერტმა საარჩევნო საკითხებში ტერი ბენპამაც ისაუბრა. ამერიკული ორგანიზაცია საპარლამენტო არჩევნებს 20-25 დამკვირვებლის შემადგენლიტით დააკვირდება.

ერთი კვირის წინ ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) გრძელვადიანი საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში წარმოადგინა. ანგარიში 2012 წლის 3-27 აგვისტოს პერიოდს მოიცავს.

ანაგარიშში წათქვამია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა კომუნიკაციისა და ურთიერთობების გაუმჯობესების კუთხით მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა. მიუხედავად ამისა, აუდიტის სამსახურის მიერ ბოლო დროს ბიძინა ივანიშვილის და კახი კალაძის პირადი ანგარიშების დაყადალებამ იმ მოტივით, რომ მათ ვერ დაადასტურეს საკუთარი ანგარიშებიდან გამოტანილი მიღიონობით დოლარის საარჩევნო კამპანიისთვის არმოხმარება – გაამყარა წარმოდგენა კანონის არაპროპორციული და შერჩევითი გამოყენების შესახებ.

ევროპის საბჭოს და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეების განცხადებით, აუდიტის სამსახურის გადაწყვეტილებები დამსჯელელი და „არაპროპორციული“ ხასიათისაა. ☐



ეცი წომიური ხეილსაფლანს

„არცერთი მანქანა, გარდა წარმომადგენლობითი ოპერატორის, 15000 ევროზე მეტი ღირებულების, სახელმწიფო აპარატმა არ უნდა შეიძინოს“, – ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა 2010 წლის 3 სექტემბერს ანაკლიაში უმრავლესობის წევრებთან შეხვედრისას გააკეთა. ასე დაიწყო „ქამრების შემოჭერის“ გახმაურებული პოლიტიკა. მას შემდეგ ორი წელი გავიდა, ჩვენ დავინტერესდით, თუ რამდენად „მჭიდროდ“ შემოიჭირეს ქამრები სახელისუფლებო სტრუქტურების.

სალომე ცეცხლაძე, სტუდია „მონიტორი“

თბილისის მერია

პრეზიდენტის განცხადებას თბილისის მერი, გიგი უგულავა ორ თვეში გამოეხმაურა. ადმინისტრაციული რესურსების შემცირების მიზნით, მერიამ აუქციონზე ძვირადილიერებულ ავტომობილებთან ერთად, გიგი უგულავას მანქანა „აუდი A8“-აც გამოიტანა.

„ეს არის სწორი გადაწყვეტილება და თუ გვინდა, რომ საზოგადოებამ წებისმიერი ხელისუფლების ქმედება სამართლია-

ნად აღიქვას, გვინდა, რომ წებისმიერი შემცირება, შეკვეცა, ქამრების შემოჭერა იქნება, თუ ჟგუტის გადაჭერა, იწყება ხელისუფლებიდან და არა საზოგადოებიდან“, – განცხად უგულავამ ტელეკამერების წინ აუქციონის დღეს.

ჩვენ აუქციონზე გატანილი მანქანების ბედით დავინტერესდით, თუმცა მერიამ ამის შესახებ საჯარო ინფორმაცია მიაწოდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს“. ამ მონაცემებით, 2011 წლის პირველ

დღეს ქალაქის მერი „კიას“ ფირმის ავტომობილით გადაადგილდება, რომლის ღირებულებაც „კიამოტორისის“ ოფიციალურ ვებგვერდზე 31 ათას 900 დოლარი, ანუ 50 ათას ლარზე მეტია.

თბილისის მერიამ მის დაქვემდებარებაში არსებული ავტომობილების შესახებ საჯარო ინფორმაცია მიაწოდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს“. ამ მონაცემებით, 2011 წლის პირველ

კვარტალში მერიის ბალანსზე 39 ავტომანქანების რეგულება და იმ ადამიანების ვინაობაც გამოვითხვეთ, რომლებიც ამ მანქანა ემსახურება.

ჩვენ შეძენილი ავტომანქანების ღრეულება და იმ ადამიანების ვინაობაც გამოვითხვეთ, რომლებიც ამ მანქანებით სარგებლობები. წერილზე თბილისის მერიიდან პასუხი ვერ მივიღეთ. ახალი ავტომანქანების შექნის შესახებ კითხვა ქალაქის მერს გიგი უგულავასაც დავუსვით.

„ავტომანქანების განახლება კანონის სრული დაცვით მოხდა. ყველა მანქანა, მათ შორის, ჩემიც ჩავაბარეთ და გრძელვადიანი კონტრაქტი გავაფორმეთ, რამაც, საბოლოო ჯამში, მერიას ზუსტად ერთ მილიონიანი დანაზოგი მოუტანა. მეველი მანქანების მოვლა-პატრონობაზე გაცილებაზთ მეტი იხარჯებოდა“, – გვითხრა უგულავამ.

ჩვენ მიერ მოპოვებული ოფიციალური ინფორმაციით, მანქანების ტექნიკურ მომსახურებაზე დახარჯული თანხა მართლაც შემცირდა, მაგრამ არა მილიონით, როგორც ეს თბილისის მერმა გვითხრა, არამედ – დაახლოებით 270 ათასი ლარით.

თუ 2010 წელს მანქანების ტექნიკურ მომსახურებაზე 480 ათასი ლარი დახარჯეს, 2011 წლის ბიუჯეტიდან დახარჯული თანხა 212 ათასი ლარია. რაც შეება საწვავს, თბილისის მერიაში მასზე დახარჯული საბიუჯეტო სახსრები არათუ მცირდება, არამედ მატულობს. ქალაქ თბილისის მერიას 2009 წელს ავტომანქანების საწვავის შესყიდვა 670 ათას ლარამდე დაუჯდა, 2010 და 2011 წელს კი დახარჯულმა თანხამ თითო მილიონ ლარს გადააჭარბა.

სამინისტროები

2011 წელს „ტოიოტა ცენტრი თბილისიდან“ სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ 113 ათას ლარიანი „ტოიოტა ლენდ კრუიზერი“ იყიდა. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, ჯიპს უნდა ჰქონდა ისეთი დამატებითი მონაცემები, როგორიცაა 9 ინჩიანი ინტეგრირებული მონიტორი ჭერში; 14 დინამიკი, კრუიზ

კონტროლი; მაცივარი, ტყავის სალონი; ხის და ტყავის სიჩქარების გადამრთველი; ტყავის და ხის კომბინირებული საჭე-ავტომანქანების შესყიდვისას რაც უფრო მეტ მონაცემს მოითხოვ კომფორტისთვის, შესაბამისად, ავტომობილის ღირებულებაც იზრდება.

„მაგალითად, შეგიძლია იყიდო მანქანა ტყავის სალონით, DVD-ით, მონიტორით, თისტორიანი კლიმატ კონტროლით, სენსორებითა და კამერებით – მაქსიმალური შესრულებით, რაც ერთიანდება სიტყვაში „კომფორტი“. კომფორტი თავისთავად მოითხოვს დამატებით სახსრებს“, – ამბობს ნინო გაგუა, ტოიოტა ცენტრის გაყიდვების მენეჯერი.

ზაზა გოროზია სოფლის

მეურნეობის მინისტრად 2011

წლის ოქტომბერში დაინიშნა.

დანიშვნიდან 20 დღეში

სამინისტრომ ავტოპარკის

განახლება გადაწყვიტა და

ავტომანქანის შესაძენად

ტენდერი გამოაცხადა. ახალმა

მინისტრმა ახალი 122 ათას

ლარიანი „ტოიოტა ლენდ

კრუიზერი“ იყიდა.

ხათუნა კალმახელიძის უწყებაშ კომფორტის სრული პაკეტი შეიძინა. დღეს სასჯელადსრულების სამინისტროს ბალანსზე სულ 2 ტოლესაგენი, 10 შეკვეთი, 1 კია, 1 ტოიოტა პალუექსი, 1 მერსედეს ბენცი და ნივა ირიცხება. ჩვენ სამინისტროს მივმართეთ კითხვით, თუ რა თანხა დაიხარჯა ამ ავტომანქანების შესაძენად, თუმცა ამის შესახებ ინფორმაცია არ მოგვაწოდეს.

რაც შეეხება სასჯელადსრულების სამინისტროს ავტომანქანების საწვავის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ამი-

სათვის 2010-2011 წლებში ბიუჯეტიდან ნახევარი მილიონი ლარი გამოიყო.

სამიტრეულო ფაქტია ისიც, რომ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების დიდი ნაწილი, როგორც კი ახალ თანამდებობაზე ინიშნება, წინამორბედის ავტომობილით აღარ სარგებლობს და ახალ, ძვირადილებულ ავტომანქანას ყიდულობს. ზაზა გოროზია სოფლის მეურნეობის მინისტრად 2011 წლის ოქტომბერში დაინიშნა. დანიშვნიდან 20 დღეში სამინისტრომ ავტოპარკის განახლება გადაწყვიტა და ავტომანქანის შესაძენად ტენდერი გამოაცხადა. ახალმა მინისტრმა ახალი 122 ათას ლარიანი „ტოიოტა ლენდ კრუიზერი“ იყიდა.

გარდა ამისა, სამინისტროს ახალი ავტოპარკისთვის შეიძინეს 75 ათას ლარად „ტოიოტა ლენდ კრუიზერ პრადი“, 74 ათას ლარად – 2 „ჰიუნდაი IX-35“, 87 ათას ლარად – 3 ცალი „ჰიუნდაი ელანტრა“, 49 ათას 500 ლარად – „ფოლესაგაგენ პასატი“, 90 ათასად – 2 „ჰიუნდაი სონატა“. გოროზიამ სამინისტროში მისვლის შემდეგ მანქანების შესასყიდად ჯამში დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარი დახარჯა.

2012 წლის დასაწყისში ძვირადილებული ავტომანქანან იყიდა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომაც. ლადო ვარძელაშეოლის უწყებამ ორ ჯიპში 199 ათასი ლარი გადაიხადა.

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მსგავსად, საახალწლო საჩუქარი გაიკეთა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ. საახალწლოდ, 30 დეკემბერს, ტენდერი გამოაცხადა და 140 ათას ლარად სამი ცალი „ჰიუნდაი სონატა“ შეიძინა. თავად კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუ კი 109 ათასი ლარიანი „ტოიოტა ლენდ კრუიზერით“ დადის.

ავტომანქანების შესყიდვის შესახებ „ლიბერალის“ მიერ დასმულ კითხვაზე ნიკოლოზ რურუმ ასე გვიპასუხა: „კაი რა, დაანებე ამ სისულელეებს. როდის გახდი „ბულშითერი?“ მერე რა, რომ იყიდა? ყველაფერი, რაც ტექნიკურ ალფურუილობას შეეხება, იქნება ნაყიდი და შეძენილი“.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ავტომობილის საწვავისათვის

შურნალისტური გამოძიება

ბოლო სამ წელიწადში ნახევარ მილიონ ლარზე მეტი დახარვა. ტექნიკურ მომსახურებაში კი – 350 ათას ლარზე მეტი.

ძვირადღირებული ავტომანქანების შეძენა ახლაც გრძელდება. 2012 წლის 21 მარტს ახალ ჯანდაცვის მინისტრად ზურაბ ჭავაძე გვილი დაინიშნა. დაახლოებით ორი თვის შემდეგ, ჯანდაცვის სამინისტრომ 2011 ან 2012 წლის ავტომანქანის შესაძლებელ ტენდური გამოიცხადა და ახალმა მინისტრმა ავტომანკუ 126 ათას ლარიანი ჯიპით განაახლა.

საბართველოს რეგიონები

თანამდებობის პირები ძვირადღირებული ავტომობილებით გადაადგილდებინ რეგიონებშიც. 2007 წლის იანვარში პრეზიდენტმა რწმუნებულები დაიბარა და მათ გამგებლებისა და საკერძულოს თავმჯდომარების ფინანსური მდგომარეობის გარკვევა დაავალა. პრეზიდენტის შესფოთების საგანი გამგეობრებისა და საკერძულოების ნარმომადგენლების მიერ ბიუჯეტიდან საკუთარი კომფორტისთვის დახარველი თანხები გახდა, მათ შორის ძვირადღირებული ავტომანქანების შეძენაც მოხვდა.

შეხვედრის შემდეგ ქუთაისის მერი ბაკურ ბალანჩივაძე 48 ათას ლარიანი ავტომობილის შესყიდვის გამო თანამდებობიდნ გაათავისუფლეს, თუმცა ავტომობილი, რის გამოც ბალანჩივაძე გაათავისუფლეს, კიდევ რამდენიმე წელი ემსახურა ქუთაისის მომდევნო მერებს.

ამ ამბიდნ ითხო წლის შემდეგ, 2011 წელს, ქუთაისის მერიამ ძვირადღირებული ავტომობილი კვლავ შეიძინა. „ახალი გაზითის“ ინფორმაციით, მერიამ 65 ათას ლარად „ტოიოტა პრადი“ იყიდა, რომელიც იმერეთის რწმუნებულ ლაშა მაქაცარიას გადასცეს. მაქაცარიამ კი, სანაცვლოდ მერს თავისი მანქანა მისცა. 48 ათასიანი ავტომობილი, რომელსაც მერის თანამდებობა შეეწირა, მერის პირველ მოადგილეს შეხვდა. ბიუჯეტიდან კომფორტისთვის დახარველი თანხის გამო, ამჯერად პრეზიდენტს არავინ დაუსჯია.

48 ათას ლარიანი ავტომობილის შეძინის გამო, ქუთაისის მერის დასჯიდან 2 წლის შემდეგ, 2009 წლის 9 ანგარს მიხეილ სააკაშვილა, თავისივე განკარგუ-

ლებით, პრეზიდენტის ფონდიდან ძვირადღირებული ავტომობილი ლანჩჩეთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის რწმუნებულს ვალერიან ჩიტაიშვილს უყიდა. „ტოიოტა პრადი“, რომლითაც რწმუნებული დღემდე გადაადგილდება, ბიუჯეტის 82 ათას 800 ლარი დაუჯდა.

ჩვენ, გურიის გუბერნატორ ვალერიან ჩიტაიშვილსაც დაუკუავშირდით:

„ეს არის მაღალი გამავლობის მანქანა, რომელიც აუცილებელია გადასაადგილებლად, თან რელიეფს თუ გაითვალისწინე-

ცით“ დადიხარ, შეიძლება ვერ იმუშაო ეფექტურად. კარგი მანქანით რომ დადიხარ, მუშაობის ეფექტიანობა მატულობს. ასევე, გამგებელი ძალიან დაკავებული პიროვნება. ურთულეს ადგილებში უნებს სიარული, ასკანაში, შრომაში, მთაში, გომის მთაზე“, – ასე ასაბუთებს ძვირადღირებული მანქანის საჭიროებას მექვანიშვილი.

ავტოპარკის განახლების კიდევ ერთი მეთოდი, რამდენიმე წელიწადში ავტომობილის უკან ჩაბარება, ფულის დამატება და უახლესი მოდელის შეძენაა. ივანე სალინაძე ახლა ფოთის საკერძულოს თავმჯდომარეა. 2007 წელს, როდესაც ფოთის მერის თანამდებობაზე მუშაობდა, მისთვის 58 ათას ლარად ავტომანქანა „ფოლქსვაგნ პასატი“ შეიძინეს. საკერძულოს თავმჯდომარედ დანოშვნის შემდეგ მისი „ფოლქსვაგნ პასატი“ გაიყიდა.

მანქანა საბოლოო ჯამში 54 ათასი ლარი დაჯდა. 36 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო, ხოლო 18 ათასი ლარი ძვილი ავტომობილის ჩაბარებით დაიფარა. „მონიტორთან“ საუბრისას, მან თავდაპირველად, ავტომობილში გადახდილი მხოლოდ 36 ათასი ლარი გაიხსენა, 18 ათასი კი მხოლოდ მას შემდეგ ახსენა, როცა ამის შესახებ ჩვენ შევახსენეთ.

ივანე სალინაძის შემდეგ ფოთის მერი ვახტანგ ლემონჯავა გახდა, რომელმაც დანოშვნისთანავე 77 ათას ლარიანი „ტოიოტა პრადი“ შეიძინა (გახტანგ ლემონჯავაშ მერის თანამდებობა აგვისტოს დასაწყისში დატოვა). ის ჩხოროწყუში, „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარად იყრის კერძის). სალინაძემ მერისთვის შეძენილი ავტომანქანის ფასიც არასწორად გაიხსენა... „მერის მანქანის ლინებულება, თუ არ ვცდები, 65 ათასი ლარია“, – გვითხრა სალინაძემ.

კითხვაზე, რაში სჭირდება ფოთის გამგეობას ძვირადღირებული ავტომანქანები, საკერძულოს თავმჯდომარემ გვიპასუხა: „ხშირია დელეგაციები ფოთში, ხშირია სტუმრები ფოთში. ასევე, ჩვენც ხშირად გვიჩვეს გადასადგილება, როგორც გუბერნიაში, ასევე დედაქალაქში და სხვა ქალაქებში. მანქანა არის აუცილებელი საშუალება, რითაც გადავაადგილდებით“, – ამბობს ივანე სალინაძე.

ბთ... ამასთან, ჩემი მანქანა არის 4 წლის“, – გვითხრა ჩიტაიშვილმა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს, ილია ვაშამაძეს ახალი, 75 200 ლარად შეძენილი „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანა ემსახურება, რომელიც გაზით „გურიანის“ ინფორმაციით, 2011 წლის ბოლოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან შეიძინეს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკერძულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ მექვაბიშვილი მანქანების შესყიდვასთან დაკავშირებით ოფიციალურ კომენტარზე ვერ დავითანხმებ და მისი ფარულად ჩანერა მოგვიხდა. „როდესაც, მაგალითად, „ზაპოროჟე-

ნინო თუნთია ინტერნეტგამოცემა press.ge-ს ურნალისტია. ის ხშირად წერს ფოთის ბიუჯეტის, მათ შორის, ბიუჯეტიდან ავტომობილების შეძენის საკითხებზე.

„2011 წელს ადგილობრივი მოსახლეობის ერთჯერად დახმარებების თანხა შეადგენდა 40 ათას ლარს და იმაზე გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე საკურეულოს თემაზე დამომარის ერთი ავტომობილი“, – ამბობს ნინო თუნთია.

თვითმმართველობა უნიფრალური ხელისუფლების სამსახურში

ხშირია შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, თავისი, ისედაც მნირი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქვირადღირებულ მანქანებს ცენტრალური ხელისუფლების მაღალჩინოსნებისთვის, მაგალითად, გუბერნატორებისათვის, ან ცენტრალური სახელისუფლებო სტრუქტურებისათვის ყიდულობენ.

მაგალითად, სამეცნიერო-ზემო სვანეთის გუბერნატორი გურამ მისაბმელი 2011 წელს შეძენილი 105 ათას ლარიანი „ტოიოტა ლენდ კრუიზერით“ დადის, რომელიც თანამდებობაზე დანიშვნისთანავე მესტიის მუნიციპალიტეტიმა უყიდა. 102 ათასიანი ავტომობილით გადაადგილება გუბერნატორის პირველი მოადგილე დავით დარცმელიძე.

2007 წლიდან დღემდე სამეცნიერო-ზემო სვანეთის სამსახური ადმინისტრაციას სხვადასხვა მუნიციპალიტეტმა, ფოთის მერიამ და სამინისტროებმა რვა ავტომობილი გადასცეს. თვითონ სამეცნიეროს გუბერნატორმა კი 2011 წელს სოფლის მუნიციპალიტეტის 80 ათას ლარიანი „ბეემვე X5“ აჩიქა. სწორედ ამ წელს დაინიშნა სამეცნიეროს გუბერნატორი ზაზა გოროზია სოფლის მეურნეობის მინისტრად.

რაც შეეხება წალენჯიხის მუნიციპალიტეტს, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგრძოლო ვებგვერდის მიხედვით, 2011 წლიდან დღემდე წალენჯიხის მუნიციპალიტეტმა 6 ქვირადღირებული ავტომობილი იყიდა: 102 ათას ლარიანი, 76 ათას ლარიანი და 70 ათას ლარიანი „ტოიოტა ლენდ კრუიზერ პრადო“, 45 ათას ლარიანი „მერსედეს ბენცი“,

47 000 ლარიანი „პიკაპი“. ბოლოს, 2012 წლის 4 ივნისს, 34 ათას ლარად ღირებული „ტოიოტა რავ 4“ იყიდეს.

წალენჯიხაში 2011 წლიდან დღემდე 370 ათას ლარზე მეტი ღირებულების ავტომანქანები შეიძინეს. ეს მაშინ, როცა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების მიხედვით, წალენჯიხის ბიუჯეტიდან ამბულატორიების, პოლიკლინიკებისა და საავადმყოფოების პროგრამების დასაფინანსებლად წლიურად 42 ათასი

ლარია გამოყოფილი, მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა დასახმრებლად – 90 ათასი ლარი, სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახებსა და ავადმყოფებზე ერთჯერადი ფულადი დახმარებება კი ჯამში 50 ათასი ლარს შეადგენს.

ფუფუნების მოყვარული აღმოჩნდა სამცხე-ჯავახეთის რწმუნებული და დღეს უკვე დასაქმების მინისტრის მოადგილე ლაშა ჭკადუა. დანიშვნისთანავე, 2009 წლის დასაწყისში, პრეზიდენტის განკარგულებით, მისთვის 82 800 ლარად „ტოიოტა პრადო“ შეიძინეს.

ლაშა ჭკადუამ პრეზიდენტის ნაჩუქარი ავტომანქანა 2010 წელს გამოცვალა და ახალციხის გამგებელს მას შემდეგ გადასცა, როცა გამგებელმა მას უფრო ძვირადღირებული 105 ათასიანი ტოიოტა „ლენდ კრუიზერ პრადო“ უყიდა.

რწმუნებულ ლაშა ჭკადუას ტელეფონით დაუკავშირდით. მისი თემით, მას არაუკრი გადაუხდია მანქანაში: „გამგეობას ჰქონდა ნაყიდი და იმ მანქანით დავდივა“. ჩეგნს კითხვაზე, გამგებელმა თავისი ნებით გიყიდათ, თუ გუბერნატორი სთხოვა, ტელეფონი გათიშა და ჩეგნს ზარტბა აღარ უბასუხადა.

ავტომანქანების შესყიდვის სიხშირით გამოირჩევა შიდა ქართლიც. 2011 წლის 22 აგვისტოს გორის მუნიციპალიტეტმა ავტომანქანის შესყიდვაზე ტენდერი გამოაცხადა. ტენდერი 13 სექტემბერს დასრულდა. 14 სექტემბერს კი შიდა ქართლმა ახალი გუბერნატორი, გიორგი ტატიშვილი დანიშვნა გორის გამგებელმა ახალ გუბერნატორს ახალშესყიდული 108 ათასიანი ჯიპი დაახვედრა.

„კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ ვებგვერდზე მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, გორის მუნიციპალიტეტმა ავტომანქანების შესყიდვაზე 2011-2012 წლებში 240 ათას ლარზე მეტი დახმარება.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა თანამდებობის პირებს ორი ავტომანქანა ემსახურებათ. ორი ავტომობილი ჰქონდა ბათუმის მერ რობერტ ჩხაიძესაც (ის, აგვისტოს ბოლოს თანამდებობიდან გადადგა და ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია). თუმცა მასალის

"ქამჩაბის შემოხაის" პოლიტიკა

ბიუჯეტიდან ფულის უყარათოდ ხარჯვა ინტერნეტ სივრცეშიც პოპულარული თვემაა. მაგალითად, სოციალურ ქსელ ფეისბუქში გავრცელდა ფოტომონტაჟი, საბადუ ჩანს, რომ ლონდონის მერი სამსახურში ველოსიპედით მიდის, ნიუიორკის მერი – მეტროით, თბილისის მერს კი რამდენიმე ავტომობილიანი ესკორტი მიაცილებს. ამ ფოტომონტაჟით სოციალური მედიის მომსმარებლები „ქარუმატებელ პოლიტიკას აპროტესტებენ.“

CRRC-ის 2009 წლის ავალი

„კავკასიონ ეკონომიკურმა და სოციალურმა კვლევითა ინსტიტუტმა“ საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობების 2009 წლის ბიუჯეტის პოლიტიკის მომსმარებლები ნაირის ანალიზი გააკეთა და მოელირი დარღვევები აღმოჩინა. მაგალითად, ანალიზის შედეგა გაირკვა, რომ თვითმმართველობების სეთ სფეროში აფინანსებრ, რომელსაც, ნესით, ცენტრალური ხელისუფლება უნდა აფინანსდეს. ესრნა: პოლიცია, განათლება, ჯანდაცვა და თავდაცვის სფერო. თუმცა, 2009 წელსვე კანონი შეიცვალა და ადგილობრივი თვითმმართველობების სურვილის შემთხვევაში მსგავსი დაფინანსებები უკვე კანონიერად ითვლება. უფრო მეტიც, კანონი იმდგარად შეიცვალა, რომ 2006 წლიდან 2009 წლამდე ჩადგინდილი უკანონ შესყიდვებიც კანონიერი გახდა.

შურნალისტური გამოძიება

მომზადების პროცესში ბათუმის მერის მოადგილე ჯემალ ანანიძე (დღეს ის უკვე ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელია), ამ ფაქტზე საუბრისას გვიმტვიცებდა, რომ მერის სარგებლობაში ამჟამად ერთი ავტომობილია. მეორე მანქანა დროებით სარგებლობაში ჰქონდა და უკანვე დააბრუნა.

ჩვენ მიერ მოპოვებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ბათუმის მერს ორი ავტომობილი ემსახურება. 2009 წელს 43 ათას ლარად ნაყიდი „ტოიოტა ქერი“ და 2010 წელს 35 ათას ლარად შეძენილი „ტოიოტა ლენდ კრუიზერი“.

ბათუმის მერიის ბალანსზე სულ 78 ავტომობილი ირიცხება. გაზრით „ბათუმელები“ საკითხს ინტენსიურად აშექებს. ურნალისტ ცაგო კახაბერის თქმით, არ ახსოვს, რომ საკერძულოს სხდომაზე ავტომანქანების შესყიდვის საკითხი ჩავარდნილიყოს. ის იხსენებს შემთხვევას, როცა საკერძულოს სხდომაზე 5 მანქანის შესყიდვის შესახებ საკითხი გამოვიდა.

„ოპოზიციამ იყითხა, ყველას აქვს ახალი მანქანა და ვისთვის ვყიდულობთო. მომხ-სენებელმა თქვა, რომ ერთი იქნებოდა, მაგალითად, ადმინისტრაციის უფროსის, გელა მახარაძის. ოპოზიციის არგუმენტი იყო, რომ გელა მახარაძეს „უკვე ჰყავს ახალი „ტოიოტა კოროლა“, რომლითაც გადაადგილდება და რატომ ყიდულობთ მისთვის კიდევ მანქანას. საკერძულოს ერთ-ერთმა წევრმა უმრავლესობიდან წა-მოიძახა, აქვს, მაგრამ კიდევ უნდა. ამაზე ყველამ გაიცინა და ეს დარჩა საბოლოოდ პასუხი“, – გვიყვება ცაგო კახაბერიძე.

დესრიბი ძვირი ღირს, რატომ ჩავიდან თვითმმართველობის შსს-ს განვახება?

მისმანიშვილი ტენდენციაა მუნიციპალურების მხრიდან როგორც გუბერნიე-ბისთვის, ისე პოლიციისა და სამინისტრო-ებისთვის ავტომანქანების შეძენა. 2009 წლამდე ასეთი შესყიდვები უკანონი იყო.

„2009 წელს საქართველოს პარლა-მენტმა ადგილობრივი თვითმმართვე-ლობების შესახებ ორგანული კანონის გარდამავალ დებულებაში შეიტანა

ცვლილება, რომლის მიხედვითაც, 2006 წლიდან განეული ამდაგვარი ხარჯები უკუცევითი ძალით კანონიერად ცნო“, – განმარტვას „კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუ-ტის“ აღმასრულებელი დირექტორი და-ვით ნარმანია.

ასე რომ, ადგილობრივი თვითმმართვე-ლობები შინაგან საქმეთა სამინისტროს-თვის ავტომანქანებს 2009 წლამდე უკანონოდ და დღეს უკვე ნებაყოფლობით, შესაბამისად, კანონიერად ყიდულობენ.

მაგალითად, „გურიანუსის“ ინფორ-მაციით, იზურგეთის მუნიციპალიტეტმა 2011 წელს ადგილობრივ პოლიციას 35 ათას ლარიანი „ბეემვე X5“ და 25 000 ლარიანი „მერსედეს ბენცი“ უყიდა.

„ჩვენ გვაქვს საიმისო შემოსავლები, რომ ნორმალურად ვუპასუხოთ კარგ პროექტებს და კარგ გამოწვევებს, მათ შორის, ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვე-ვაა – ქვეყანაში წესრიგი იყოს. ჩვენ მზად ვართ პოლიციას მომავლშიც დავუდევთ გვერდით“, – ამბობს იზურგეთის მუნი-ციპალიტეტის საკერძულოს თავმჯდომა-რის მოადგილე ავთანდილ მექვაბიშვილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის

“IDFI”-ი ჩემიონებში აუსმარებაში შესყიდვის შესახებ

პრესტრი „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ხელმძღვანელი ლევან ავალიშვილი სტუდია „მონიტორის“ ავტომანქანების შესყიდვასთან დაკავშირებით რეგიონებიდან ინფორმაციის მოპოვებაში ეხმარებოდა. მისი თქმით, გამოკვეთილი ტენდენციაა მაღალი გამავლების მანქანების შესყიდვა, რომელთაც უფრო მეტი წვა აქვთ და მათი შენახვა უფრო მეტ თანხებს მოითხოვს. „რადგან ინფორმაცია გამოვითხოვთ 2005 წლიდან 2011 წლამდე, შემიძლია გითხოვთ, რომ 2008 წლამდე არ ყიდულობდნენ ამ სიძვირის მანქანებს. ძრითადად ყიდულობდნენ გრავეული წლოვანების „ნივას“, ან „ნისან პატრულს“, შესაბამისად, დაბალ ფასს იხდიდნენ. 2008 წლიდან ნიმოვიდა ახალი ავტომანქანების შეძენის ტენდენცია და ფასებიც მაღალია“, – ამბობს ლევან ავალიშვილი.

ავტომანქანების შეძენის ფაქტს იგივე არგუმენტით ამართლებს ფოთის საკრებულოს თავმჯდომარეულ ფოთის მერიამ 2007 წლიდან დღემდე შინაგან საქმეთა სამინისტროს 223 ათასი ლარის ღირებულების ავტომობილები გადასცა.

„საპორტო ქალაქია. წესრიგი არის ქალაქში და მხარს ვუჭერთ პოლიციას, ამიტომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვიძენ ამ მანქანებს. ხოლო თუ რამე თანხა გვჭირდება, იმას ცენტრალური ბიუჯეტიდან ვიღებთ“, – ამბობს ივანე სალინაძე.

2011 წლის ივნისის მონაცემებით, წა-ლენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ადგილობრივ პოლიციას 2007 წელს 43 ათას ლარიანი „ტოიოტა პაილუქსი“, 2008 წელს „მერსედეს ბენცი“, 2009 წელს 43 ათას ლარიანი „ტოიოტა პაილუქსი“ გა-დასცა, 2010 წელს სოდის სამახარეო სა-მასახურს 49 ათას ლარიანი „მიცუბიში“ უყიდა.

აღსანიშნავია, რომ მაშინ, როცა ადგი-ლობრივი მუნიციპალიტეტის მანქანებს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ყიდუ-ლობდნენ, თვითონ სამინისტროს ბიუჯე-ტი ბოლო წლების განმავლობაში ნახევარ მილიარდ ლარს ბევრად აჭარბებდა.

ხულის მუნიციპალიტეტმა 2005 წლი-დან 2011 წლის ივნისამდე სულ 3 ავტო-მანქანა შეიძინა. ამათვან 19 ათას ლარიანი „მიცუბიში“ აჭარის ტელევიზიის გადასცა, ხოლო 38 ათას ლარიანი „ნისან ნავარა“ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს. შუახევის გამგეობამ 2010 წელს აჭარის ავტონომიური რესპუ-ბლიკის მთავრობას 58 ათასიანი „ტოიოტა პრადი“ უყიდა.

„ყველაზე ცუდი აქ ის არის, რომ ცენ-ტრალურ ხელისუფლებას ისედაც საქმა-რის ფინანსური რესურსები გააჩნია, ამიტომ საკუთარ უფლებების მიღების აფინანსებდეს. ადგილობრივ თვითმმართველობას შედარებით მწირი ფინანსურები გააჩნია და ეს ფინანსურები არ ჰყოფნის ადგილობრივი სერვისების მო-წესრიგებასაც კი. ასეთ შემთხვევაში მან, პირველ რიგში, ეს სახსრები საკუ-თარი უფლებამოსილებების დაფინანსე-ბისკენ უნდა მიმართოს“, – ამბობს და-ვით ნარმანია. **ც**

ტელევიზიონური კანონის მიღმა

აჭარის ტელევიზია კვლავ კანონს მიღმა ფუნქციონირებს. ტელევიზიის ურნალისტები, ფაქტობრივად, საჯარო მოხელეები არიან, რადგან არხი აჭარის მთავრობის ერთ-ერთ „საქვეუწყებო დაწესებულებას“ წარმოადგენს და ბიუჯეტიდან ფინანსდება. აჭარის სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობის დეპარტამენტმა, რომელიც „აჭარა TV“-ს მართავს, ბიუჯეტიდან წელს 6 648 000 ლარი მიიღო.

ეკა მაღალდაძე



ევალება თუ არა აჭარის ტელევიზიას კანონით უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეელარების განთავსება? საეთერო დროის გამოყოფისას, თანაბრობის პრინციპის დაცვა? რამდენად მიუკერძობად მუშაობენ ტელევიზიის ურნალისტები? ეს კითხვები წინასაარჩევნოდ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

აჭარის ტელევიზიის სტატუსი 2005 წლის შემდეგაა გაურკეველი. მას მერე, რაც პარლამენტმა მაუწყებლობის შესახებ კანონი მიიღო, ქვეყნაში არსებული ორი სახელმწიფო არხიდან, პირველი არხი საზოგადოებრივ მაუწყებლად გადაკეთდა, აჭარის ტელევიზიის საკითხის გადაწყვეტა კი რამდენიმე წლით გადაიდო.

აჭარის ტელე-რადიო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, მინდის ნაკაშიძისთვის ახლაც უცნობია, როდისთვისაა დაგეგმილი არხის სტატუსის განსაზღვრა, თუმცა, მისი თქმით, ეს ურნალისტებისთვის დისკომფორტს სულაც არ ქმნის, რადგან ყველაფერი თავისუფლად და ბიუჯეტურად შექდება. „ჩვენ ყველა იმ ვალდებულებას ვიღებთ ჩვენს

თავზე, რაც საზოგადოებრივ მაუწყებლს აქვს“.

„დემოკრატიის ინსტიტუტი“ აჭარის რეგიონში 2004 წლიდან ფუნქციონირებს. არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი სამუშაო მიმართულება სახელმწიფო მმართველი ორგანიზაციის საქმიანობის მონიტორინგი და საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის დაცვაა. ორგანიზაცია, უკვე წლებია, ტელევიზიის სტატუსის საკითხს ხან ადგილობრივი, ხან კი ცენტრალურ ხელისუფლების წინაშე აყვნებს, თუმცა, უშედეგოდ. ინსტიტუტის ხელმძღვანელი გრიგორე გელაძე იხსენებს, რომ მაუწყებლობის შესახებ კანონის გარდა-მავალ დებულებებში ჩანარილი საბოლოო ვადა ისე გავიდა, რომ ამ საკითხზე ოფიციალური მსჯელობა არც კი დაწყებულა.

„აჭარის ტელევიზიაზე არ ვრცელდება კანონი მაუწყებლობის შესახებ, ის ამ კანონს მიღმა ფუნქციონირებს. წინასა-არჩევნო პერიოდში ტელევიზიას არ აქვს ვალდებულება განათავსოს ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამები, არც თანაბრობის პრინციპის დაცვა ევალება. ეს კი ვალდებულებას ვიღებთ ჩვენს

გაუგებარია, რა იქნება კანონის დარღვევა, ან როგორ უნდა დაისაჯოს ის ამ დარღვევისთვის, როცა არხი მაუწყებლთა რეესტრშიც არ არის ფიქსირებული“, – ამბობს განო გელაძე.

როგორც „ლიბერალმა“ გაარკვია, აჭარის ტელევიზია არც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგულირების სფეროში ექცევა. კომისიის პრესსამსახურის უფროსი ხატია ყურაშვილი ამბობს, რომ მათ ამ ტელევიზიის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ აქვთ. „სანამ კომისიის სტატუსი განსაზღვრული არ იქნება, ის ჩვენი რეგულაციის ქვეშ არ შემოდის, ისინი არ გვიგზავნიან ინფორმაციას უფასო თუ ფასიანი პოლიტიკური რეკლამების შესახებ, ეს ვალდებულება მათზე არ ვრცელდება“, – ამბობს ურაშვილი.

ტელევიზიის სტატუსის გარკვევით დაინტერესებულია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც. „ოფიციალური წერილით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2011 წლის 11 ნოემბრის ჩვენს წერილზე გვიპასუხა, რომ წინადადებების შემუშავება დაკავშირებული

ლია ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისთაბაზზე დოკუმენტის შემუშავებასთან, რომელიც 2012 წელს დასრულდება. მოგვიანებით კვლავ მიღმართეთ სამინისტროს და პირველ ივლისს მოგვწერეთ, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით დოკუმენტი კვლავ შემუშავების პროცესშია”, – ამბობს საიას იურისტი მარიამ გოგოსაშვილი.

აჭარის ტელევიზიის სტატუსის განსაზღვრას პრიორიტეტულად მიიჩნევენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოშიც“. ორგანიზაციის მედიაანალიტიკოსი მამუკა ანდლულაძე განმარტავს, რომ არ შეიძლება მოქმედდეს მედიასაშუალება, რომელიც კანონისა და სხვა ტიპის რეგულირების ჩატრიებში არ ჯდება. მისთვის, ისევე როგორც, გელაძისთვის, გაუგებარია, რა მოთხოვნები უნდა გავრცელდეს არსზე, როცა ის არც საზოგადოებრივი მაუწყებელია და არც კერძო ტელევიზია.

„ცხადია, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას იმ ტელევიზიის დამოუკიდებლობის ხარისხი, რომელსაც პირდაპირ მართავს სამთავრობო ორგანო. მისთვის, რომ მოსახლეობამ ინფორმირებული არჩევანი გააკეთოს, მედიასაშუალებების დამოუკიდებლობასა და დაფინანსების წყაროებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ჩვენ კი, ფაქტორივად, კვლავ გვაქს სახელმწიფო ტელევიზია“, – ამბობს ანდლულაძე.

აჭარის ტელევიზიის სტატუსის შესახებ საუბარია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ბოლო ორ ანგარიშშიც. „აჭარის ტელევიზია იურიდიული საფუძვლის გარეშე განაგრძობს ოპერირებას. საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ ითვალისწინებს საზოგადოებრივი მაუწყებლის არსებობას, მაგრამ არა მთავრობის მიერ კონტროლირებულ სატელევიზიო სადგურს. კანონში ხაზ-გასმითა აღნიშნული: „იურიდიული პირი, რომელიც ურთიერთდამოკიდებულია ან კონტროლირებულია ადმინისტრაციული ხელისუფლების მიერ“ არ უნდა ფლობდეს მაუწყებლობის ლიცენზიას, – ვკითხულობთ საქართველოს ტელემაუწყებლობის ანალიზში, რომელიც წელს აგვისტოში გამოქვეყნდა.

მიუხედავად ამისა, აჭარის ტელევიზია ერთადერთი რეგიონული არხია, რომელიც თანამგზავრით მაუწყებლობს და მისი დაფარვის ზონა საქმაოდ ფართოდ ვრცელდება. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მონაცემებით კვლევა 2011 წელს ჩატარდა, აჭარის ტელევიზიას დაფარვის მხრივ ქვეყანაში მეოთხე ადგილი უჭირავს. მედიის ამავე კვლევის ფარგლებში გამოიითხეულ რესპონდენტთა 55% აცხადებდა, რომ ამ რეგიონული მაუწყებლის სიგნალს იღებს. მინდია ნაკაშიძე აცხადებს, რომ არხს ძველი მუდმივოქმედი ლიცენზიები აქვს და მათი განახლება სტატუსის განსაზღვრამდე არც არის საჭირო.

დამოკრატიის ინსტიტუტმა გასულ წელს სამთავრობო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად სპეციალური რეკომენდაციები მოამზადა, რომელსაც კანონპროექტის სახე მიეცა. ორგანიზაცია ცდილობდა ლობირება გაეწია ამ საკითხისთვის, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური მთავრობის დონეზე. კონსულტაციები მიმდინარეობდა მოქმედ მაუწყიტარ დეპუტატებთანაც, თუმცა, მათი რეალური დანართერესება ვერ მოხერხდა.

„ამ საკითხის გადაწყვეტა ადგილობრივი მთავრობის კომპეტენციაში არ შედის, როგორც გაირკვა, მათ არც ასეთი კანონპროექტის წარდგენის უფლება აქვთ, საჭირო იყო თუნდაც ერთი პარლამენტარის ხელმოწერა, რომ ეს კანონპროექტი განსახილველად გასულიყო, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ. ცენტრალურ მთავრობას კი საკუთარი ინიციატივით ამაზე მსჯელობა არ დაუწყია. არც მარეგულირებელი კომისია იღებს ხმას. ეს პოლიტიკური ნების საკითხია, თორემ სტატუსის განსაზღვრა, ან მასზე იფიციალური მსჯელობის დაწყება მაინც ასეთი პრობლემური არ იქნებოდა,“ – ამბობს გელაძე.

აჭარის ტელევიზიის შესაძლო სტატუსთან და კავშირებით ბევრი სხვადასხვავერსია არსებობს: რეგიონული საზოგადოებრივი მაუწყებელი, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიურო აჭარაში ან დასავლეთ საქართველოში, შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა, გასხვისება პირ-

დაპირი მიყიდვისა თუ აუქციონის წესით. არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციით, ყველაზე მისაღები გარიანტი მისი რეგიონულ მაუწყებლად გარდამანა. ამავეს ამბობს ტელევიზიის დირექტორის მოადგილე მინდია ნაკაშიძეც.

იურისტები განმარტავენ, რომ არსებული მდგომარეობა გამოხატვის სფეროს გარდა, საბიუჯეტო და საფინანსო სფეროში მოქმედ სამართლებრივ წორმებსაც ეწინააღმდეგება, რაც საბიუჯეტო თანხების განკარგვის მიზნობრიობას გულისხმობს.

რეგიონულმა და ადგილობრივმა ხელისუფლების ორგანიზაციაში მედიის საქმიანობისათვის 2012 წელს სულ 8 560 000 ლარი დასარვეს. მიუხედავად მისა, რომ სახელმწიფო მაუწყებელი ფუნქციონირებას სამართლებრივი საფუძვლების გარეშე განაგრძობს, აჭარის სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობის დეპარტამენტმა, რომელიც „აჭარა TV“-ს მართავს, ბიუჯეტიდან წელს 6 648 000 ლარი მიიღო. ამ მხრივ ფინანსების ყველაზე დიდი იდენტობა სწორედ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ გამოყოფილი მთავრობა გამოიყოფო.

2012 წელს აჭარის ბიუჯეტიდან 6 880 000 ლარი გამოიყოფო, რომელიც ადგილობრივი მთავრობისათვის საკუთარებაში არსებულ და მოქმედ მედიის ორ სამუშალებას უნდა გამოიყოფო – აჭარის ტელევიზიის და ყოველდღიურ გაზიერა „აჭარა და ადურა“.

კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევებას, კითხვაზე „როგორ გვინათებთ, ქართული ტელეარხების მიერ მომზადებული საინფორმაციო გამოშვებები და მიმდინარე ამბების გაშექება უმტკესად მთავრობის ინტერესებს ასახელობა, პოზიციის თუ არცერთისა?“ გამოკითხულთა 25 %-მა უპასუხა, რომ აჭარის ტელევიზია მთავრობის ინტერესების ამსახველია. მხოლოდ 8 %-ის აზრით, არხის არცერთი პოლიტიკური პოზიციის გამტკარებელი არ არის.

საინფორმაციო გამოშვებებისა და მიმდინარე მოვლენების გაშექების ნდობის ხარისხის მიხედვით კი, არხს სრულიად მხოლოდ 2 % ენდობა, ნდობას უცხადებს 6 %, 54 %-მა კი არ იცის, უნდა ენდოს თუ არა არხს. ■

“მეცხრე არხის” საქართველოსო მრჩეველობა სტატუსი

„მეცხრე არხი“ ყურდნობა მრჩეველობა საბჭოს წევრებს, რათა მათ უზრუნველყონ და დაიცვან არხის სარედაქციო დამოუკიდებლობა, დაცხმარონ „მეცხრე არხის“ გამყაროს საქართველოში პრესის თავისუფლება და დაცვას დამოუკიდებლი აზრის თუ შეხედულების გამოხატვის უფლება.“

— კახა ბექაური, „მეცხრე არხის“ გენერალური დირექტორი

ლარი კინგი

CNN-ზე „ლარი კინგის შოუს“ წამყვანი და ქველმოქმედი

„მეცხრე არხის“ მრჩეველობა საბჭოს წევრი გავხდი. როგორც უზრუნალისტისა და მედია კომენტატორისთვის, უწინალისტთა უფლებების დაცვა, პრესის თავისუფლების უზრუნველყოფა და ადამიანის უფლებების დაცვა მსოფლიოს მასშტაბით ჩემი კარიერის ქვაბათხოვდეს წარმოადგინა. „მეცხრე არხი“, როგორც ნებისმიერი სხვა, ახალი, დამოუკიდებელი ახალი ამბების გამაცვლებელი ორგანიზაცია, აწყდება უპრეცედენტო გამოწვევებს საქართველოს ხელისუფლებისგან, რაც ხელს უშლის მის მისიას - ემსახუროს საქართველოს მოსახლეობას, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი საინფორმაციო და მედია წყარო. მისი ახალგაზრდა და იდეალისტური პერსონალი იმსახურებს იმ ამერიკელებისა და ევროპელების მხარდაჭერას, რომლებიც მათ მისიას იზიარებენ.“

ლი ჰემილტონი

ყოფილი კონგრესმენი, 11 სექტემბრის კომისიის თანათავმჯდომარე და “ვუდროუ ვილსონის ცენტრის” ყოფილი პრეზიდენტი

“მე, როგორც საქართველოში მიმდინარე მოვლენების გრძელვადიანი დამვირცხებელი, საკმაოდ მაშფოთებს მთავრობის მიერ დამოუკიდებელ მედიაზე განხორციელებული ზეწოლა და ყოველგვარი ის ძალადობა, რაც თავისუფალი პრესის განვითარებასა და მოქალაქეების მიერ თავისუფალი აზრის გამოხატვას ზღუდავს. „მეცხრე არხი“ წარმოადგენს ახალ, მნიშვნელოვან, დამოუკიდებელ ხმას, რომელიც იყვას საქართველოს მოსახლეობის უფლებებს. მოუკერძოდ ველი ჩემს კოლეგა-საბჭოს წევრებსა და „მეცხრე არხის“ ხელმძღვანელობასთან მუშაობას, რომლის მთავარ მიზანს თავისუფალი სიტყვისა და აზრის დაცვა წარმოადგენს.“

ლეს ბელბი

საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს საპატიო პრეზიდენტი, გამოისახება რედაქტორი და სარედაქტო გვერდის რედაქტორი

“თავის დროში ამერიკელი ხალხი ვარდების რევოლუციის პრინციპებსა და იდეალებს - ქართველ ხალხს ეცხოვდა სიმშვიდეში და თავი დაცულად ეგრძნო საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში - სიტყვით და საქმით მხარს უქრდა. როგორც უზრუნალისტი, ღრმა შეშფოთებას გამოვთქვამ საქართველოს მთავრობის მიერ დემოკრატიული ღირებულებებისა და დამოუკიდებელი მედიასაშუალებების ხელყოფის გამო ტელეკომპანია „მეცხრე არხი“ დამოუკიდებელი და თავისუფალი საინფორმაციო სახუსალებას, რომელიც საქართველოს მოსახლეობას ემსახურება. როგორც ტელეკომპანიის მრჩეველთა საბჭოს წევრი, მხარს ვუქერ მედიის თავისუფლებას საქართველოში.“

რობერტ მენტონი

ფრანგი უზრუნალისტი და პრესის თავისუფლების საერთაშორისოდ აღიარებული დამცველი

“მთელი ჩემი პროფესიული მოღვაწეობა მსოფლიოს მასშტაბით თავისუფალი მედიის დაცვას დაუუთმე. ტელეკომპანია „მეცხრე არხი“ წარმოადგენს კეთილ ინიციატივას, რომელიც ცდილობს, საქართველოს მოსახლეობას შესთავაზოს ქემიარიტად დამოუკიდებელი ინფორმაციისა და ახალი ამბების წყარო. თუმცა, წმინდა პოლიტიკური მოტივებით, ქვეყნის ხელისუფლება ცველანარიად ცდილობს ხელი შეუშალოს ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ მიზნების განხორციელებას. გადაწყვეტილება, გავმსდარიყისა მის საბჭოს წევრი, განაპირობა ჩემმა სურვილმა გლობალური ყურადღება მომენტიდა იმ გამოწვევებზე, რომელსაც „მეცხრე არხი“ აწყდება მის ნინააღმდეგ მტრულად განწყობილი ხელისუფლების მხრიდან.“

ბიორმი მარტიველაშვილი

საქართველოს სამოგადუებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი

“ჩემთვის უდიდესი პატივია ამ ღირსეული ადამიანების გვერდით ყოფნა. ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩემს ქართველ, ამერიკელ თუ ევროპელ კოლეგებთან ერთად ძალ-ღონეს არ ვიშურებდი ახალი თაობის უზრუნალისტების პროფესიული აღზრდისათვის, რამეთუ გვკეროდა, რომ მაღალი სტანდარტების მქონე უზრუნალისტიკა საქართველოს დემოკრატიისა და ძლიერი მომავლის უზყური გარანტი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, როგორც „მეცხრე არხის“ საბჭოს წევრი, ჩემს მიზანს დამოუკიდებელი მედიის ხელშეწყობა და ქვეყანაში დემოკრატიის განვითარება წარმოადგენს.“

ბანების თანასწორება - ქაბიცი საზოგადოების შეხვეძებები

ლელა რეხვიაშვილი

თუ გენდერულ თანასწორობას სა-სურველ მიზნად ვაღიარებთ, მაშინ უთანასწორობა პრობლემად უნდა ვა-ღიაროთ. ქართულ საზოგადოებაში შე-დარებით იშვიათად ვხვდებით ჯგუფე-ბსა და ინდივიდებს, რომელიც ღიად გამოდიან გენდერული უთანასწორობის დასაცავად. სამაგიეროდ, ხშირად ვხვ-დებით მოსაზრებას, რომ ჩვენთან გენ-დერული უთანასწორობა არ არსებობს.

გენდერულ თანასწორობასთან დაკავ-შირებით კვლევათა სიმშირე ან არსებულ კვლევათა საჯაროობის შეზღუდულობა პრობლების იგნორირებას უწყობს ხელს. რამდენიმე კვირის წინ სოციალურ მეც-ნიერებათა ცენტრმა ჩაატარა კონფე-რენცია, რომელიც სწორედ გენდერულ საკითხებს ეთმობოდა. კონფერენცია ოთხი ურთიერთშემავსებელი კვლევის შედეგებს განიხილავდა და თვისობრივ და რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდ-ნობით, საქართველოში არსებული გენ-დერული უთანასწორობის კომპლექსურ სურათს წარმოაჩენდა.

მათ ბარქაის კვლევა – „რას ამბობენ ქართველები გენდერულ საკითხებზე“ – ორ დამოუკიდებელ მონაცემთა ბაზას ეყრდნობა: მსოფლიო ლირებულებათა კვლევა (2008); კავკასიის ბარომეტრი (2010). საგულისხმოა, რომ ორივე კვლევა ერთსა და იმავე ტენდენციას აფიქსირებს და მონაცემთა სანდოობას ადასტურებს.

საზოგადოებრივი შეხედულებები გენ-დერული როლების შესახებ არაფორმა-ლური ნორმებია, რომლებიც შეიძლება

უფრო მეტად განსაზღვრავდეს ინდივი-დთა ქცევას, ვიდრე დაწერილი კანონე-ბი. ქართული კანონმდებლობა იცვლე-ბა და ვითარდება და შეიძლება ითქვას, გაცილებით ნაკლებად დისკრიმინაციუ-ლია, ვიდრე არაფორმალური ნორმები. მეორე მხრივ, სახელმწიფო პოლიტიკა იშვიათად ინტერესდება არსებული კა-ნონმდებლობის აღსრულებით ან გენ-დერული თანასწორობის წახალისებით. შეხედულებებიდან პოლიტიკამდე და პოლიტიკიდან შეხედულებებამდე ჯა-დოსნური წრე იკვრება, რომლის გარღ-ვევას არავინ ცდილობს.

კვლევები აჩვენებს, რომ ქართული საზოგადოების უმეტესობის შეხედუ-ლებით მკაცრად კონსერვატიულია და ქალის როლი საზოგადოებაში, ქალის სექსუალური თავისუფლება მიბმული და გაიგივებულია ოჯახის ცნებასთან. სოციალურ საკითხებში საქართველოს მოსახლეობა შედარებით შემწყნარებუ-ლია ქალისა და მამაკაცის თანასწო-რობის მიმართ; მაგრამ გენდერული თანასწორობა ოჯახის მართვასა და რჩენაში, სექსუალურ ცხოვრებაში რა-დიკალურად მიუღებელია:


„ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 72 პროცენტს არ აქვთ გენდერულად მი-კერძოებული დამოკიდებულება გა-ნათლების მიმართ, არ ნიშნავს, რომ მოსახლეობის ეს ნაწილი გენდერუ-ლად მგრძნობიარეა. გამოიკვეთა ტენ-დენცია, რომ იგივე ადამიანების დიდი ნაწილი, რომელთაც პოზიტიური და-



მოკიდებულება აქვთ განათლებასთან დაკავშირებული კითხვის მიმართ, მიიჩ-ნებს, რომ ოჯახში გადაწყვეტილების მიმღები უნდა იყოს მამაკაცი, ასევე, მამაკაცი უნდა იყოს ოჯახის მარჩენა-ლი, ქალისთვის ქორწინებამდე სექსი მიუღებელია, ისევე როგორც, მამაკაც-თან ქორწინებამდე თანაცხოვრება“.

გენდერული იირარები
განათლებაში, დასაქმებასა და
პოლიტიკაში

აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა განათლების უფლების განხილვისას გენდერს მნიშვნელო-



ბას არ ანიჭებს. რესპონდენტთა 72-75 პროცენტი არ ეთანხმება განაცხადს „საუნივერსიტეტო განათლება უფრო მნიშვნელოვანია ბიჭისათვის, ვიდრე გოგოსთვის“. ამგვარი შედეგი აშკარად შეგვიძლია განვიხილოთ როგორც საკმაოდ პოზიტიური, რადგან განათლებაზე ხელმისაწვდომობა ქალთა უფლებების რეალიზაციისათვის ალბათ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

სამწერაოდ, გენდერულად მიუკერძოებელი შეფასებები ქალთა პოლიტიკაში ჩართულობაზე უფრო ნაკლებად ვრცელდება. მოსახლეობის 68 პროცენტი ფიქრობს, რომ მამაკაცები უკეთესი

პოლიტიკური ლიდერები არიან, ვიდრე ქალები. გამოკითხულთა 30 პროცენტზე მეტი კი მსგავს შეხედულებას არ იზიარებს. დიდი ნაწილი ასევე ეთანხმება მოსაზრებას, რომ სამუშაო ადგილების შეზღუდულობის პირობებში უპირატესობა მამაკაცთა დასაქმებას უნდა მიერიქოს. 2008 წლის მონაცემებით – 52, ხოლო 2010 წლის მონაცემებით, 35 პროცენტი ფიქრობს, რომ სამსახურში მიღებისას უპირატესობა მამაკაცს უნდა მიერიქოს.

რვები

სოციალურ სფეროში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით ქარ-

თული საზოგადოება ამბივალენტურია, თუმცა, საგრძნობი ნაწილი გმობს იერარქიას განათლებასა და დასაქმებაში; შედარებით მცირე ნაწილი (30 პროცენტი) კი, პოლიტიკურ ჩართულობასთან დაკავშირებით არსებულ სტერეოტიპებს არ ეთანხმება. იმავე გამოკითხულთა უმეტესობა ერთსულოვანია ოჯახურ ურთიერთობებში იერარქიის შენარჩუნებასთან დაკავშირებით.

ოჯახის რჩენასა და მართვაში ქალის თანაბარულებიანობის აღიარება დიდი უმრავლესობით იგმობა. რესპონდენტთა 82 პროცენტის მიაჩნია, რომ იჯახის მთავარი მარჩენალი კაცი უნდა იყოს, ხოლო 63 პროცენტი ფიქრობს, რომ იჯახში გადაწყვეტილებებს კაცი უნდა იღებდეს. უმრავლესობისთვის მამაკაცი იჯახის მთავარი მარჩენალია, თუმცა, იგივე რესპონდენტები ხედავენ, რომ არსებული რეალობა სასურველისგან საკმაოდ განსხვავდება და აფიქსირებენ, რომ იჯახში მარჩენალი ხშირად ქალია. 39 პროცენტი საქართველოს იჯახების უმეტესობის მარჩენლად ქალს ასახელებს, ხოლო 36 პროცენტი კი – კაცს.

სამწერაოდ, როგორც იკვეთება, იჯახში გენდერული თანასწორობა საქართველოს მოქალაქეებისთვის ძირითადად უცხო და მოულებელია. ვითარება კიდევ უფრო სავალალოა, როდესაც ახალშობილთა სქესს განვიხილავთ. გამოკითხულთა 49 პროცენტი მიაჩნია, რომ თუ იჯახში ერთი შვილია, სჯობს ბიჭი იყოს; მხოლოდ 9 პროცენტი ამჯობინებს გოგოს, 44 პროცენტისათვის ბავშვის სქესს მნიშვნელობა არა აქვს. ამ კითხვის საფუძველზე ცალსახა და შეიძლება ითქვას, საშიში სექსისტური დისკრიმინაციის ტენდენცია ვლინდება.

სექსუალური ქცევა

ქართული მოსახლეობის შეფასება ყველაზე მკაცრი და რადგუალური ქალის სექსუალობასთან დაკავშირებითაა. გამოკითხულთა 56 პროცენტისათვის ქალისთვის მშობლებისგან ცალკე ცხოველება ქორწინებამდე არცერთ ასაქში არ არის მისაღები; 80 პროცენტისათვის ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთო-

საზოგადოება

ბის დამყარება ნებისმიერ ასაკში მიუღებელია; მამაკაცთან თანაცხოვრება ქორწინების გარეშე 72 პროცენტისათვის არცერთ ასაკში არ არის მისაღები. გარდა იმისა, რომ ქალის სექსუალობა მიჯაჭვული და გაიგივებულია ქორწინებასა და ოჯახთან, საზოგადოება ასევე მკაცრად განსაზღვრავს ქორწინებისათვის შესაბამის ასაკს. გამოკითხულთა 92 პროცენტი თვლის, რომ ქალისათვის გათხოვება 18-25 წლიდანამ მისაღები და მხოლოდ 2 პროცენტი ფიქრობს, რომ გათხოვება 26 წლის შემდეგ შეიძლება.

ასაკი, გენდერი და

შეხედულებები თანასწორობაზე

აღსანიშნავია, რომ რიგ საკითხებში ქალები მამაკაცებთან შედარებით ნაკლებად არიან მიღრეკილი და მორინჩილონ პატრიარქალურ ნორმებს. სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა განათლება, დასაქმება, პოლიტიკაში ჩართულობა, ქალი რესპონდენტები მამაკაცებთან შედარებით უფრო მეტად უჭირენ მხარს თანასწორობას. მაგრამ როდესაც საქმე სექსუალობასა და ქალის როლს ეხება, გამოკითხული ქალები და მამაკაცები თანაბრად იზიარებენ კონსერვატიულ შეხედულებებს.

გენდერთან დაკავშირებული შეხედულებები განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფის მიხედვითაც. სამწუხარო ფაქტია, რომ რიგ საკითხებში ახალგაზრდები (18-35 წლი) უფროსი თაობების (56 წლის ზემოთ) კონსერვატიულ შეხედულებებს იზიარებენ, მაშინ, როდესაც საშუალო ასაკის (36-55 წლის) მოქალაქეები მეტად უჭირენ მხარს თანასწორობას. მაგალითად, 36-55 წლის რესპონდენტებისათვის უფრო ნაკლებად აქვს მნიშვნელობა ახალდაბადებული ბავშვის სექსს, ვიდრე დანარჩენი ორი ასაკობრივი ჯგუფისათვის. ქალისათვის მშობლებისგან ცალკე ცხოვრებას კი ახალგაზრდები ბევრად უფრო მეტად მიესალმებიან, ვიდრე სხვა ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლები.

დასკვნის მაჩინერ

გარდა იმისა, რომ კვლევის შედეგები ცალსახად აშკარავებს საქართველოში

პატრიარქალური ლირბულებების დომინანტობას, ასევე რამდენიმე დასკვნის გაცეთების საშუალებასაც გვაძლევენ.

საზოგადოებრივი შეხედულებები გენდერულ თანასწორობაზე ორმაგ სტანდარტებს ეყრდნობა. სოციალური თანასწორობა მისაღებია, ხოლო ოჯახური და სექსუალური თანასწორობა – მკაცრად დაგმობილი. ქალს შეუძლია ისწავლოს, მაგრამ არ შეუძლია თანაბარი როლი შესასრულოს ოჯახის რჩენასა და მართვაში, არ შეუძლია თავად განსაზღვროს სექსუალური ცხოვრების ნორმები, თუ დაოჯახებისათვის სასურველი ასაკი.

მეტიც, მყარად პატრიარქალური შეხედულებები აშეარად დამორჩებულია რეალობას, რაც პრობლემებს კიდევ უფრო ამზვავებს. ქართული საზოგადოება დიდი ხანია აღარ ფუნქციონირებს „რჩეული“ იდეალების შესაბამისად: ქართულ იჯახებში მამაკაცები მთავარი მარჩენლები ხშირად აღარ არიან, და არც ქართველ ქალთა 80 პროცენტია 25 წლამდე გათხოვების მსურველი.

სტრუქტურულ გენდერულ როლებთან მორგება ხშირად ფარისევლობის ხარჯზე ხდება და ქალის მდგომარეობას ამძიმებს. სექსუალურ ქცევაზე მკაცრი საზოგადოებრივი ცენტურა კი სხვადასხვა სახის ანომალიებს იწვევს. ერთ-ერთი ასეთი ანომალია ადრეულ ასაკში ქორწინება, და შესაბამისად, დანგრეული ოჯახების რაოდენობის ზრდაა. სინამდვილეში, ტრადიციული ლირბულებების და ოჯახის (როგორც საზოგადოებრივი მოწყობის დომინანტური ფორმის) დაცვის სახელით ხორციელდება ზენოლა, რომელიც იმავე ლირბულებებს უთხრის ძირს – ოჯახი, რომელიც მხოლოდ იმიტომ იქმნება, რომ ახალგაზრდა წყვილს თანაცხოვრების სხვა შესაძლებლობა არ გააჩინა, ხშირად მოკლებულია მყარ საფუძვლებს და პასუხისმგებლობათა გააზრება; ასევე, ოჯახი, რომლის „არდანგრევის“ მიზეზი მხოლოდ მოკლების, ან, ზოგჯერ, მეზობლების განკითხვის შიშია, არ შეიძლება ჰარმონიულად ფუნქციონირებდეს.

კვლევიდან ჩანს, რომ ქართული სა-

ზოგადოებისათვის ყველაზე უფრო მტკიცნეული საკითხი ქალის სექსუალური თავისუფლებაა. სექსუალური ცხოვრების მარეგულირებელი არსებული ნორმები რეალობას ვეღარ აკონტროლებს, შესაბამისად, სექსუალობის თემა ტანუდადებულ, დალუქულ სფეროდ რჩება, თუმცა, პრაქტიკაში ყოველდღიურად ირღვევა. შეხედულებების გახლება ინდივიდისგან მუდმივ დამალვასა და თამაშს მოითხოვს, რაც არ შეიძლება ჯანსაღი იყოს მთლიანად საზოგადოების, ან ინდივიდებისათვის.

„ქალიშვილობის“ თემა მშობლებს ისეთი დანაშაულის გამართლებისკენ უბიძგებს, როგორიცაა მოტაცებული ქალიშვილის მომტაცებლის, ანუ სექსუალური მოძალადის, ხელში დატოვება, ანუ „შვილის მითხოვება“. დღეს 90-იან წლებში ფართოდ გავრცელებული მოტაცების პრაქტიკა თითქოს შენელებულია, თუმცა, სავარაუდოდ, რეგიონებში კვლავ პრობლემად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრაქტიკა ჩვევიდან ან მოდიდან „გადადის“, საზოგადოებას იგი საჯაროდ დიდად არ განუხილავს და მისი არაადამიანური, დანაშაულებრივი ხასიათი იმავე სიმკაცრით არასოდეს დაუგმია, რა სიმკაცრითაც „ქალმცილობას“ იცავს.

პატრიარქალური ლირბულებების ყველაზე ამორალური გამოვლინება ბავშვის სექსთან დაკავშირებული შეხედულებებია. საზოგადოება, რომლის 50 პროცენტი ამჯობინებს „ბიჭის ყოლას ოჯახში“, კარგად ამჟღავნებს, თუ რამხელა მნიშვნელობა ენიჭება სექსს და რამდენად უფრო ლირებულია ერთი სექსი მეორესთან შედარებით. ეს დამოკიდებულება სელექციურ აბორტებს იწვევს, რაც დემოგრაფიული განვითარებისთვის ძალიან სახიფათოა.

უთანასწორობა პრობლემა როგორც პრივილეგირებულთა, ასევე დისკრიმინაციის ქვეშ მყოფთათვის. პირველ ეტაპზე ჩვენი შეხედულებების სიმცდა-რე უნდა ვალიაროთ, შემდეგ – პრაქტიკის პერვერსიულობა, რაც დაგვაყენებს მთავარი კითხვის წინაშე – როგორ გადავჭრათ გენდერული უთანასწორობის პრობლემა ქართულ გარემოში? **ც**

ბეჭისი ბალარით - ჩასები მოიხან!

გიგი გულედანი
პროზაკოსი



ცოტა ხნის წინ ფეისბუქზე იუტუბის გავლით გაერცელდა ახალგაზრდა გოგოს (თუ არ ვცდები, კახეთის რომელიაც უბანზე მაჟორიტარობის კანდიდატის) ვიდეო, ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ამომრჩეველს უყვალდა, ნანახი შაქსო, ხეთი რუსი ჯარისკაცი ომის დროს 106 წლის ქალს ჯვალურად აუპატიურებდა, და ჩვენც ეგ გველისო (ნუ იცინითო, დაამატა).

ასეთი ჰარდეორ პორნოკომუნიკაცია ერთ-ერთი ნაირსახეობაა იმ „რუსული კოზირის“, რომლის გამოყენებაც დღვევანდელ წინასარჩევნო კორიდაში მართლადიდებელ მშობელთა კავშირის ხის ჯვრების დარად ერის მოღალატეებს რისხვად დაატყდება ხოლმე თავს.

რუსეთის პირდაპირ თუ ირიძ აგენტობაში („რუსული საქმის კეთებაში“) დადანაშაულება ისეთივე ნაციონალურ ტრადიციად შეიძლება იქცეს, როგორც, სიტყვაზე, „თამაღლის ინსტიტუტი“ ან „ქუჩის აკადემია“. ის, ამ ორის მსგავსად, შეიცავს „პარასმენტის“ ელემენტებს და, რაც მთავარია, რაღაცით გვახსენებს ბიჭუნას, კარლსონისა და ფრეკენ ბოკის ერთ-ერთ დიალოგებს:

„ფრეკენ ბოკი:

- დედშენმა გამაფრთხილა, ეს ბიჭი თქვენთან ისადილებს? ასე დამიბარა?

ბიჭუნა შეეცადა რაც შეიძლება ორჭოფულად, მაგრამ თავაზიანად ეთქვა:

- ყოველ შემთხვევაში, დედას აზრით... კარლსონი...

- ან „პო“ თქვი ან „არა“, - აღარ აცალა

ფრეკენ ბოკი. - თქვა დედაშენმა, კარლსონი თქვენთან ისადილებს?

- ყოველ შემთხვევაში, უნდოდა... - ბიჭუნა ისევ შეეცადა არიდებოდა პირდაპირ პასუხს, მაგრამ ფრეკენ ბოკმა მკვასედ შეუძახა:

- გითხარი, ან „პო“ თქვი, ან „არა“ - მეთქი! უბრალო შეკითხვაზე ყოველთვის შეიძლება ადამიანს ან „პო“ უთხრა, ან „არა“, მე მგონა, ძნელი არაა.

- ნარმონიდგინე, რომ ძნელია, - ჩაერია კარლსონი. - აი, ახლა ერთ უბრალო კითხვას მოგცემ და დარწმუნდები. მისმინე! გაანებე თავი დილდილობით კონიაკის სმას? მიპასუხე - „პო“ თუ „არა“?



ბიჭუნას ტყავში ყოფნა ბოლო დროს არ არის ძნელი იმ ადამიანებისთვის, ვინც პოლიტიკური ოპონენტებისგან ისმენს ქვის გამხვრეტ შეკითხვას: „ბა, თქვი, რა დაგავალათ პუტინმა?“ (ან ამ კითხვის ნებისმიერ სხვა მოდიფიკაციას). როგორც აღმოჩნდა, რუსეთის აგენტობის შიშა და მის გამოხატვის ფორმას „ეროვნული მოძრაობიდან“ მოყოლებული არ განუცდია პრინციპული ტრანსფორმაცია.

თუ ადრე ის „ერემლის აგენტის“ სახელით ვრცელდებოდა, დღეს მას უფრო სკეპტიკულ ფორმულირებული „რუსული პროექტი“ დაერქვა, რომელსაც ავრცელე-

ბს როგორც პოლიტიკურად გათვითცნობიერებული ხალხი (აი, „რიალპოლიტიკისა“ და „დისუსტრისა“ მნიშვნელობებიც კი რომ იციან), ისევე, რწმუნებულის ცოლი სადმედუშეთის მისადგომებთან, ან გამგებლის მცირებლოვანი შვილი კახეთში.

აქ პრობლემა არა იმდენად „რუსული პროექტის“ არსებობა-არარსეპობაშია, რამდენადაც, ყველაზე ფუნდამენტურით რომ დავიწყოთ, პოლიტიკურ სიმზიფეს, ოპონირების ეტიკეტსა და (რამდენადაც სასაცილოდ არ უნდა ქულერდეს) გამოხატვის ესთეტიკურ ფორმებში. გასაგებია, რომ ზოადი მართალი იყო როცა „ერემლის აგენტების“ ეშინოდა, მაგრამ როგორც დაფინახეთ, „კაგბეს“ საფრთხის გასაუცნებლად პარანოია საკმარისი არ აღმოჩნდა, ისევე როგორც, ცილისწამება და, რაც მთავარია, გულწრფელი ზიზლი.

იმან, ვინც შიშობს, რომ საქართველოში „რუსული პროექტი“ მზადდება, საკმარისია გასცეს ბასუხი მარტივ შეკითხვას: რა უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ რუსეთის ჯერ კიდევ შეიძლება ჰყავდეს დამაფიქრებელი რაოდენობის ადგილობრივი მხარდამჭერი?

ასევე, სანამ ვინმეს თავს ფრეკენ ბოკის ფორმატის შეკითხვებს დავატეხთ, კარგი იქნება გვასხოვდეს, რომ უკვე დროა განვახვავდებოდეთ 20 წლის წინანდელი პოლიტიკური ინფანტილებისგან, პიარის ყველაზე წარმატებულ ფორმად დუშმორული აგენტოფორმია რომ მიაჩნდათ. დღეს უკვე უხერხეულია იმ ეგზალტირებული წვეროსანი „არაფორმალების“ სულისკვეთებით ცხოვრება, რომლებიც საკუთარი გულუბრყვლობიდან გამომდინარე, პოლიტიკურ ნულ კლასში ჩარჩნენ.

დაბოლოს, ერთი შეკითხვა: დაანებეთ თუ არა თავი საღამოობით გერონტოფილური პორნოს ყურებას? მიპასუხეთ „პო“ ან „არა“. ■



ფილმის დროშა

კახთველი აზერბაიჯანის გუბენი

რეპორტაჟი მარნეულიდან

მარიამ აშურველაშვილი



ფოტორეპორტაჟი



მარნეულის რაიონში, ძირითადად, ეთნიკური აზერბაიჯანელები ცხოვრობენ. ამ რეგიონში სხვა ეთნოსი ძალზე მცირეა – მოსახლეობის მხოლოდ ერთი პროცენტი. აქ ჩამოსული, ძნელად თუ იჯერებ, რომ საქართველოში ხარ, ძირითადად, იმის გამო, რომ ქართული თითქმის არავინ იცის. ისიც ძნელი დასაჯერებელია, რომ 21-ე საუკუნეა.

ბოსტნეულით და საქონლით ვაჭრობა აქაურების შემოსავლის ძირითადი წყაროა. საკვირაო ბაზრობებზე საქონლი, როგორც წესი, მამაკაცებს გამოჰყავთ, ხილ-ბოსტნეულის მოყვანა კი ქალების საქმეა.

მარნეულისა და გარდაბნის რაიონების მცხოვრებნი საქართველოს მოსახლეობის 7 პროცენტი და ქვეყნის ერთ-ერთი





ფოტორეპორტაჟი



ყველაზე დიდი ეთნიკური თემია. მიუხედავად ამისა, სოციალური ყოფის სურათები ყოველი ფეხის ნაბიჯზე გარნებულებს იმაში, რომ ეთნიკურ აზერბაიჯანულებს სახელმწიფოში ინტეგრაციის რთული პრობლემა აქვთ.

აქაურებს საკუთარი ნაჭრიდან გამოსვლა და სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბება უჭირთ. წინასაარჩევნო პერიოდი განსაკუთრებით ხაზგასმით წარმოაჩენს ხოლმე

მათ მექანიკურ, თითქოს ჩვევად ქცეულ „ერთგულებას“ არსებული ხელისუფლების მიმართ.

ეთნიკური აზერბაიჯანულები თითქოს თავისთვის ცხოვრობენ – ათწლეულების განმავლობაში არც თავად ცდილობენ რაიმეს შეცვლას და არც გარესამყაროს აინტერესებს მათთან სიღრმისული კომუნიკაცია. ☐





ფოტორეპორტაჟი





ლაცალის ცაიმითი

პატა ქურდაძე
მწერალი



მას შემდეგ, რაც ორმოცდათათანი წლების გარიურავზე გორის სადგურის ბუფეტის დამკვრელებმა პირველად შეასრულეს ცნობილი ჰიტი „პატარა გორი დიდია – იქ დაიბადა სტალინი“, საქართველოში ქვეყნის ცოცხალ უმაღლეს პირზე სიმღერა და, მით უმეტეს, ჰიმნი არავის დაუწერია.

ვიდრე, ერთ მშვენიერ დღეს, საბჭოთა კავშირის ნაჩენებიდან მომავალი ეკო-ტერორისტი და აწყვეტილი „ნონკონფორმისტი“ გოგა ხაჩიძე არ გამოძვრა თავისი დოლ-გარმონთ და „მიშა მაგარიათი“. ეს უცხაური პოპმინისტრი გასულ წელს ქართველმა ლიბერტარიანელებმა და მასთან დაახლოებულმა ბეისბოლისტებიანმა „ქული ინტელიგენციამ“ ნონკონფორმისტად, უფრო მეტიც, პანკ-როკერად აღიარა, ხოლო ჰიმნის მიხედვით გადაღებული პროპაგანდისტული კლიპი – თავისუფალი სულის ამბოხად.

როგორც ჩანს, ნარჩინებულმა ჩინოვ-ნიკა ხაჩიძემ მართლაც დაიჯერა, რომ ანარქისტია. განსაუკუთრებით მას შემდეგ, რაც არჩევნების მოახლოებასთან და „ქართული ოცნების“ „შემაშფოთებელ“ წარმატებით ერთად, მისი გუნდის სხვა წევრების აროგანტულობის ხარისხის საგრძნობლად გაიზარდა. მაგრამ რამდენადც ხელისუფლებაში ნონკონფორმისტი პანკის როლი მხოლოდ ხაჩიძეს აქვს, ამდენად ის, კულტუროლოგიური თვალსაზრისით, ხელისუფლების დოლ-გარმონის დამკვრელებთან შედარებით, გამორჩეულ უზრადღებას იმსახურებს. მით უმეტეს, როგორც ინტერ-

ნეტ გამოცემა „ნეტგაზეთი“ იუწყება, საკანონმდებლო ორგანოში მოსვლის-თანავე, დეპუტატობის ანარქისტი კანდიდატისგან, როგორც ჩანს, პანკულტურაში ინოვაციური ელემენტების დანერგვას უნდა ველოდეთ: აგვისტოს ომის თემაზე „მე-9 არხის“ ეთერში გასული დოკუმენტალური ფილმის შესახებ საუბრისას ის სინაულით იხსენებს, რომ ნათია მიქაშვილისანირებს „ადრეცხენის კუდზე აბამდნენ“: „თუ ჩვენი კანონმდებლობა ამას ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდის და დაღატის კვალიფიკაციას არ აძლევს, მაშინ კანონია დასახვენი. დარწმუნებული ვარ, მომავალი პარლამენტი გამოასწორებს ამ საკითხს. ესენი ჩვეულებრივი, მარტივი მოღალატები არიან, ადრე ასეთებს ცხენის კუდზე აბამდნენ...“

დაკვირვებული ადამიანი შეამჩნევს, რომ ნაციონალური მოძრაობის ნონკონფორმისტი კანდიდატი ახერხებს ერთმანეთთან შეათავსოს პანკულტურა და შუა საუკუნეებისა და საბჭოთა ინკვიზიციის მეთოდები. ეკოლოგისტისთვის, ცოტა არ იყოს, ზედმეტი სისასტიკეა, მაგრამ სამაგიეროდ – ინოვაციური.

დაახლოებით სამი დღის შემდეგ იგივე ექსმინისტრმა „მაესტროში“, ნინო უიშილაშვილის გადაცემა „პოლიტმეტრში“, პოლიტიკურ კონკურენტებთან დისუსტისას, ზუსტად ის ბრალდება ამოაძრინა ჯიბიდან, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობის“ ბოლშევიკები იყენებენ ხოლმე – „ლალატი“.

ეს პატარა, ცრუ ნონკონფორმისტი, ცხადია, ვერანაირად ვერ გახდებოდა ყურადღების საგანი, საქართველოს ხელისუფლების ექოვისული რიტორიკისა და პრაქტიკის კრებით მორალურ სახეს, ერთგვარ ფენომენს რომ არ წარმოადგნდეს.

გადაჭრით შეიძლება ითქვას: ეს ჩვენი დროის ტრაგედია. საბჭოთა აგიტ-

პლაკატიდან საკანცელარიო მაკრატლით გულმოდგრენდ ამოჭრილი უტიფარი პერსონაჟები ბედავენ და სხვებს, არა აქეს მნიშვნელობა, ვის – საქართველოს უკან, წარსულში დაბრუნების მცდელობაში ადანაშაულებენ. ეს ადამიანები შორეული, უკვე არარსებული, გახუნებული საბჭოთა წარსულით ცდილობენ გადაფარონ თავისივე შექმნილი ცოცხალი, უახლესი „საბჭოთა“ წითელი წარსული, რომელიც სათავეს 2003 წელს იღებს. უტიფრად ცდილობენ მის გათეთრებას, გულმოდგინეთ რეცხავნ, ხეხავენ მუქში ღრუბელივით მოქცეული იმ ადამიანების ნერვებით – ვინც ზუსტად ვიცით, საიდან მოვდივართ, ვისაც მათ მიერ უნიჭოდ გადახატული სოცრეალისტური ტრილო იმ წარსულის უსამოგნო მოგონებებს აღგვიძრავს, სადაც დაბრუნებას სკვდილი გვირჩევნა. ეს მეპიმნე „პანკი“ და მისი კოლეგა მედოლები და მეგარმონები კი უტიფრად გვიცხადებენ, რომ ვინც მათ არ ვუჭროთ მხარს, იქ, წითელ ჯოჯოხეთში გვსურს ქვეყნის დაბრუნება... ჯოჯოხეთში, რომელსაც ძლივს დავალნიერ თავი, რომლის ყველაზე მთავარი, კონცეფციის რანგში აყვანილი შანტაჟის საშუალება სწორედ ეს იდიოტური სიტყვა – ღალატი – გახლდათ. უფრო მეტიც, ეს სიტყვა საბჭოთა კავშირის საფლავივით ცივ უკანდამენტს უმაღლესი ხარისხის ცემენტივით კრავდა.

ღალატი – ამ ფუნდამენტში დამალული უღვაშაში საბჭოთა კოშჩეის სულია. ყველაფერი დანარჩენი – რეპრესიები, გულაგი, დაკეტილი საზღვრები, ჯინსებისა და საღეჭი რეზინის დეფიციტიც კი, მხოლოდ აქსეულარებია, რომელთა „ფასი“ კაპიკი იქნებოდა ღალატის გარეშე.

საბჭოთა კავშირშა რღვევა სწორედ „მოღალატეთა“ წყალობით დაიწყო. 80-იანი წლების ბოლოს კი მათ მიერ



„დალატის“ კონცეფციის სრული დემსტრიფიკაცია, გაშარება მოხდა. შურისძიებაც კი არ უფიქრია ვინმეს.

და აი, ვარდების რევოლუციის შემდეგ მას საქართველოს პრეზიდენტმა მიაგნო, მოუარა, გაამხნევა, პოსტსაბჭოთა დეპრესიიდან გამოიყვანა, შუშის გუმბათინი ტაძარიც კი აუგო იგივე უბანში, რომლის სორიებშიც, ერთ დროს, რევოლუციის გარიურაჟზე, თხენელასავით დაძვრებოდა და გაზეთებს შექმნავდა მომავალ მოღალატეებთან ერთად.

ძალიან მალე პრეზიდენტმა დალატი საქართველოს ხერხემლად, ჩვენი არსებობის ერთადერთ დამადასტურებელ არგუმენტად აქცია. ჩვენ ვცოცხლობთ, როდესაც ვიღაცისკენ თითს ვიშვერთ და სრულიად უფასოდ ბრალს ვდებთ ზუსტად იმ დააშაულში, რომლის გულისთვის ჩვენს მშობლებს, ბებიებს, ბაბუებს ხერეტდნენ, ანამებდნენ, გულაგში აგზავნიდნენ წლობით! ხელისუფლების პოლიტიკური დისკურსის ამოსავალი წერტილი არის დალატი, და სწორედ ეს არის საბჭოთა კავშირი, ზუსტად ეს და სხვა არაფერი. მისი კოშჩიის კიდევ ერთხელ გადამაღლული უკვდავი სული.

■ ეს უცნაური პოპმინისტრი გასულ წელს ქართველმა ლიბერტარიანელებმა და მასთან დაახლოებულმა ბეისბოლის ქუდიანმა „ქულ ინტელიგენციამ“, ნონკონფორმისტად, უფრო მეტიც, პანკ-როკერად აღიარა, ხოლო ჰიმნის მიხედვით გადაღებული პროპაგანდისტული კლიპი – თავისუფალი სულის ამბოხად.

საბედნიეროდ, მისი გაშარება უკვე დაიწყო და კიდევ უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე 80-იან წლებში, თუმცა, როგორც ჩანს, ის მართლაც უკვდავია და შესაძლოა ჩვენი, ქართველების საზიდი ჯვარიც კია, იმის საფასურად, რომ ესეთი მონსტრი მივეცით მსოფლიოს. იქნებ სწორედ მოღალატის ჯვრის თრევაა ჩვენი „სულიერი მისია?“

ამ ჯვრისგან დროდადრო, სულის მოსათქმელად მაინც გათავისუფლება ძალიან ადვილია. ამისათვის მხოლოდ სიტყვა მოღალატის გაშარება და მერე დავიწყებაა საჭირო, მეტი არაფერი. მით უმეტეს, ამას ვერავინ შეამჩნევს, რადგან ჩვენს, 21 საუკუ-

ნეში, ქვეყნები, სადაც დალატი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და მორალის ორიენტირია, მხოლოდ და მხოლოდ ტოტალიტარული რეჟიმების მარგინალური ქვეყნებია.

დალატის კონცეფციის აგიტატორები, რა თქმა უნდა, არავითარი ნონკონფორმისტები არ არიან, არც კონფორმისტები... ისინი, უბრალოდ, სასაცილო წითელცხვირიანი კლოუნი მენაგვები არიან, რომლებმაც რამდენიმე დღის წინ „ქართული ოცნების“ ოფისის წინ სამშენებლო ნარჩენებში საგულდაგულოდ დამაღლული, პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკური უკვდავების სული, შემთხვევით, ნაგავს გააყოლეს. ■

იღვაცი ქალაქი

კახა თოლორდავა
ურნალისტი



ამას მოგზაურობის დროს მივთვდი, — ზემოდან, თვითმფრინავიდან ან თუნდაც მაღლობებიდან, დანახული ტერიტორიები ძალიან ბევრის მოქმედია იმ ხალხზე, ვისაც ეს ტერიტორიები უჭირავს. დარწმუნებული ვარ, რომ რაღაც განსაკუთრებულს არ ვამბობ; ყველა, ვინც მოგზაურობს დროს მეტ-ნაკლებად უჟრადლებით დარჩენას ამჯობინებს, მზადყოფნით დამტანებება ამაში. მაგალითად, ავსტრიის ან გერმანიის თავზე მოძრავი თვითმფრინავიდან თვალშეკრული რურალური ფრაგმენტები ჭადრაკის დაფასავით სიმეტრიულია და მოწესრიგებული. ასეთივე წესრიგი, თუმცა განსხვავებული, ატყვაი იტალიურ თუ ჩრდილოამერიკულ ტერიტორიებსაც. გარკვეული თვალსაზრისით ეს ტერიტორიები იქაური მაცხოვრებლების ცხოვრების წესის, ადამიანური აქტივობებისადმი მიღონის, ტეპერამენტის, ისევე როგორც, მატერიალური, ალბათ, სულიერიც და ზოგადად, ისტორიული განვითარების სურათს წარმოადგენს. მათი შემხედვარე, ადამიანი, რომელიც პირველად მოკრავს თვალს ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიას, რა თქმა უნდა, არა ამომწურავად, მაგრამ მანც შეუცდომლად შეძლებს დაბასაითოს ადგილობრივის მისწრაფები და მარიფათი.

თვითმფრინავიდან დანახული საქართველოს ის ფრაგმენტები, რომელსაც ადამიანის ხელი ატყვაით, იმდენად ქაოტურია, რომ ძალაუწეურად დაგაფიქრებს აქაურებზე. ამ შემთხვევაში სიტყვა „ქაოტური“ სულნასული მზადყოფნით არ მიხმარია მაინცდა-მანც უარყოფითი მნიშვნელობით. მსგავსი მიდგომა, როგორც წესი, ცალმხრივი და ზე-დაპირულია ხოლმე. უბრალოდ, საქართველოს ადამიანთან შენახები ლანდშაფტების

ქაოტურობა მართლაც რომ თვალშისაცემია და დაფიქრებისენ უფრო გაბიძებს, ვიდრე ნაჩერავი დასკვნებისკენ. მერე კი, ყველა-ფერი ბუნებრივად მთავრდება იმით (განსაკუთრებით ჩემ შემთხვევაში), რომ ქვეყნიდან მისი ძირითადი ქალაქებისენ ინაცვლებ და ხვდები, რომ რაკურსი ზემოდან ორმაგად გამოსადევია ამ შემთხვევაშიც.

სწორედ სერზე შემომდგარს, ზაფხულის თბილისის თვალშისამტაცად ლამაზი, ხმირად შემაშფოთებლად მახნჯა, მაგრამ ბევრის-მთებზე ქაოსს ზემოდან შემყრეს გამასხენდა, რომ „ლიბერალის“ მკითხველთან ჩემი ორნლიანი ურთიერთობის მიუხედავად, „ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერებში“ არცერთხელ არ ამისნა, თუ როგორია იდეალური ქალაქის ჩემებური ხედვა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მგონია, რომ სწორედ ამით დაწყება აჯობებს, რადგანაც ის, თუ როგორ გამოიყერება ნებისმიერი ქალაქი ზემოდან, ყოველთვის დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ უდგებიან მას მისი მაცხოვრებები და მესვეურები დაბლა.

გეოგრაფიულად, ჩემი იდეალური ქალაქი აუცილებლად წყალზე ან წყლის პირასაა გაშენებული. კარგი იქნება, თუ რელიეფურად ქალაქი „ამავალ-ჩამავალი“ იქნება, ანუ, მაღლობი და დაბლობი ადგილების მონაცემებისა სხვანაირ ხილს სქემს ნებისმიერ ურბანულ სივრცეს. ქალაქი ძალიან პატარა ნამდვილად არ უნდა იყოს, რადგანაც პატარა ქალაქები ანინიმურად დარჩენის ყოველგვარ შესაძლებლობას გისპობს და ეს კარგი არა ადამიანის ფისიკისათვის. ასევე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის, თუ როგორი „სუნი ასდის“ ქალაქს; ეს მიუნიმინებს გამწვანებული ტერიტორიების რაოდენობაზე, რომ არაფერი ვთქვათ ყველაზე მთავარზე — რა-მდგრად უურადღებიანია გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ ქალაქის მოსახლეობა. ყველა ქალაქს, დიდს თუ პატარას, თავისი სუნი აქვს და ეს მისი განუყოფელი ნანილია. ქალაქი, რომელიც იდეალურად მიმაჩნია, მჭიდროდა დასახლებული. ურბანული სივრცე არ უნდა ზრდიდეს დისტანციას ადა-

მიანებს შორის, ისე, როგორც ეს, ვთქვათ, ლოს-ანჯელესშია. დევიდ ბირნი, მუსიკოსი და ურბანისტი, ამბობს, რომ არამჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში ადამიანები განსხვავებულად აღიქვამენ ყველაფერს, დაწყებული ჩაცმულობით და დასრულებული სოციალურ სიტუაციებში უურადღების მიქცევის ტექნიკით. ეს ნამდვილად ასეა. სხვათა შორის, მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში უსაფრთხოების დონე ბევრად უფრო მაღლია, ვიდრე მეჩხრად დასახლებულებებში.

ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, — ქალაქის ტროტუარები მისი მაცხოვრებლების ცხოვრების დონესა და დემორატიის ხარისხზე მიუნისნებენ. იდეალურ ქალაქში ტროტუარები მხოლოდ ფეხით მოსარულებებს ეკუთვნით. სხვანაირად არ შეიძლება რომ იყოს! ისევ უსაფრთხოებას თუ დავუბრუნდებით, საყველთაოდ აღიარებულია ის, რომ ქალაქში ფეხით მოსარულებების რაოდენობა გავლენას ახდენს ქალაქის უსაფრთხოების ხარისხზე. შესაბამისად, ჩემს იდეალურ ქალაქში მისი ცენტრალური მონაცემები პერიოდულად მთლიანად ფეხით მოსარულებს ეთმობათ. ისეთ სოციალურ ცხოველებს, როგორებიც ჩევნ ვართ, არ ნებნს სიტუაციობრივად მრავალფეროვანი ურთიერთობები. ქალაქის მაცხოვრებელთა მერძნობიარობა იმით ისაზღვრება, შეუძლიათ თუ არა ადამიანებს ქალაქში სეირნობისა ერთმანეთისთვის თვალშეკრული ჩემს ქალაქში ერთმანეთისათვის თვალის არიდება უბრალოდ ცუდ ტონად ითვლება.

იმავე ქალაქს თანამედროვეობის და ისტორიულობის ბალანსირებული იქრი აქვს. სხვათა შორის, მარტო არტიტექტურას არ ვეულისხმობ, თუმცა ამ შემთხვევაშიც, ჩემი ქალაქის მოსახლეობას არ ემინია თამამი იდების და მზადყოფნით არგებს ჯერ არგამოცდილ იდებს ურბანულ ლანდშაფტს. ნებისმიერი ქალაქის სული, მხოლოდ მისთვის დამასასიათებელი ენერგეტიკა, მისი ურიკალურობა, ადგილობრივების შემოქმედებითი მუხტის, ინტელექტუალის, მოთხოვ-

ქალაქი მოხატიალე კაცის ჩანაწერები



ნების, ემოციური ვიბრაციების დაბალანსუ-ბულ ნაზავია, რომლის თავი და თავი ისაა, რომ იქაურებს მოსწონთ ის სივრცე, სადაც უხოვრობენ და, მართალია არათანაბარი ძალისხმევით (გამომდინარე მოქალაქების სოციალური მდგომარეობიდან და პროფე-სიული ინტერესებიდან), მაგრამ ინტენსუ-რად იღებენ მონანილეობას ამ სივრცის გაუ-მჯობესებაში.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქალაქი თა-ნაბრად ახერხებდეს სატრანსპორტო და რეკრეაციული მონაკვეთების ბალანსირე-ბულად გადანაილებას და ერთმანეთის-გან იზოლირებას. ჩემს იდეალურ ქალაქი ლამის ცველა საცხოვრებელ მიკროუბანს თავისი გამწვანებული ალაგი აქვს, სადაც კატეგორიულად იკრძალება ტრანსპორტის ნებისმიერი სახეობა. მუნიციპალური ტრანს-პორტის სრულყოფილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქალაქის ცხოვრებაში. სრულყოფილი საჯარო-სატრანსპორტო სის-ტება კი ისაა, როდესაც მანაქნების მფლო-ბელებს სულ უფრო და უფრო ხშირად უწინდებათ მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის სურვილი – იმიტომ, რომ მოსახერხებელია და იმიტომაც, რომ ისინი მ ო ე ა ლ ა ქ ე ე ბ ი არიან და საშუალებას აძლევინ შემდგომ თაობებს არ დაკარგონ დრო წინა თაობების მიერ დატოვებული პრობლემების გადაწყვეტაში. ასეთი ქალაქი კი, როგორც ხვდებით, იდეალურია პირველ

რიგში ბავშვებისათვის. თუ ქალაქი ახერხებს ბავშვებისათვის იდეალური პირობების შექმნას, იმ ქალაქს ცველა დანარჩენიც კარგად მოერგება. ალბათ ზედმეტია იმის ხსენებაც კი, რომ ჩემს ქალაქში ველოსიპედი ცველაზე სასურველი და საჭირო ტრანსპორტია.

სტატიკა ისაა, რაც ჩემი იდეალური ქა-ლაქისათვის სრულიად უცხო ხილია. ქალაქი ქალაქი არაა, თუ ის მრავალფეროვან შე-მცნებით, თუ გასართოს სიტუაციებს არ ქმნის ადგილობრივებისა და ჩამოსახულები-სათვის. ჯანმრთელ ქალაქში მოსახლეობა დასახინებლად საღმოს ცხრა საათზე არ უნდა ემზადებოდეს, ანუ, ქალაქი ქალაქი არაა, თუ ის კულტურული ცენტრი არაა. ის განსხვავებული აქტივობების შეთავაზების შესაძლებლობებით უნდა გამოირჩეოდეს და ცველაფერს აკეთებდეს იმისთვის, რომ ეს აქტივობები სრულყოფილად და სავსედ ნარიმართოს.

ჩემს ქალაქში, რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს ის, სრულიად წარმოუდგენელია, რომ წყალთან (მდინარესთან, ტბასთან) მიახლო-ება არ იყოს შესაძლებელი; იმის გამო, რომ ვთქვათ, მდინარეა გაბინძურებული, ან ქა-ლაქია ასე სულელურად დაგეგმარებული. წყალთან სიახლოვე, თუნდაც მცირე ხნით, ყველასთვის სასარგებლო, ამიტომაც იდეა-ლურ ქალაქში ცველა თუ არა, თითქმის ცვე-ლა გზა წყალთან უნდა მიდიოდეს, თუმცა ეს გზებიც ქალაქის ის შენაკადებია, რომლებიც

თანაბრად ატარებენ ქალაქური ცხოვრების ძირითად ნიშნებს და თანაბრად და ინაწილე-ბენ იქაურობის უნიკალურ განწყობას. ჰო, და კიდევ ერთი რამ, შეუძლებელია, რომ ჩემს იდეალურ ქალაქს არ ჰქონდეს ფართო ბულვარების ქსელი და ერთი დიდი, ცველას-თვის საყვარელი პარკი, ძალიან დადი პარკი, რომელიც დაუზარელად დაიტოვებს ხოლმე მოქალაქების დალილობას და დაბუ-ლობას, სანცვლოდ კი ჯანსაღი ენერგიით აავსებს მათ.

უსასრულოდ დიდხანს შემიძლია გავაგრ-ძელო ასე... თუ ცველაფერ ამას ქალაქების შესახებ წაკითხულს, სხვების მიერ ნაფი-ქრალს თუ შემოთავაზებულს და ჩემ მიერ მონაბეჭულ ელემენტებს დაცუმატებ, ვში-შობ, რომ მართლაც ვერასდროს დავამუ-ხრუჭებ, ამიტომაც აქ მოვრჩება. როგორც ხედავთ, ამ ტექსტში ფსევდო მეცნიერული თუ ტვინის საჭყლეტი არაფერია. ეს, უპრა-ლოდ, ერთი ადამიანის სურვილება და ცვე-ლაფერი, რაც შემდგომში „ლიბერალისთვის“ ამ რუბრიკაში დაინერება, მხოლოდ ასეთ იდეალურ ქალაქზე „სწორებით“ მოხდება. ადრე თუ გვაინ, ალბათ, მართლაც შეიძლება მოხდეს ისე, რომ ვინმე, ვინც ზემოდინ გა-დახედავს თბილისს, იდეალურ ქალაქზე კი არ დაწყებს ფიქრს, არამედ ღრმად ჩაისუნ-თქას სუფთა ჰაერს და ნანახით კმაყოფი-ლი, ღილინ-ღილინით ჩაუყვება ქალაქისკნ მიმავალ ბილიკს. **■**

▶ ბათუმში არ იყო საჭმელი. აი, მოკიდა ლევან ვარძალომიძემ ხელი და ძალით იარა რესტორან-რესტორან. ლევანმა შექმნა ნულიდან აჭარაში საჭმელი. თვითონ მოიმატა წინაში ამასობაში, მაგრამ ეგ არა უშავს.

▶ ჩემი მოგონილია, რაც ხდება გარშემო სილამაზე, ჩემი იდეა იყო, რომ კოლეური ფიგურები გაგვედიდებინა და აյ მოგვეტანა. სხვათა შორის, ვერა ქობალიაც კოლხია და რომელ ცხოველს გაგონებთ?

▶ დააჭერთ ლილაკს, ვთქვათ, მინისტრთან მინდა ლაპარაკი სასწრაფოდ, გულის გადაშლა, დააჭერ ლილაკს და – მინისტრი ამოვა 3D გამოსახულებით, მაგალითად, მოცულობითი ზურაბ ადეიშვილი. არ ვიცი, რა მოემატება მოცულობაში რაც არ უნდა „ფრიდი“ გააკეთო. გამოჩენდება შენს წინ და დაელაპარაკები, და ეს არ არის ფანტაზია.

▶ ირანულ კიტრებზე ვიჯექით, სანამ ეს სანარმო გაიხსნებოდა.

▶ მინისტრებს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიგიქარავთ. აღმოვაჩინე, რომ 30 თუ 40 წარმომადგენელს აგზავნით ბრაზილიაში გარემოს დაცვის კონფერენციაზე დიდი სტენდის მოსაწყობად. ბიჭებს და გოგოებს ბრაზილიაში გასეირნება მოენატრათ. მოდით, საქართველოში გაისეირნეთ ცოტა მეტი, ბიჭებო და გოგოებო. ვეღარ ეღირსებიან ისინი იმას, რომ რამდენიმე ოჯახმა გაინაწილოს საქართველო ისევ, როგორც იყო, ფულის, ცხვირანეულობის და უბნების მიხედვით, ნურას უკაცრავად!



მიშიალები

▶ ჩემი სხეულის ყველა ორგანო, მენტალიტეტის ძალიან დიდი ნაწილი, ეს არის აფხაზეთი და სრულიად დასავლეთ საქართველო. მეორე ნაწილი ჩემი არსებობის არის აღმოსავლეთ საქართველო. ორივეში თავს ვგრძნობ წარმოუდგენლად მაგრად. წარმოუდგენელი აურა და ატმოსფეროა ჩემთვის ანაკლიაში, ის არის ჩემი მიწა. მინდა, რომ იქ მოაფინონ ჩემი ფერფლი როცა აღარ ვიქნები.

▶ ვინც მისტირის ძველ საავადმყოფოებს ანი ყველას შეუძლია დაწვეს ძველ საავადმყოფოებში, ახალ საავადმყოფოებში გაგვატარეთ ჩვენ, ვისაც გვჯერა, რომ ახალი ჯობია იმას, რაც იყო.

▶ არასოდეს დაგამცირებთ თქვენ და ვინმე სხვას, რომ თავი შევადარო რომელიმე ცნობილ მონარქს ან მეფეს. დღეს ჩვენი ხალხი არის კოლექტიურად დავით აღმაშენებელი.

▶ ვანო მერაბიშვილი როგორი გაღლეტილი იყო, როცა გავიცანი, როცა მამამისის „კამაზი“ იყო მთელი მათი შემოსავალი, მე ეჭვი მაქს – ისეთივე გაღლეტილია დღესაც.

▶ ტალახში გორაობა არის თქვენი ბურებრივი მდგომარეობა, ისეთი მაგარი ტალახია, აქედან, ვთხოვ, მანდატურები წაგყვებიან, გავამზადებინებ კარგ აბაზანას, ჩაგანვენენ ბოლომდე ტალახში, ოლონდ ნამდვილად ხარისხიანში და კარგად დაგზილავენ, როგორც საჭიროა, და გაგივლის ყველა ეს ფანტაზია თავიდან.

▶ მე ვიცი, რომ სახლში ბევრი საქმე გაქვთ, მოულოდნელად დაგქახით თავს, არ ვაპირებდი აქ შემოვლას, მაგრამ მერე გულმა მაინც გამომინია. ვიღაცას ჰერია, რომ ავტობუსებით მორეავენ ხალხს ჩემს შესახვედრად. ღმერთია მონამე, რომ ერთ საათში გადავწყვიტე აქ მოსვლა.

▶ მზად ვარ, დამატებით, მოვიჭრა და გავუგზავნო ჩემი სხეულის ის ნაწილები რუსებს, რომლის მიმართაც მათ არა ერთხელ გამოხატეს ინტერესი.

თქვენი რადიო - ხიდი მსოფლიოსთან



საცნო
გრაფიკა
98.5 FM

98.5

MUST CARRY!

ექიმი 2

მოაწერე ხელი თნლაპინ პეტიციას მისამართზე

tv9.ge/peticia

Must Carry-ს კანონის მოქმედების შეწყვეტისთანავე
“მეცხრე არხი” შეიძლება გაითიშოს.

2 ოქტომბრიდან თქვენ შეიძლება აღარ გქონდეთ ინფორმაციის
სანდო წყარო, რომელიც არჩევნების შედეგებს
ობიექტურად გაამუქებს.

ნუ დარჩები თავისუფალი სიტყვის გარეშე!